ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

გამოცემის 75-ე წელიწადი

№035 (12714) 13 თებერვალი პარასკევი 2009 ფასი 50 თეთრი

# კუპერის თერთმეტი ტყვია



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯოვანი ტრაპატონი

## არბიტრს პენალტი არ უნდა დაენიშნა

EUROSPORT.COM

ასკვნის...

ფინელი არბიტრის კარიერაში ეს ბოლო საერთაშორისო მატჩი უნდა ყოფილიყო





## რატომ წავაგეთ ირლანდიაში?

ქართველი სპეციალისტები დუბლინურ მატჩზე

ირლანდია-საქართველოს გამოხმაურება

>> 2-4

ერთა თასი.
საქართველო-პორტუგალია

# ტიმ ლეინის სვლები

## ორივე გუნდში ცვლილებებია:

გიორგაძე, ლაბაძე, ზიბზიბაძე პირველი წუთიდანვე



ეროვნული ბიბლიოთეკა



ირლანდია-საქართველოს გამოხმაურება

# კუპერის თერთმეტი ტყვია

## ზოგი მიზანში, ზოგი განზე და ზოგიც უკან

**საქართველოს ნაკრებმა მიმდინარე შესარჩევში ზედიზედ მეხუთე მატჩი ვერ მოიგო. განსაკუთრებული არც არაფერი მომხდარა - ციკლის დაწყების წინ, ალბათ, ყველა შეგუებული იყო იმას, რომ ჩვენი ეროვნული გუნდი 2010 წელს გასამართავ მუნდიალზე ვერ მოხვდებოდა. ირლანდიასთან მატჩმა ფეხბურთელებზე დაკვირვების მხრივ კარგი სამსახური გაუწია გულშემატკივარს, კუპერსა და ჩვენი ნაკრების ბედით დაინტერესებულ ყველა სპეციალისტს - დუბლინში რალაც-რალაცები კიდევ უფრო კარგად გამოჩნდა. უცხოურ პრესაში ფეხბურთელებს ქულებს უწერენ და ზოგჯერ ახსნა-განმარტებებსაც მოაყოლებენ, ჩვენ კი დღეს მხოლოდ ტექსტური შეფასებებით შემოვიფარგლეთ...**


დროა, ზურაბ მენთეშაშვილს (მარჯვნივ) კონკურენტი გამოუჩნდეს

### გიორგი ლომაია

**კლაუს ტოპმიოლერმა** ის ნაკრებისთვის უვარგისად მიიჩნია. **ექტორ კუპერის** გუნდში ლომაიას ჯიქურ არ მოუპოვებია ადგილი, მაგრამ არგენტინელი თანდათან დარწმუნდა, რომ ამ დროისთვის ლომაია საუკეთესო ქართველი მეკარეა. ირლანდიასთან გიორგი ჩინებულად გაისარჯა. გამოსვლებისას მუხლები და ხელები არ უკანკალებდა, ხაზზეც თავდაჯერებულად იდგა. **რობი კინს** საპენალტო კუთხე ვერ გამოუცნო, მაგრამ ამის გამო დასაძრახისი არ უნდა იყოს. ლომაია კარგი მაგალითია კუპერისთვის - ნაკრებში საუკეთესომ უნდა ითამაშოს და არა „პერსპექტიულმა", „მნიშვნელოვანმა", „მოწესრიგებულმა" და კიდევ სხვა, გაუგებარი ნიშნით მწვრთნელის ყურადღების ქვეშ მყოფმა ფეხბურთელებმა.

### უჩა ლობჯანიძე

საგოლე კომბინაცია წამოიწყო - **დავით სირაძეს** შორიდან „დაასვა" ბურთი თავზე. ლობჯანიძე მართლაც საინტერესო ფეხბურთელია, არ არის ეფექტური და თვალისმომჭრელი, მაგრამ შეუძლია, იყოს საიმედო, რასაც მისგან ირლანდიასთანაც ველოდით.

ლობჯანიძე არ არის ძალიან სწრაფი და თუ პოზიციური შეცდომები დაუშვა, საქართველოს ნაკრების მარჯვენა ფლანგს კარგი დღე არ დაადგება. ალარ გვინდოდა კვიპროსთან მატჩის გახსენება, როცა **ეფსტატიოს ალონეფტისმა** ჩვენს დაცვას ლობჟანიძის ფლანგიდან კუდით ქვა ასროლინა, მაგრამ შეცდომებზე ხომ უნდა ისწავლოს კაცმა?! ფეხმალი **აიდენ მაკგიდი** ძნელი გასანეიტრალებელი აღმოჩნდა და ეს კუპერს უნდა სცოდნოდა. ლობჟანიძეს სიჩქარეაკრეფილი მაკგიდის მეურვეობა უჭირდა. ასეთ დროს გამოსავალი ერთია - მეტოქეს ბურთი არ უნდა მიალებინო, სივრცე შეუზღუდო. ლობჟანიძემ და მისმა თანაგუნდელებმა ეს ვერ მოახერხეს.

### კახა კალაძე

მიუხედავად იმისა, რომ ტრავმა ახალი მოშუშებული ჰქონდა, ნაკრებს მაინც გამოადგა. მისი ათლეტური მონაცემები და გამოცდილება დიდად დაეხმარა კუპერის გუნდს. რომ არა **კახა კალაძე**, ვინ იცის, როგორ მოირღვეოდა ჩვენი დაცვა. კალაძე არ იყო საუკეთესო ფორმაში და ალბათ ამიტომაც არა ერთხელ გაუჭირდა საქართველოს ნაკრებს საკუთარი საჯარიმო მოედნიდან ბურთის კარგად მოშორება-მოგერიება. კალაძე, ფაქტობრივად, არ აზღვევდა ფლანგებს, მაგრამ შესაძლოა, ასეთი იყო მწვრთნელის დავალება.

### ზურაბ ხიზანიშვილი

ირლანდიელთა ბრიტანულ სტილს კარგად აუღო ალღო. **ჯოვანი ტრაპატონის** გუნდის თამაშს თითქოს წიგნივით კითხულობდა. ასეთი ფეხბურთელი იმიტომაც არის საქართველოს ნაკრებისთვის ზედმიწევნით მნიშვნელოვანი, რომ კუპერის გუნდში ხიზანასავით ბევრს არ შეუძლია მეტოქის სვლების გამოცნობა.

ზურაბს უკეთაც შეუძლია თამაში, მაგრამ „ბლექბერნის" ძირითადში ყოფნას მოკლებულია. ხიზანიშვილს ნაკრებში მარჯვენა მცველადაც უთამაშია; ისიც გვახსოვს, საყრდენ ნახევარმცველად რომ გაამწესეს, თუმცა ირლანდიასთან კუპერმა დაცვის ცენტრში რომ დააყენა, ალბათ, სწორი გადაწყვეტილება იყო - ხიზანიშვილი გუნდს მართლაც გამოადგა.

### დავით კვირკველია

პირადი პრობლემების გამო მისი თამაში სათუო იყო. კუპერი მაინც დაეყრდნო მას, ვინძლო იმიტომაც, რომ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. **დავით კვირკველია** ბურთს ისეთ სიტუაციებში კარგავდა, ამის უფლება რომ არ ჰქონდა. დათო თითქოს დაბნეული იყო, კონცენტრაცია უჭირდა... კუპერი ვალდებული იყო, ყოველივე ეს გაეთვალა. კვირკველიას ფლანგური შეტევები ვერ ვიხილეთ, მხოლოდ ერთხელ ჩაერთო იერიშში მოხდენილად. შეტევაში რომ ეაქტიურა, **დემიენ დაფი** ასე ვერ დააწიოკებდა მის ფლანგს. ერთი სიტყვით, ეს ნამდვილად არ იყო კარგი თამაში კვირკველიასთვის, დაცვაშიც და შეტევაშიც თავი ვერ გამოიჩინა. ნაკრებში სათანადო კონკურენცია რომ არ არის, ერთხელაც გამოჩნდა.

### ლუკა რაზმაძე

„ვიტ ჯორჯიას" თავკაცმა **რამაზ მუმლაძემ** მასზე თქვა, ფუტკარივით მშრომელი ფეხბურთელიაო. კუპერმა კი საქართველო-ბულგარეთის მატჩის შემდეგ განაცხადა, **ლუკა რაზმაძემ** უმაღლეს დონეზე ითამაშაო. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში მუმლაძის ნათქვამი უფრო დაიჯერება, ვიდრე კუპერის.

შესაძლოა, რაზმაძემ ირლანდიასთან სწორად ითამაშა, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. უმაღლეს დონეზე სათამაშოდ რომ გადიხარ, გაცილებით მეტია საჭირო. არ გვინდა, რომ შეფასებაში მკაცრი ვიყოთ, მაგრამ კარგად გვახსოვს, საქართველოს ნაკრების შუა ხაზში როგორ თამაშობდნენ **გიორგი ნემსაძე** თუ **გოჩა ჯამარაული**. კუპერს კი უნდა, დაგვაჯეროს, რომ საქართველოს ნაკრებისთვის უმაღლეს დონეზე მოთამაშე ფეხბურთელი გამოძებნა. რაზმაძე კიდევ ითამაშებს ნაკრებში და უკეთესადაც - გამოცდილება გამოცდილებას ემატება და ეს უთუოდ წაადგება მას.


არის მარცხენა ფლანგი ალექსანდრე იაშვილისთვის ოპტიმალური პოზიცია?

### ლევან კობიაშვილი

ნაკრებს წინა მატჩი რუმინეთთან ჰქონდა და იმ ამხანაგურ შეხვედრაში **ლევან კობიაშვილმა** ნამდვილი ლიდერივით ითამაშა. ირლანდიასთან კი ეს ვერ გამოუვიდა. რაზმაძემ კარგად დაუგდო ბურთი და კობიმ დამიზნებით დაარტყა კარში - **შეი გივენმა** ბურთი კუთხურზე მოიგერია. კობიაშვილმა მეორე ტაიმშიც დაარტყა კარისკენ, რასაც რიკოშეტი, ძელი და **ალექსანდრე იაშვილის** არჩათვლილი გოლი მოჰყვა.

კობიაშვილმა რამდენჯერმე კარგად შეიმაგრა ბურთი, რამდენჯერმე ისეთი ჯარიმაც „აიკიდა", მეტოქის სახიფათო შეტევა რომ ჩაშალა. არ გამოგვითვლია მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი, მაგრამ ამის გარეშეც უნდა ვთქვათ - მისგან მეტს ველოდით.

### ზურაბ მენთეშაშვილი

კუპერმა მიზანში ვერ მოარტყა, როცა **ზურაბ მენთეშაშვილი** სასტარტოში დააყენა. ფეხბურთელი ყველა თამაშს ერთსა და იმავე დონეზე ვერ ჩაატარებს. მენთეშაშვილს უკეთესადაც უთამაშია ნაკრებში. ახლა კი ნაღდად დროა, ამ ნახევარმცველს სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდეს. მენთეშაშვილი უკან და განზე გაცილებით უფრო ხშირად აწვდის ბურთს თანაგუნდელს, ვიდრე წინ. ორთაბრძოლებშიც ვერ გამოიყურებოდა ყოჩაღად.

### ბექა გოცირიძე

ღმერთმანი, ნიჭიერი და შეუპოვარი შემტევია, მაგრამ ყველაფერს თავის დრო აქვს. ის არ არის ფლანგის ფეხბურთელი, მაგრამ კუპერმა 4-3-3 განლაგება დაიჩემა და რა გაეწყობა... გოცირიძეს არ აქვს დიდი სისწრაფე, არ არის ეფექტური, დაცვითი ფუნქციების შესრულებისას, ჩია აღნაგობის გამო ძალიან უჭირდა ზორბა ირლანდიელებისთვის ბურთის ართმევა. მეორე ტაიმში სწორად მან დაუგორა ბურთი კობიაშვილს და ირლანდია ბეწვზე გადაურჩა მეორე გოლს. ვფიქრობთ, გოცირიძე მზარდი ფეხბურთელია, ირლანდიასთანაც გამოჩნდა, რომ სანაკრებო დონეზე თამაშისთვის ჯერაც ბევრი აქვს სამუშაო, გარემარბად მისი გარდაქმნა კი კუპერის ექსპერიმენტია და არა დოგმა.

### ალექსანდრე იაშვილი

გოლი გაიტანა, გივენს ბურთი კუთხურზე მოაგერიებინა, არაერთხელ გამოირჩა ბურთის ფლობით, არაერთხელ შეიმაგრა ბურთი მაშინ, როცა ჩვენს ნაკრებს ძალიან უჭირდა - იაშვილმა კარგად ითამაშა. ზოგიერთისგან განსხვავებით, ის არ ჰგავდა ღლაპს, რომელიც უფროსებთან ხელებს კი იქნევს, მაგრამ მეტი არაფერი შეუძლია. იაშვილი წელს 32 წლის გახდება, ისევ გამრჯე და სასარგებლოა, გარემარბობა კი მას აიძულებს, დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულოს. ამიტომ, მისთვის ეს ამპლუა ძალიან საკამათოა. „შავი" სამუშაოს შესრულება მის შეტევით ენერგიას თითქოს ასუსტებს.

### დავით სირაძე

რუსეთის პრემიერლიგა ნოემბერში დასრულდა და ორ თვეზე მეტხანს სირაძე უგუნდოდ იყო. გროზნოს „ტერეკში" მისულს უმალ სანაკრებო მიწვევა მიუვიდა. კუპერს ყოველივე ეს უნდა სცოდნოდა და, ალბათ, იცოდა კიდეც, მაგრამ... **რატი ალექსიძეს** მაინც სირაძე ამჯობინა. დათომ მწვრთნელს ნდობა საგოლე პასით დაუფასა, თორემ სხვა მხრივ, თავი დიდად ვერ გამოიჩინა. ამ დროისთვის სირაძე არ არის ოპტიმალურ ფორმაში.

დავით **თავართქილაძე**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირლანდია-საქართველოს გამოხმაურება

# იღბლიანი გენერლის საღამო კროკ პარკზე

## აღიარეს, შეგვაქეს და ნულით გამოგვიშვეს

დუბლინის ცვრიანმა საღამომ ვეებერთელა „კროკ პარკზე“ შეკრებილ 65 ათასამდე ფანს 73-წუთიანი ელდის მერე შვება მოჰგვარა, სამაგიეროდ, საქართველოში ტელეეკრანებთან მჯდომი ასობით ათასი გულშემატკივარი გააწბილა და გაალიზიანა. დამერწმუნებით, მათი უმრავლესობის სიძულვილის საგანი ფინელი არბიტრი იუნი ჰიიტია იყო, რომელმაც საქართველოს ნაკრებს სერიოზული წარმატების მიღწევაში მასპინძელ ფორვარდებზე მეტად შეუშალა ხელი - პენალტი გამოიგონა. სხვათა შორის, ასე მხოლოდ ჩვენ არ ვყოფილვართ, მსგავსი გრძნობები უტრიალებდა თავში ექტორ კუპერსაც, როცა „კროკ პარკის“ საპრესკონფერენციო დარბაზის კარი იტალიელ ვიზავიზე ადრე შეაღო:



### კუპერი:
### რაც არ იყო, როგორ დაინახავდით?!

„ჩემი ფეხბურთელები გაბრაზებულნი არიან, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ვერც ერთმა მათგანმა ვერ გაიგო, ბოლოს და ბოლოს რატომ დანიშნეს ჩვენს კარში პენალტი. მეც ვერაფერი დავინახე და ვერც დავინახავდი იმ ეპიზოდში საპენალტოს. ბუნებრივია, ჩემი ფეხბურთელების განწყობილება მეც გადმომედო. არ ვამტკიცებ, რომ ჩვენ გამარჯვებას ვიმსახურებდით, მაგრამ ფაქტია, წასაგები თამაშიც არ გვქონდა. პენალტის დანიშვნამ კი გუნდი მორალურად გატეხა. პირველ ტაიმში თამაში თითქმის თანაბარი იყო. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ გავუძელით მეორე ტაიმის რიტმს. სხვათა შორის, ამის მეშინოდა თამაშამდეც, რადგან ქართველ ფეხბურთელთა უმეტესობას, ზამთრის პაუზის გამო, სათანადო პრაქტიკა არა აქვს. ვიცოდი, რომ მეორე ტაიმში ფიზიკურად გაგვიჭირდებოდა. თუმცა მატჩის უდიდესი ნაწილში ბიჭებს საბრძოლველად ძალ-ღონე მაინც ეყოთ“, - განუცხადა ჩვენი გუნდის თავკაცმა ჟურნალისტებს.

### ტრაპატონი:
### საქართველოს ნაკრები დიდებულია!

ჯოვანი ტრაპატონი კი ცხადია, კმაყოფილი იყო შედეგით. ის კუპერს დაეთანხმა, რომ პენალტი არ უნდა დანიშნულიყო, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ ეს არ იყო მატჩის გადამწყვეტი ეპიზოდი.

„რა თქმა უნდა, ამ ეპიზოდში ჩვენ გაგვიმართლა, მაგრამ ასეც ხდება ხოლმე: ფორტუნა ხან გაგიღიმებს, ხან - არა. მაგალითისთვის, პირველი ტაიმის წაგებას არ ვიმსახურებდით. მაგრამ საბოლოო ჯამში მოვიგეთ, იმიტომ, რომ მეორე ნახევარში ჩემმა ბიჭებმა წაგებული თამაში შემოაბრუნეს. შესვენებაზე რომ გავდიოდით, ფანებმა ბიჭებს უსტვინეს. ამას შეიძლებოდა უკუშედეგი გამოეღო. ამიტომ, გასახდელში ფეხბურთელებს ვთხოვე, ეთამაშათ რაც შეიძლება მარტივად, მარტივად და კიდევ უფრო მარტივად... მაგრამ სწრაფად. ეს საკმაოდ რთული შესასრულებელი იყო, რადგან მოედანზე სულ რაღაც 30 მეტრში 19 ფეხბურთელი იყო თავმოყრილი, თუმცა ჩემმა მოთამაშეებმა მოახერხეს და მეტოქე საკუთარ კარს მიაჯაჭვეს. შუა ხაზში მათ სამი ნახევარმცველი ჰყავდათ, ჩვენ - ორი, მაგრამ ბურთს უმთავრესად მაინც ჩვენ ვაკონტროლებდით. ეს კი მოსაგებად უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო. მეორე ტაიმში შეი გივენს თამაშში ჩართვამ მხოლოდ ერთხელ მოუწია. ეიდენ მაკგიდი ძალიან პერსპექტიული ფეხბურთელია. ის კიდევ მოუმატებს. შეტევაშიც და უკანაც მან და დემიენ დაფმა ძალიან ბევრი იშრომეს, იმავეს ვიტყოდი ფორვარდ კევინ დოილზეც“.

ტრაპატონიმ განსაკუთრებულად შეაქო გუნდის კაპიტანი **რობი კინი:** „როცა ის „ლივერპულში“ იყო, ყოველკვირას არ უწევდა თამაში, მაგრამ თავადაც ნახეთ, ყველაზე საჭირო დროს რისი გაკეთება შეუძლია. რობი კინი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია“.

ბოლოს, დიდმა მაესტრომ საქებარი სიტყვები არც საქართველოს ნაკრებისთვის დაიშურა: „მათგან ასეთ თამაშს არ ველოდი, არც ველოდი არც ასეთ ბრძოლას. თუმცა იტალიელებთან ქართველთა თამაში ნანახი მაქვს და ახლაც მჯერა, რომ მათ მაშინ არ უნდა წაეგოთ. საქართველოს ნაკრები ძალიან მომწონს, ის დიდებული გუნდია“.



### კინი:
### ზოგჯერ გამართლებაც საჭიროა

მატჩზე ფეხბურთელებმაც გამოთქვეს აზრი. „სქაი სპორტსის“ კორესპონდენტებმა კაპიტანი კინი მატჩის დასრულებისთანავე მოიხელთეს: „პირველ წუთზე გოლის გაშვება შეიძლება ძვირად დაგვჯდომოდა, მაგრამ ბედად, თამაშის შემობრუნება შევძელით. მომავალში ეს გაკვეთილი უნდა გავითვალისწინოთ და მსგავსი შეცდომები აღარ დავუშვათ. პენალტზე ვერაფერს გეტყვით, არ დამინახავს, იმ ეპიზოდში სულ სხვა მხარეს ვიყურებოდი. არ იყო 11-მეტრიანიო, გავიგე. ესე იგი, იღბალი ჩვენს მხარეს ყოფილა. ზოგჯერ ეს გარდაუვალია. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ ბევრს ვუტევდით და გამარჯვებას ვიმსახურებდით. და გავიმარჯვეთ კიდეც“.

**კევინ დოილმა** ირლანდიის საფეხბურთო ასოციაციის ოფიციალურ ვებგვერდს განუცხადა:

„ვაღიარებ, რომ გაგვიმართლა. ისე გამოვიდა, რომ პენალტის ეპიზოდმა გადაწყვიტა მატჩის ბედი. მანამდე ბევრს კი ვუტევდით, კუთხურებს ვაწვდიდით, ჯარიმებს ვურტყამდით, მაგრამ... ქართველებს რეალურ ხიფათს ვერ ვუქმნიდით. რობიმ შესანიშნავად შეასრულა თავისი მისია. ახლა ბულგარეთსა და იტალიას ამაღლებული განწყობილებით დავუპირისპირდებით. მეტოქე თავიდანვე დაწინაურდა და მერე დაცვაში ჩაჯდა, ამიტომ მისი დამარცხება ურთულესი იყო“.

### ვინ იხსნა ირლანდია?

ოთხშაბათ საღამოსვე ყველაზე მახვილგონივრული სათაური **„ევროსპორტის“** მიერ შემოთავაზებულ მიმოხილვას ჰქონდა: „კინმა და მსაჯმა ირლანდია იხსნეს“. აი, ნაწყვეტი ამ რეცენზიიდან:

„ქართველ ფეხბურთელებს, რომ ფინელი არბიტრის იუნი ჰიიტიას ბიოგრაფიულ ცნობებში ჩაეხედათ, მიხვდებოდნენ, რომ მას უყვარს „ყვითლების“ დარიგება, რომ 5 გაფრთხილება მისთვის ნორმაა. და კიდევ ერთი „დეტალიც“ - ეს ფინელი არბიტრის ბოლო საერთაშორისო მატჩი უნდა ყოფილიყო კარიერაში“...

**„სპორტინგ ლაიფი“**: „ფინელმა არბიტრმა იუნი ჰიიტიამ ყველა გააოცა თავისი განაჩენით. მან უჩა ლობჟანიძეზე ხელით თამაში დააფიქსირა, არადა, ფეხბურთელმა მხრით ითამაშა, თანაც, მანამდე ირლანდიელი ფეხბურთელი თამაშგარეში იყო, რაც კარგად შენიშნა ლაინსმენმა, მაგრამ ჰიიტიამ არც მას დაუჯერა“.

სხვათა შორის, ირლანდიური მედია მხოლოდ ამ ეპიზოდზე არ ამახვილებს ყურადღებას. მაგალითად, **„ინდეპენდენტი“** მიიჩნევს, რომ მათ სრულიად უმიზეზოდ გაუუქმეს გოლი, რადგან ბურთს ბოლოს **ზურაბ ხიზანიშვილი** შეეხო და არა ირლანდიელი ფეხბურთელი. თუმცა უმეტესობა ერთხმად აღნიშნავს, რომ ოთხშაბათ საღამოს, „კროკ პარკზე“, ჰიიტიას სახით ფინური ფორტუნა ირლანდიას უღიმოდა.

### ენამწარე კერის ცუდი პროგნოზი ქართული ფეხბურთისთვის

**ბრაიან კერი,** ირლანდიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი (2003 წელს ირლანდიელები ორივეჯერ მისი ხელმძღვანელობით გვეთამაშნენ), დღეს კი საფეხბურთო ანალიტიკოსი, „აირიშ თაიმსში“ თავის ხედვას გვთავაზობს. ის სასტიკად აკრიტიკებს ტრაპატონის გუნდს, რადგან მიაჩნია, რომ:

„საქართველოს ნაკრები, საუკეთესო შემთხვევაში, ოსტატობას მოკლებული და სათამაშო დისციპლინის არმქონე გუნდია, რომელიც ვერაფრით ჩამოყალიბდება სერიოზულ ნაკრებად. ტრაპატონის ირლანდია აღმოჩნდა მდევრის როლში და გუნდს მართებს ამ გაკვეთილის კარგად დამახსოვრება. მერწმუნეთ, მომავალში ირლანდიის ნაკრებს კიდევ ბევრჯერ მოუწევს ამ როლში ყოფნა“.

ირლანდიელთა გამარჯვებას კერი ქართველთა უთამაშებლობით ხსნის: „ჩვენ მხოლოდ მაშინ მოვიპოვეთ უპირატესობა, როცა ქართველებს დაღლა დაეტყოთ. მათთვის საფეხბურთო სეზონი ჯერ არ დაწყებულა. სტუმრებს უხეშობის მეტი არაფერი დარჩენოდათ. ჭკვიანი კაცია კუპერი, მან უმალ იგრძნო რომ ზურაბ მენთეშაშვილს მალე წითელ ბარათს აუფრიალებდნენ და ის თამაშიდან გაიყვანა“.

„აირიშ თაიმსის“ მიმომხილველი **ტომ ჰემფრიზი** ტრაპატონის „იღბლიან გენერალს“ უწოდებს.

### შეფასებები, შეფასებები...

რამდენიმე გამოცემამ არ დაიშურა მატჩში მონაწილე ფეხბურთელებისთვის ქულების ჩამორიგება. ბუნებრივია, ეს შეფასებები ხშირად სუბიექტურია და საკამათოც, თუმცა ქართველი მკითხველისთვის ეს მაინც საინტერესო იქნება. ირლანდიურმა „ილევენ ე საიდმა“ მხოლოდ მასპინძელთა თამაში შეაფასა. ყველაზე მაღალი (9) ქულა ფორვარდმა **კევინ დოილმა** მიიღო. ახალგაზრდა **ეიდენ მაკგიდიმ,** რომელიც ოფიციალურად დაასახელეს მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად, 8 ბალი მიიღო, ისევე, როგორც **დემიენ დაფმა**. ყველაზე ცუდი შეფასებები **ჯონ ო'შიმ** (5) და **სტივენ კელიმ** (4) მიიღეს. „მირორმაც“ მხოლოდ ირლანდიელთა შეფასებებით შეიწუხა თავი. ამ გამოცემამ კინი გამოარჩია - 8 ბალი. ვებგვერდი Goal.com კი ქართველ ფეხბურთელთა შეფასებებსაც გვთავაზობს. აი, მისი ვერდიქტიც:

**ლომაია - 5,5.** მის თამაშს დამაჯერებლობა აკლდა, განსაკუთრებით - მაღალი ბურთებისთვის ბრძოლაში. შეეძლო, უკეთ ეთამაშა მეორე გაშვებული გოლის მომენტში.

**ლობჟანიძე - 6.** საბრალო ლობჟანიძე... არ გაუმართლა, ხელით თამაში დააბრალეს. მანამდე სოლიდურად გამოიყურებოდა, დაცვაშიც კარგი იყო და ხანდახან შეტევებშიც ერთვებოდა. ქართველების გოლში მისი დამსახურებაც იყო. არადა, მას სუპერაქტიური მაკგიდი აწუხებდა.

**კალაძე - 7.** გამოცდილების ხარჯზე ორთაბრძოლებში ბრწყინვალე იყო, ხშირად იწყებდა კიდეც თავისი გუნდის შეტევებს.

**ხიზანიშვილი - 6,5.** რადგან კალაძე ნაკლებად მოძრავი იყო, ხშირად მას უხდებოდა „შავი სამუშაოს“ შესრულება. ხშირად ზედმეტად ჩქარობდა.

**კვირკველია - 4,5.** ქართველთა დაცვის ხაზის უსუსტესი წევრი. დაფმა და მაკგიდიმ მისი ფლანგი აიკლეს, ბურთის კონტროლის დროსაც ხშირად ცდებოდა.

**მენთეშაშვილი - 7.** პირველ ტაიმში დიდ საქმეს აკეთებდა, ბევრს იბრძოდა. მეორე ნახევარში კი შეცვალეს, რადგან გაფრთხილება ჰქონდა მიღებული. ფაქტია, მის გარეშე საქართველო დასუსტდა.

**გოცირიძე - 6.** მონდომებული იყო, მაგრამ ამ დონეზე კარგად თამაშისთვის გამოცდილების გაღრმავება მართებს.

**კობიაშვილი - 8.** ვეტერანმა კლასი გვიჩვენა. მოედანს კარგად ხედავდა და პოზიციურადაც არ ცდებოდა.

**იაშვილი - 7,5.** გოლის ავტორი. ქართველებისგან ყველაზე სახიფათო შემტევი იყო, კელის ნაკრებში დაბრუნება ჩაუშწარა.

**რაზმაძე - 6.** ძალიან კარგად უგებდა კობიაშვილს, მასაც შეეძლო ერთიორი მომენტის შექმნა.

**სირაძე - 5,5.** უკან ღრმად დაიხია, რომ საქართველოს ნაკრებს მოედნის შუაში უპირატესობა ჰქონოდა, რაც კარგადაც გამოუვიდა, თუმცა მასპინძელთა კარს ვერ ემუქრებოდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ირლანდია-საქართველოს გამოხმაურება



# რატომ წავაგეთ ირლანდიაში?

**საქართველოს ნაკრებმა კიდევ ერთხელ აანერვიულა გულშემატკივარი. წაგებით ვის არ წაუგია, მაგრამ დუბლინური ფეხბურთი, უფრო სწორად - მისი შედეგი, ძალზე გულდასაწყვეტი იყო. ბიჭებს ვერავინ დაუკარგავს თამაშის ჟინს, მაგრამ მაინც არ ჩანდა ის საერთო საბრძოლო სულისკვეთება, რითიც გუნდი უნდა შედგეს, და რაც მთავარია - გვაკლდა კლასი. სწორედ ამას აღნიშნავენ ის სპეციალისტები, რომელთაც „ლელო" ოთხშაბათის მატჩზე ესაუბრა...**

## რა შეექლო კუპერს?

**ვლადიმერ ხაჩიძე (გაგრა, მთავარი მწვრთნელი):** - ნაკრების შემადგენლობის ფონზე, კიდევ კარგად ითამაშეს. ძალიან მიმძიმს ლაპარაკი, რადგან წავაგეთ მნიშვნელოვანი და პრინციპული შეხვედრა. არადა, ძალზე იღბლიანად დაიწყო ყველაფერი, მაგრამ გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ - საბოლოო შედეგი უნდა ყოფილიყო ისეთი, როგორიც დაფიქსირდა. რა თქმა უნდა, მსაჯმა ჩვენს კარში უსამართლო პენალტი დანიშნა, მაგრამ საერთო სურათს ესეც ვერ შეცვლიდა, რადგან ჩვენი ნაკრების თამაში არ მომეწონა, საქართველოს მთავარი გუნდი ასე უკბილოდ არ უნდა გამოიყურებოდეს.

ჩვენ ვითამაშეთ სამი ნახევარმცველით, რომელთაგან არც ერთს არ შეუძლია შეტევის წამოწყება. ორი გარემარბი გვყავდა, მაგრამ ამ ტაქტიკაში მათ ეფექტური მოქმედება გაუჭირდათ... საერთოდ, შეუძლებელია,ააწყო შეტევები, როცა გუნდში თავდამსხმელისთვის ბურთის მიმწოდებელი არ არის. სამწუხაროდ, ტრავმებმა ჩვენი გუნდი სწორედ ამ პრობლემის წინაშე დააყენა. რამდენიმე საკვანძო ფეხბურთელი დაგვაკლდა. ბუნებრივია, ამან შედეგზეც იქონია გავლენა.

თუ დააკვირდით, მეორე ტაიმში ტრაპატონიმ ირლანდიელთა თამაში შეცვალა - დაფს ადგილი შეუცვალა და მის წინააღმდეგ თამაში უკვე კვირკველიას უწევდა. მარცხნივ თამაშობდა იაშვილი და ამ ტაქტიკის მიხედვით, სწორედ ის უნდა დახმარებოდა კვირკველიას. თუმცა იაშვილი ძირითადად შეტევაზე ზრუნავდა. ამიტომაც იყო, რომ მარცხენა ფლანგზე კვირკველიას ძალიან გაუჭირდა.

შეიძლება, ბევრმა თქვას, რომ მატჩის ფრედ დასრულება ან თუნდაც მოგება შესაძლებელი იყო... კი ბატონო, ამას არც მე უარვყოფ, მაგრამ მაინც მიმაჩნია - ჩვენ ჯერ არ ვართ იმ დონეზე, რომ ასეთი მატჩები მოვიგოთ, თუნდაც სათამაშო დისციპლინის თვალსაზრისით.

წაგების მიუხედავად, კუპერისკენ ვერ გავიშვერ ხელს. მას არ ჰყავდა ოპტიმალური შემადგენლობა და ბუნებრივია, ირლანდიის ბრძოლისუნარიან გუნდთან დაპირისპირება ძალიან რთული იქნებოდა. საკადრო პრობლემებმა განსაკუთრებით მეორე ტაიმში იჩინა თავი, როცა ირლანდიელებმა სწრაფად დაიწყეს თამაში და ჩვენები მათ წინააღმდეგ თითქმის ვერაფერს გახდნენ. ასეთ დროს კლასი და გამოცდილება ძალზე მნიშვნელოვანია...

## ცქიტიშვილის არგამოძახება დანაშაულია

**ზაზა ზამთარაძე (ლოკომოტივი, მწვრთნელი):** - ვუყურებ კუპერს და მიკვირს მისი სიჯიუტე. ზაზა ზამთარაძე არ არის იმ რანგის მწვრთნელი, ასე თამამად რომ ლაპარაკობდეს მწვრთნელზე, რომელმაც თავის დროზე „ვალენსია" და „ინტერი" გაუწვრთნია. თუმცა არ შეიძლება იმის მოთმენა და პირში წყლის ჩაგუბება, რასაც ვუყურებთ და რაზეც ლოგიკური კითხვები ჩნდება.

ცოტა ხნის წინ, საქართველოს ნაკრები რუმინეთთან ამხანაგურ შეხვედრაში დამარცხდა. იმ მატჩის მიმდინარეობა ირლანდიასთან თამაშის იდენტური იყო. ბუქარესტსა და დუბლინში წავაგეთ მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ჩვენს გუნდში ბურთის დამჭერი არ მოიძებნა. ბუნებრივია, გამოცდილი მწვრთნელის მიმართ კითხვა ჩნდება - რატომ არ იწვევს ეროვნულ ნაკრებში ლევან ცქიტიშვილს? საქართველო ფეხბურთელებით მდიდარი ქვეყანა არ არის, არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ცქიტიშვილი, მუჯირი და ასათიანი ნაკრებს მიღმა დავტოვოთ. აშკარად გამოჩნდა თითოეული მათგანის საჭიროება. ცქიტიშვილის მსგავსად არც ერთს არ შეუძლია ბურთის საჭირო დროს გაჩერება, გაკონტროლება და განაწილება. 2:1-ზე გამოჩნდა, რომ არ გვყავდა მუჯირივით შორიდან კარგად დამრტყმელი მოთამაშე, ვისაც შეეძლო, ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ადგილიდან მოულოდნელად დაერტყა და მეკარე სახტად დაეტოვებინა.

ჩემთვის გაუგებარი იყო შეცვლებიც. კი, ბატონო, მენთეშაშვილი დაილალა და „ახალ სისხლზე" გაკეთდა აქცენტი, მაგრამ ლევან ხმალაძე ხომ სხვა ამპლუის მოთამაშეა და არა ბურთის დამჭერი? ძალიან არ მინდა, მკაცრი ტონით ვილაპარაკო, მაგრამ არც ის მინდა, ამდენი წაგების შემდეგ მშვიდად ვისხდეთ და თავს ვიტყუებდეთ. რაც უნდა დიდი და ძლიერი სპეციალისტი იყოს, შეცდომებზე უნდა მივუთითოთ. ჩემი აზრით, სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები იყო წაგების მთავარი მიზეზი.

**- თქვენ დიდი ხანია ლევან ცქიტიშვილის გამოძახების აუცილებლობაზე ლაპარაკობთ, მაგრამ ამით არაფერი იცვლება...**

- ეს უფრო სიჯიუტეს ჰგავს, ვიდრე რაღაც პრინციპის გატარებას. ის ხომ საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელებს არჩევს და იწვევს. სწორედ აქედან გამომდინარე, ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ აქცევს ყურადღებას ცქიტიშვილს, რომელიც საქართველოში ნამდვილად გამორჩეულია?! ან თუნდაც დავით მუჯირი ავიღოთ, რომელსაც ბოლო დროს მოსკოვის „ლოკომოტივში" სულ უფრო მეტად ენდობიან. საინტერესოა, მისი გამოუძახებლობა რითი აიხსნება? მე მგონი, მოსკოვის „ლოკომოტივი", ასე თუ ისე, ნორმალური გუნდია. ასეთ კლუბში ქართველი თამაშობს და ამაზე თვალის დახუჭვა, ლოგიკას არ ექვემდებარება. ცოტა ხნის წინ ვიყავი ანთალიაში, სადაც მოსკოვის „ლოკომოტივი" ემზადებოდა. იქვე ახლოს, სასტუმროში, კუპერიც გაჩერდა და, ბუნებრივია, იფიქრებდი, რომ „ლოკომოტივის" რომელიმე მატჩს მუჯირზე დაკვირვების მიზნით დაესწრებოდა, მაგრამ... მსგავსიც არაფერი. ეს არის სწორედ გულდასაწყვეტი... თუმცა ისევ თამაშს დავუბრუნდები. ბუნებრივია, ირლანდიაში ყველას გამარჯვება გვინდოდა, მაგრამ ქულის ალებაც კი ასეთი თამაშით ალოგიკური იყო. თუმცა ისიც ვთქვათ, რომ ირლანდიაც ვერ სწყვეტდა ვარსკლავებს - ვერ ნახეთ, რა გუნდიც იყო?

კიდევ ერთხელ ვამბობ - მე ვინ ვარ, კუპერი გავაკრიტიკო, მაგრამ მისი სიჯიუტე გაჩუმების უფლებას არ მაძლევს. არ გვყავს უკეთესი ფეხბურთელები და ჩემ მიერ დასახელებული სამეულის იგნორირება უბრალოდ სირცხვილია.

**- ასათიანის შემთხვევაში კუპერი მიზეზად თავად ფეხბურთელს ასახელებს, თანაც, იქვე ამბობს, რომ უთამაშებელ ფეხბურთელს არ გამოიძახებს...**

- მესმის, რომ უთამაშებელი ფეხბურთელის მიწვევა არასწორია. თუმცა ამგვარი ფუფუნების უფლება მისცეს საკუთარ თავს ბრაზილიის, არგენტინისა და იტალიის ნაკრებთა მწვრთნელებმა. საქართველო მაღალი კლასის ფეხბურთელებით ასეთი განებივრებული არ არის და რა ვქნათ? საუკეთესოები თამაშგარეში დავტოვოთ? არ მსურს დაკონკრეტება, მაგრამ ისეთი ფეხბურთელებიც არიან ნაკრებში, რომლებიც ამ დონეს ვერ აკმაყოფილებენ, ბურთს ვერ იმორჩილებენ და პოზიციას ვერ არჩევენ... არ მგონია, ცქიტიშვილმა, ასათიანმა და მუჯირმა მათზე უარესად ითამაშონ.

სხვათა შორის, უთამაშებელი იყო ზურაბ ხიზანიშვილიც, მაგრამ საქართველოს ნაკრებში ერთ-ერთი სამაგალითო გახლდათ. ასეთივე საჭირო იყო ასათიანიც. უკვე მესამოცე წუთზე გამოჩნდა, რომ მოედნის ცენტრში ბურთის დამჭერი გვჭირდებოდა, მაგრამ სათადარიგოთა სკამზე ასეთი მოთამაშე არ აღმოჩნდა - საკითხავია, მწვრთნელმა ეს რატომ ვერ გათვალა?

იმავე მუჯირის თაობაზე ვიტყვი - როცა ირლანდიელები გვიტევდნენ, კონტრიერიშის მშვენიერი შესაძლებლობები ვერ გამოვიყენეთ. ამ დროს, საჭირო იყო მუჯირი, რომელიც შორიდან მაინც დაარტყამდა - გახსოვთ, უკრაინასთან, კიევში, შოვკოვსკის ბოლო წუთზე კინალამ რომ გაუტანა?

კიდევ ერთი ფაქტი მაოცებს - „ზესტაფონიდან" ნაკრებში ორი მეკარე აიყვანეს. რატომ ხდება ასე? სათადარიგო მეკარე შეიძლება გამოიძახო, თუ ის „მანჩესტერ იუნაიტედში" თამაშობს. ამავე დროს, გაუგებარია, რატომ არ იწვევენ ჩვენი ჩემპიონატის ლიდერ „ვიტ ჯორჯიას" მეკარე ბედიაშვილს? ეს უბრალოდ მაგალითად მოვიყვანე, თორემ ზოგადად იმის თქმა მსურს, რომ პრინციპია გაუგებარი. მეკარეებს არაფერს ვერჩი...

როცა ირლანდიასთან წაგებაზეა ლაპარაკი, ჯერ ის უნდა გავიხსენოთ, რატომ დაინიშნა მატჩი 11 თებერვალს. ეს თარიღი საქართველოს ნაკრებისთვის აბსოლუტურად მიუღებელი იყო. ჩვენი მოთამაშეების უმრავლესობა შეკრებებზე იმყოფებოდა, ნაწილმა კი სეზონი ახლახან განაახლა. ამ დროს კი ირლანდიელთა უმრავლესობა ინგლისის პრემიერლიგაში თამაშობს, სადაც სეზონი თითქმის არ ჩერდება. განა, ამის წინასწარ განჭვრეტა არ შეიძლებოდა? ხომ ნახეთ, 11 თებერვალს ყველა სოლიდურმა ევროპულმა ნაკრებმა აარიდა თავი ოფიციალური მატჩების გამართვას. მაინცდამაინც ჩვენ რატომ აღმოვჩნდით გამონაკლისი, ვერც ეს გავიგე...

**მერაბ მამულაშვილი**

## ეროვნული ჩემპიონატი

ვიტ ჯორჯია

### გაგრელები აქეთ!

ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპი განახლდა, მაგრამ ზოგიერთი კლუბი სატრანსფერო საქმიანობას აგრძელებს. ჯერ კიდევ შუასასეზონო პერიოდში „ვიტ ჯორჯიამ" „გაგრადან" გუნდის კაპიტანი, ცენტრალური მცველი **ნიკა მგელაძე** აიყვანა, ხოლო ახლა კიდევ ორი ფეხბურთელი წაჰგვარა - თავდამსხმელი **მიხეილ ხოკერაშვილი** და მარჯვენაფლანგელი **ზამორა დათუნაშვილი.**

ხოკერაშვილი, ვისაც საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებშიც უთამაშია, 18 წლისაა, დათუნაშვილი კი - ოცის. ხოკერაშვილი იშვიათად ხვდებოდა „გაგრას" ძირითადში, ხოლო დათუნაშვილი გუნდის ერთ-ერთ საკვანძო მოთამაშედ მიიჩნეოდა. „ვიტ ჯორჯიამ" ორივე მათგანთან სამ-სამი წლით გააფორმა კონტრაქტი.

**დავით თავართქილაძე**

ზესტაფონი

### სისე სახლში, ელ ზიანი ჯერ რჩება

„ზესტაფონმა" ორმხრივი მატჩი ითამაშა და გადაწყვეტილებაც ამის მერე მიიღო - იმერულ კლუბში გასინჯვაზე მყოფი **ინდრესა სეგა სისე** სახლში გაუშვა. სენეგალის 19-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელს **გია გეგუჩაძე** ერთი კვირის განმავლობაში აკვირდებოდა და ბოლოს მასზე უარი თქვა.

სისეს დაწუნებამდე „ზესტაფონში" კიდევ ერთი უცხოელი მივიდა და ისიც ფორვარდი - 23 წლის **ომარ ელ ზიანი**, რომელიც წარმოშობით ლიბანელია, პასპორტით კი გერმანელი და ფეროელებთან მესამებუნდესლიგური გამოცდილებით მოხვდა. ორმხრივ თამაშში მანაც მიიღო მონაწილეობა, მაგრამ მის თაობაზე გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული. დაკვირვება გრძელდება...

**დავით თავართქილაძე**

დინამო

### ოვონოს თამაში ჩაეშალა



დიდიე ოვონო

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მორიგი შეხვედრების შემდეგ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები დაუბრუნდნენ. ცნობილია, რომ **გიორგი მერებაშვილმა** და **ლევან ხმალაძემ** შეცვლაზე ითამაშეს, **გურამ კაშიას** კი ზურგის ტრავმის გამო არ უასპარეზია.

ნაკრებში იყო გამოძახებული „დინამოს" მეკარე **დიდიე ოვონოც**. გაბონის ეროვნული გუნდის ძირითადი კიპერი საფრანგეთში იმყოფებოდა, სადაც მისი ქვეყნის ნაკრებს გამბიასთან ამხანაგური მატჩი უნდა ჩაეტარებინა. თუმცა უამინდობის გამო თამაში ჩაიშალა. ოვონო თბილისში უკვე დაბრუნდა და გუნდთან ერთად ივარჯიშა კიდეც.

**მერაბ მამულაშვილი**

პირველი ლიგა

# ბაიამ ბულგარელებს მოუგო

ქართული კლუბების გაჭირვების ფონზე, ზუგდიდის „ბაიას“ გაქანება გაოცებას იწვევს. პირველი ლიგის დასავლეთი ზონის ლიდერი ამჟამად ანთალიაშია და **ჰერბერტ ცანკერის** ხელმძღვანელობით ჩემპიონატის განახლებისთვის სერიოზულად ემზადება. მარტვილის „მერანის“, „სამტრედიასა“ და ფოთის „კოლხეთის“ სახით, „ბაიას“ საკმაოდ ძლიერი კონკურენტები ჰყავს. ზუგდიდი კი შეიძლება, საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში პირველი რეგიონული ქალაქი გახდეს, რომელიც უმაღლეს ლიგაში ორი გუნდით იქნება წარმოდგენილი. ასეთ შემთხვევაში ნამდვილი დერბის პერსპექტივა გველოდება. ფაქტია, თბილისი საქართველოს ჩემპიონატს არ სწყალობს, რაიონებში კი ფეხბურთი ლამის ერთადერთი გასართობია და სტადიონებიც, ასე თუ ისე, ივსება. ამ მხრივ, ზუგდიდმა უკვე ზესტაფონსაც გადაუსწრო და მატჩებზე დასწრებით, არა თუ უმაღლესლიგელი „მგლები“, პირველი ლიგის ლიდერი „ბაიაც“ მოწინავე ქართული გუნდია.

„ჯერჯერობით, გუნდში სერიოზული საკადრო ცვლილება არ არის. შემადგენლობაც, ფაქტობრივად, იგივეა, რითიც პირველ ეტაპზე ვთამაშობდით და ლიდერობა მოვიპოვეთ. მზადება 27 იანვარს, ზუგდიდში დავიწყეთ, 7 თებერვალს კი მეორე შეკრება დაიწყო - უკვე ანთალიაში. თურქეთში ორი კვირა გავჩერდებით და 21 თებერვალს დავბრუნდებით. საკონტროლო მატჩი ჩავატარეთ ბულგარეთის მე-3 ლიგის კლუბ „სტალბილოსთან“ და 1:0 მოვიგეთ. ეს ერთადერთი გოლი ირაკლი ეხვაიამ გაიტანა. ამას გარდა, კიდევ 3 ტესტმატჩი დავგეგმეთ, ერთ-ერთი - 14 თებერვალს, რუსეთის პრემიერლიგის კლუბთან, დანარჩენი ორი მეტოქის ვინაობა კი უახლოეს დღეებში გაირკვევა“, - გვითხრა ზუგდიდის „ბაიას“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **ჯემალ გოგიამ.**

**მერაბ მამულაშვილი**

სასარგებლო კონტაქტები

# ქართველები ბითუმად, თანაც ბრაზილიაში...

ბრაზილიაში მცხოვრები ქართველი სპეციალისტი **გოჩა ალადაშვილი** ჩვენებური მოთამაშეებისა და მწვრთნელების ამ სამხრეთამერიკულ ქვეყანაში გამგზავრებას უწყობს ხელს. ადრე, ალადაშვილი ბრაზილიიდან ქართულ კლუბებს მოთამაშეების ჩამოყვანაში ეხმარებოდა, ახლა მუშაობა უფრო სასურველი მიმართულებით დაიწყო.

როგორ ცნობილია, „ატლეტიკო პარანენსეში“ მან 18 წლის თავდამსხმელი **გიგა ნაქაძე** წაიყვანა. ახლა კი ლაპარაკია ქართველ მოთამაშეთა მთელი ჯგუფის გაგზავნაზე. სამი თვის განმავლობაში ნაქაძემ იქ საკმაოდ დიდი პროგრესი განიცადა და ეს არც არის გასაკვირი - ახალგაზრდა ქართველებს ბრაზილიაში ბევრი რამის სწავლა შეუძლიათ. სწორე ამაზეა გათვლილი ალადაშვილის მორიგი ჩანაფიქრი. ამ საკითხში ის „მთვარის გლობუსის“ მწვრთნელ **პაატა კირთაძესთან** თანამშრომლობს.

„გოჩას ბრაზილიაში მშვენიერი კავშირები აქვს. ასევე ურთიერთობს წამყვან საფეხბურთო კლუბებთან და ყველანაირად ცდილობს, ქართველ ბავშვებსა და მწვრთნელებს დასტაჟებასა და ზრდაში დაეხმაროს. ახლა საუბარია პარანის შტატში, კურიტიბის „ატლეტიკო ნასიონალში“ ბავშვებისა და მწვრთნელების გაგზავნაზე. გოჩას ხელშეწყობით, ბრაზილიური კლუბის წარმომადგენლად მე დავინიშნე, თავად კი ბუნებრივია, კოორდინაციას გაგვიწევს. ნაქაძის წინსვლა ადასტურებს, რომ თუნდაც სამთვიანი სტაჟირებით, ქართველი ბავშვები საგრძნობ პროგრესს განიცდიან, იზრდებიან და ამიტომაც გვსურს, ამგვარ სტაჟირებებს მასობრივი სახე მივცეთ. ეს ისევ ქართული ფეხბურთის მომავალს წაადგება. ბუნებრივია, თანამშრომლობა მხოლოდ მოთამაშეებით არ შემოიფარგლება, ბრაზილიელებს ხომ მსოფლიოში სახელგანთქმული, შეიძლება ითქვას, წამყვანი სამწვრთნელო სკოლა აქვთ. იქ თუნდაც სამთვიანი ან ნახევარწლიანი მივლინებით და კლუბებში ვარჯიშებზე დასწრებით, სწავლას მოწყურებული ნებისმიერი სპეციალისტი ბევრს გაიგებს და შეიძენს. დასამალი არ არის, რომ საქართველო წამყვან ქვეყნებს სამწვრთნელო მეთოდებითაც ჩამორჩება და ბევრი სხვა კუთხითაც. ასეთი მივლინებები მოთამაშეებსაც გაარკვევს თანამედროვე ფეხბურთის მოთხოვნებში და მწვრთნელებსაც - უახლეს სავარჯიშო მეთოდებსა და მიმდინარეობებში“ - გვითხრა პაატა კირთაძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი



დავით მუჯირი


ჯაბა კანკავა

## მუჯირმა ესპანეთი დაასრულა

ესპანურ ხერესში მეორე საწვრთნელ შეკრებაზე მყოფმა მოსკოვის „ლოკომოტივმა“ მორიგ მატჩში ზაპოროჟიეს „მეტალურგთან“ ფრედ (0:0) ითამაშა. **დავით მუჯირმა** სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა, მწვრთნელმა ის 74-ე წუთზე **შარლესით** შეცვალა. წუხელ „ლოკომოტივი“ ესპანეთიდან შინ დაბრუნდა. 3 დღის განმავლობაში ფეხბურთელები ინდივიდუალურად მოემზადებიან. 16 თებერვალს გუნდი მესამე წინასასეზონო შეკრებაზე მიდის. ამჯერად, რკინიგზელები რომის ოლიმპიურ ბაზაზე მოემზადებიან.

## კანკავას და გიგიაძეს კვლავ გააქვთ

მეორე თურქული შეკრება გამარჯვებით გახსნა ლვოვის „კარპატიმ“. **გია გურულის** გუნდმა პოლონურ „იაგელონიას“ 3:2 მოუგო. მატჩის მე-12 წუთზე ანგარიში უკრაინელმა **კოპოლოვეცმა** გურულის პასით გახსნა. ჩვენმა თანამემამულემ მოედანზე 90 წუთი დაყო.

სპარინგმატჩი გამართა ლუგანსკის „ზარიამაც“. დანიურ „ოლბორგთან“ უკრაინელებმა ფრეს მიაღწიეს - 1:1. „ზარიას“ რიგებში **გიორგი ციმაკურიძემ** შეუცვლელად ითამაშა. მწვრთნელ **თამაზ პერტიას** „დინაბურგი“ (ლატვია) კი ოდესის „ჩერნომორეცთან“ 1:5 დამარცხდა. პერტიამ ახალწვეული **ირაკლი ქორთუა** მოედანზე მეორე ტაიმში შეიყვანა.

სიმფეროპოლის „ტავრია“ რუსულ „ლუჩს“ უნდა შეხვედროდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა თამაშზე ბოლო მომენტში უარი განაცხადა. „ტავრიამ“ უმალ მოძებნა სპარინგპარტნიორი მაკედონიური „მეტალურგის“ სახით და 2:3 წააგო. **ლადო ბურდულმა** და **ვასილ გიგიაძემ** შეუცვლელად ითამაშეს. ერთი გოლი პენალტით გიგიაძემ გაიტანა.

წუხელ „დნიპრო“ რუმინულ „პანდურის“ დაუზავდა - 1:1. ამჯერად, გუნდის სასტარტოში მხოლოდ ერთმა ქართველმა, **ჯაბა კანკავამ** ითამაშა. მე-17 წუთზე ჯაბამ **კარნოსას** ჩაწოდებულს მიუსწრო და ანგარიში ტექნიკური დარტყმით გახსნა. 75-ე წუთზე მას დუბლის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა. **სანდრო კობახიძეს** არ უთამაშია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ინდივიდუალური მომზადება ქარატეში

ყალიბდება 10-კაციანი (ორივე სქესისთვის) ელიტური ჯგუფი, რომელიც ფიზიკური მომზადების გარდა, გაივლის ზოგად ფსიქოლოგიას, ავტოტრენინგს, თერაპიის რამდენიმე სპეციფიკურ ფორმას.

ჯგუფს აყალიბებს საერთაშორისო კატეგორიის ინსტრუქტორი, ექსპერტი მამუკა დავითიშვილი-ბაგრატიონი, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება აღმოსავლეთის ქვეყნებში.

დაგვიკავშირდით: ოფისი (Tel/Fax) 963 189
ინსტრუქტორი 895 131 662

მისამართი: ქ. თბილისი, არმიის სპორტული კომპლექსი, უნივერსიტეტის 2.

# გაგრამ აფრიკაში წყარო მოძებნა

## რატომ ჩამოვიდა თბილისში ბრაიტონის აკადემიის პრეზიდენტი?

ქართული კლუბების უმრავლესობისგან „გაგრამ“ უთუოდ გამოირჩევა სელექციით. კლუბის ხელმძღვანელობისთვის კატეგორიულად მიუღებელია ასაკოვანი მოთამაშეების გადაბირება, ახალგაზრდებს კი, შეიძლება ითქვას, სანთლით ეძებს. „გაგრას“ პრეზიდენტ **ბესიკ ჩიხრაძის** საკადრო პოლიტიკა მკაფიო და მარტივია - მას ნიჭიერი ფეხბურთელების აღზრდა და ახალგაზრდული შემადგენლობით წარმატების მიღწევა სურს. მთავარი მიზანი კი საქართველოს ნაკრებისთვის ფეხბურთელების აღზრდაა...

ამ ბოლო ხანს „გაგრამ“ სასელექციო პოლიტიკაში მცირე კორექტივი შეიტანა - ზამთრის პაუზის დროს კლუბმა უცხოეთიდან ფეხბურთელების ჩამოყვანა გადაწყვიტა. პირველი ლეგიონერი უკრაინელი **ვლადიმირ კოზლენკოა**, რომელთანაც კლუბმა კონტრაქტიც გააფორმა.

ნიგერიელი **ოვონიკოკოს** თაობაზე ქვემოთ უფრო ვრცლად მოგახსენებთ. ახლა კი გაცილებით მნიშვნელოვან თემას შევეხებით - გუშინ „გაგრამ“ ბრაიტონის საფეხბურთო აკადემიასთან თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა. ეს ის აკადემიაა, სადაც ნიგერიელი ლეგიონერი ოვონიკოკო საქართველოში ჩამოსვლამდე ვარჯიშობდა.

„ბრაიტონის აკადემია აფრიკაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საფეხბურთო ცენტრია, სადაც ნიჭიერ ბავშვებს ზრდიან და ევროპაში უშვებენ. „გაგრამ“ ამ აკადემიასთან თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. ამ მიზნით თბილისში აკადემიის პრეზიდენტი ალეგბულეკბე კოლაბოლე ჩარლზი ჩამობრძანდა. მემორანდუმს სწორედ „გაგრას“ პრეზიდენტმა ბესიკ ჩიხრაძემ და აფრიკელმა სტუმარმა მოაწერეს ხელი. ამ ხელმოწერის შემდეგ შეგვიძლია, ბრაიტონის აკადემიიდან, პრიორიტეტული უფლებით, სასურველი მოთამაშე ჩამოვიყვანოთ. თანამშრომლობის თაობაზე დიდი ხანია მოლაპარაკება მიმდინარეობდა და ვფიქრობ, ამით „გაგრამ“ მშვენიერი ნაბიჯი გადადგა წინ, სელექციის გასაუმჯობესებლად. ფაქტია, მთელი ევროპა, ამერიკა და აზია ტალანტების საძიებლად აფრიკაში დადის. მსგავსი მიმართულებით ქართული კლუბები აქამდეც მუშაობდნენ, მაგრამ სულ სხვაა, როცა მენეჯერები გვიგზავნიან ფეხბურთელს და სულ სხვა - როცა აფრიკაში გამორჩეულ საფეხბურთო სკოლასთან თანამშრომლობ“, - გვითხრა გაგრელთა პრესატაშე **მიხეილ აფხაზავამ.**



როცა „გაგრა“ ანთალიაში ემზადებოდა, თბილისში ნიგერიელი ოვონიკოკო ჩამოვიდა. 16 წლის ყმაწვილმა ფორვარდმა „გაგრა 2-ში“ თამაშითა და ვარჯიშით კარგი შთაბეჭდილება დატოვა და მასთან კონტრაქტის გაფორმებაც გადაწყდა.

„ოვონიკოკოს აყვანა გადაწყვეტილია, უბრალოდ, საჭიროა იურიდიული საკითხების მოგვარება და მასთან ხელშეკრულებას გავაფორმებთ. დღე-დღეზე ველოდებით ნიგერიიდან მისი მშობლების დასტურს იმაზე, რომ „გაგრას“ რომელიმე თანამშრომელმა მასზე მეურვეობა აიღოს. უცხო ქვეყნის 18-წლამდელ მოქალაქეს საქართველოში ცხოვრებისა და მუშაობის უფლება არ გააჩნია, თუკი მასზე მეურვეობას არავინ იკისრებს. ფეხბურთელის მშობლები, ბუნებრივია, თანახმანი არიან, მაგრამ დოკუმენტაცია ოფიციალურად უნდა გაფორმდეს. სიმართლე გითხრათ, ზუსტად არც ვიცი, მოესწრება თუ არა ეს უახლოეს დღეებში. ყოველ შემთხვევაში, გვეჭვება, „ოლიმპთან“ მატჩამდე ოვონიკოკო განაცხადში შევიყვანოთ. მან უკვე რამდენჯერმე ითამაშა ძირითად გუნდთან და ყველას მოაწონა თავი - პრეზიდენტსაც, მწვრთნელებსაც, ფეხბურთელებსაც. ერთ-ერთ ვარჯიშზე ისეთი საოცარი ფინტები გააკეთა, ჩვენმა მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ ხაჩიძემ კატეგორიულად მოითხოვა მასთან კონტრაქტის გაფორმება“, - ესეც აფხაზავას სიტყვებია.

დაბოლოს, „გაგრამ“ კიდევ ერთი ლეგიონერი აიყვანა, ოღონდ, ის სამხრეთამერიკელია - 14 წლის ბრაზილიელი, რომელსაც, ასაკიდან გამომდინარე, ძირითად გუნდში ჯერ ვერ ათამაშებენ, თუმცა ბიჭუნა საკმაოდ ნიჭიერია და „გაგრაში“ სწორედ ამ პერსპექტივის იმედად ჩამოიყვანეს.

**მერაბ მამულაშვილი**

ახალი თაობა

# ელიზბარაშვილი: ახლა ბრეშა

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელი **ლევან ელიზბარაშვილი** თბილისში დაბრუნდა. **გელა შეყილაძის** ხელმძღვანელობით მან 3 შეხვედრა ჩაატარა სლოვენიელი და ხორვატი თანატოლების წინააღმდეგ. თუკი ის სლოვენიელებთან მატჩში ორივე შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში იყო, ხორვატებთან მხოლოდ პირველი თამაში ჩაატარა, მცირე ტრავმა მიიღო და მეორე დაპირისპირება გამოტოვა.

ახლა მთავარზე გადავიდეთ. როგორც ცნობილია, იანვარში მისმა ოჯახმა სერია B-ს კლუბ „პარმას“, ერთ დროს ევროპის გრანდს, შეთავაზებულ კონტრაქტზე უარი უთხრა. რა თქმა უნდა, იტალიაში თამაში ნებისმიერი ქართველი ფეხბურთელის ოცნებაა და გამონაკლისი არც ელიზბარაშვილია. თუმცა ოჯახისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ხელშეკრულების ზოგიერთი პუნქტი და თითქოს სასურველ წინადადებაზე უარი ამიტომაც თქვა. მაგრამ არ არის გამორიცხული, ლევანი იტალიაში მაინც წავიდეს. ეს ინფორმაცია თავად გაგვიმხილა.

„სლოვენიასა და ხორვატიაში გამართულ შეხვედრებს იტალიელი სელექციონერებიც ესწრებოდნენ. ერთ-ერთი მათგანი კახა კალაძის აგენტი იყო. მან სერია B-ს კლუბ „ბრეშაში“ გადასვლა შემომთავაზა. თუმცა საუბარი იყო იმაზეც, რომ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ბელგიის უმაღლესი დივიზიონის ერთ-ერთ აუტსაიდერ „ტუბიცეში“ გამანათხოვრებდნენ. იქ გარკვეული გამოცდილება უნდა შემეძინა, ფიზიკურად მოვღონიერებულიყავი და ასე შემდეგ... თუმცა ეს ვარიანტი გამოირიცხა და იტალიელებს ვუთხარი კიდეც. ამის შემდეგ კლუბმა უკვე სხვა წინადადებით მომმართა - ლაპარაკი იყო „ბრეშაში“ დარჩენაზე. რა თქმა უნდა, ეს გაცილებით მისაღები ვარიანტია. თუმცა ჯერ არაფერია გარკვეული და ვერ ვიტყვი, გაფორმდება თუ არა კონტრაქტი. არ გამოვრიცხავ, იტალიაში გაზაფხულზე მომიხდეს წასვლა. მანამდე კი „ნორჩ დინამოელში“ ვივარჯიშებ. თან 17-წლამდელთა ნაკრებს ელიტრაუნდამდე რამდენიმე შეკრება აქვს დაგეგმილი, ასე რომ, უვარჯიშებელი არ ვიქნები“, - გვითხრა ელიზბარაშვილმა.

ისიც სათქმელია, რომ 16 წლის მოთამაშეს საქართველოს უმაღლესი ლიგის რამდენიმე კლუბი იწვევდა, მაგრამ მას საქართველოში დარჩენა და ხანგრძლივი კონტრაქტის გაფორმება არ სურს. კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი - სლოვენიაში ქართველების თამაშს „პარმას“ ერთ-ერთი წარმომადგენელი დაესწრო. ლევანთან მისი ურთიერთობა მხოლოდ მისალმებით შემოიფარგლა. იტალიური კლუბის წარმომადგენელი მატჩს კვლავ ელიზბარაშვილზე დასაკვირვებლად დაესწრო თუ სხვა მიზნით, ფეხბურთელისთვის უცნობია.

**მერაბ მამულაშვილი**

ფული და ფეხბურთი

# რეალი ზედიზედ მეოთხედ

## მანჩესტერ იუნაიტედს პირველობამდე სულ ცოტა დააკლდა

მადრიდის "რეალი" მსოფლიოს უმდიდრესი საფეხბურთო კლუბია. აუდიტორულმა კომპანიამ "დელოიტ ენდ ტუშმა" ბაზრის ყოველწლიური კვლევის შედეგები გამოაქვეყნა. ესპანური გიგანტი, აგერ უკვე მეოთხე წელია, პირველობას არავის უთმობს - თვით "მანჩესტერ იუნაიტედსაც" კი, რომლისთვისაც გასული სეზონი ყოველმხრივ წარმატებული აღმოჩნდა. შეგახსენებთ, "ეშმაკებმა" ჩემპიონთა თასი და ინგლისის ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრეს, რამაც მათ ათეულობით მილიონი დოლარი მოუტანა.

ქვემოთ "დელოიტ ენდ ტუშის" მიერ შედგენილ 20 უმდიდრესი კლუბის სიას გაგაცნობთ. მასში შვიდი ადგილი პრემიერლიგის კლუბებს უჭირავთ. ასეთი შთამბეჭდავი შედეგი იმიტომაა გასაკვირი, რომ გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა დიდი ბრიტანეთი ძალიან დააზარალა, ხოლო ბრიტანული გირვანქა სტერლინგის გაუფასურებამ ინგლისურ კლუბებს ათეულობით მილიონი დააკარგვინა. სხვათა შორის, კომპანიის დასკვნაში ნათქვამია – გირვანქას რომ 2007 წლის კურსი შეენარჩუნებინა, უმდიდრესი კლუბი "მანჩესტერ იუნაიტედი" იქნებოდაო.

გასულ წელს, წინა წელთან შედარებით, "იუნაიტედის" შემოსავალი 45 მილიონი გირვანქით გაიზარდა და 257 მილიონი შეადგინა. შემოსავლის ზრდას ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, პრესტიჟული ტიტულების დაუფლებამ და მეორე მხრივ, კომერციულმა წარმატებებმა – გაზრდილმა შემოსავალმა ტელეუფლებების გაყიდვიდან და ბილეთების რეალიზაციით მიღებული შემოსავლის 10-პროცენტიანმა ზრდამ, რამაც, საბოლოოდ, 101.5 მილიონი გირვანქა მოიტანა. აღსანიშნავია, რომ ამ თანხის 39 პროცენტი საშინაო მატჩებზე მოდის - 76 200-იანი "ოლდ ტრეფორდი", როგორც წესი, ყველაზე უმნიშვნელო შეხვედრის დროსაც კი პირთამდე ივსება.

"ჩელსის" "მანჩესტერზე" პატარა სტადიონი აქვს. მაყურებლის ნაკლებობას, როგორც წესი, არც „არისტოკრატები" უჩივიან, მაგრამ ბილეთების რეალიზაციით, "იუნაიტედთან" შედარებით, ძალიან მოკრძალებულ თანხას მოუყარეს თავი – სულ რაღაც 74.5 მილიონ გირვანქას. თუმცა კლუბის საერთო შემოსავლებმა წინა წელთან შედარებით 12 პროცენტით მოიმატა. ერთ-ერთი მიზეზი ადრინდელზე 30 პროცენტით უფრო ძვირად გაყიდული ტრანსლაციებია.

"არსენალის" შემოსავლების ზრდა პირდაპირ უკავშირდება ახალ სტადიონსა და გაყიდული ბილეთების რაოდენობის ზრდას. აღსანიშნავია, რომ ეს შემოსავალი "მეთოფეების" საერთო შემოსავლის 45 პროცენტს შეადგენს. გასულ სეზონში „ემირიტს სთედიუმმა" "არსენალს" 94.6 მილიონი გირვანქა მოუტანა. "დელოიტის" აზრით, "არსენალი" კონკურენტებს საგრძნობლად ჩამორჩება კომერციული პროექტებიდან მიღებული შემოსავლებით, რაც საერთო შემოსავლის მხოლოდ 21 პროცენტს შეადგენს. ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ კომერციულ პროექტად სტადიონის სახელის გაყიდვა უნდა ჩაითვალოს, რომელსაც კლუბისათვის სოლიდური შემოსავალი მოაქვს.

"ლივერპულს" ტყუილად როდი სურს ახალი სტადიონის აშენება. საკმარისია ამ გუნდის სტადიონისაგან მიღებულ შემოსავლებს გადავხედოთ, რომ ყველაფერი ნათელი გახდება – 39.2 მილიონი გირვანქა. "ენფილდზე" საშუალოდ 43 500 კაცი დაიარება. ეს "სტემფორდ ბრიჯის" საშუალო მაჩვენებებს 2 100 კაცით აღემატება, მაგრამ "ჩელსიმ" საშინაო მატჩებიდან 35.3 მილიონი გირვანქით მეტი გამოიმუშავა. უმთავრესი მიზეზი, რა თქმა უნდა, ისაა, რომ "ჩელსის" საშინაო მატჩებზე დასწრება უფრო ძვირი ღირს, ვიდრე "ლივერპულის". თუმცა "ჩელსის" ვინლა დაეძებს, როდესაც მოკრძალებულმა "ტოტენჰემმაც" კი საშინაო მატჩებიდან "ლივერპულზე" მეტი ფული იშოვა.

"მანჩესტერ სიტი" უმდიდრესი კლუბების ოცეულში დაბრუნდა. დაბრუნდა ბილეთების რეალიზაციით მიღებული გაზრდილი შემოსავლებისა (18.5 მილიონი გირვანქა) და სარფიანად გაყიდული ტრანსლაციების ხარჯზე. "დელოიტის" ამ დასკვნაში ჯერ არ არის გათვალისწინებული ის ინვესტიციები, რომელიც კლუბში არაბმა შეიხმა **მანსურმა** დააბანდა. მიმომხილველები არ მალავენ, რომ სინამდვილეში თუკი რომელიმე კლუბს უმდიდრესის წოდებაზე პრეტენზიის გაცხადება შეუძლია, ეს სწორედ "მანჩესტერ სიტია" მისი მეპატრონის ამოუწურავი ფინანსური რესურსების წყალობით.

დასასრულს, „დელოიტ ენდ ტუშის" გასული სეზონის 20 უმდიდრესი საფეხბურთო კლუბის სია:

| ადგილი | კლუბი | თანხა |
|---|---|---|
| 1 (1) | რეალი | 289.6 * |
| 2 (2) | მანჩესტერ იუნ. | 257.1 |
| 3 (3) | ბარსელონა | 244.4 |
| 4 (7) | ბაიერნი | 233.8 |
| 5 (4) | ჩელსი | 212.9 |
| 6 (5) | არსენალი | 209.3 |
| 7 (8) | ლივერპული | 167.0 |
| 8 (6) | მილანი | 165.8 |
| 9 (11) | რომა | 138.9 |
| 10 (9) | ინტერი | 136.9 |
| 11 (12) | იუვენტუსი | 132.6 |
| 12 (13) | ლიონი | 123.3 |
| 13 (16) | შალკე | 117.5 |
| 14 (10) | ტოტენჰემი | 114.8 |
| 15 (15) | ჰამბურგი | 101.3 |
| 16 (19) | მარსელი | 100.4 |
| 17 (14) | ნიუკასლი | 99.4 |
| 18 (-) | შტუტგარტი | 88.3 |
| 19 (-) | ფენერბაჰჩე | 88.1 |
| 20 (-) | მანჩესტერ სიტი | 82.3 |

*შენიშვნა: * გირვანქა სტერლინგი*

**შალვა ბიბილაშვილი**



მადრიდის რეალი კვლავ მსოფლიოს უმდიდრესი კლუბია

რეალი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ გახდება ფლორენტინოს ფავორიტი?

## ანჩელოტი, კიკე ფლორესი, ბენიტესი, თუ მიჩელი?

რაც დრო გავა, სპეკულაციების ტალღა მით უფრო დამანგრეველი და წამლეკავი გახდება. ამიტომ, წინასწარ გთხოვთ, რომ ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციების გავრცელებაში ჩვენ ნუ დაგვადანაშაულებთ. ჩვენ მხოლოდ იმას გეუბნებით, რაც ევროპული ფეხბურთის ეპიცენტრში ხდება ხოლმე. ამ შესავლით იმის თქმა გვინდა, რომ ჩვენ არაფერს ვიგონებთ. ორი დღის წინ ესპანურ მედიაში ითქვა, რომ **ფლორენტინო პერესი** გამარჯვების შემთხვევაში **ხუანდე რამოსის** თანამდებობას არც მეტი არც ნაკლები, „ბენფიკის" ამჟამინდელ დამრიგებელს **კიკე სანჩეს ფლორესს** შესთავაზებს. რა უფლება გვქონდა, ამ ინფორმაციის სისწორეში ეჭვი შეგვეტანა და თქვენს სამსჯავროზე არ გამოგვეტანა? რა თქმა უნდა, ახალი ამბავი თქვენც გაგაცანით, მაგრამ ზუსტად ერთი დღის შემდეგ ჩვენი ესპანელი კოლეგები იტყობინებიან, რომ ფლორენტინო პერესს სულ სხვა ფავორიტი ჰყავს. მისი სახელი **კარლო ანჩელოტია.**

ვერ გეტყვით, ეს ინფორმაცია რამდენად სანდო და დასაჯერებელია, მაგრამ ის კი უდავო ფაქტია, რომ ანჩელოტისა და პერესის მოსალოდნელი თანამშრომლობის შესახებ უკლებლივ ყველა ავტორიტეტული გამოცემა წერს. ამ ინფორმაციას, სხვათა შორის, „გაძეტა დელო სპორტიც" ავრცელებს, მაგრამ „დიარიო სპორტისთვის" ექსკლუზიური ინფორმაცია გახდა ცნობილი. კერძოდ, ესპანური გამოცემა იუწყება, რომ ანჩელოტისთან მოლაპარაკებას ფლორენტინოს დავალებით **არიგო საკი** აწარმოებდა. იტალიელი მარტო რომ არ ყოფილიყო, პერესმა მილანს მისი თანაშემწეების ჯგუფიც მიავლინა. პირენეელებმა სინიორ ანჩელოტის დაწვრილებით გააცნეს ის პირობები, რომელსაც ფლორენტინო მას რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში შესთავაზებს. საგულისხმოა, რომ „რეალის" ყოფილ პრეზიდენტს ანჩელოტის გადაბირება ადრეც უნდოდა, მაგრამ მაშინ მილანელ კოლეგებს ვერ შეუთანხმდა და სამეფო კლუბის მთავარი მწვრთნელის ვაკანტურ თანამდებობაზე **ვანდერლეი ლუშემბურგო** დანიშნა.

სენიორ პერესი ყოველთვის ამბობდა და ახლაც ამბობს, რომ კარლო ანჩელოტის თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე დიდ მწვრთნელად მიიჩნევს და მასთან დიდი სიამოვნებით ითანამშრომლებს. „დიარიო სპორტის" მტკიცებით, აპენინელი სპეციალისტი სამეფო კლუბში მუშაობაზე თანახმაა, მაგრამ „მილანის" ხელმძღვანელების პოზიცია ჯერ-ჯერობით უცნობია. ფლორენტინო ვალდებულია ყველა შესაძლო ვარიანტი გათვალოს და მთავარი მწვრთნელობის კანდიდატი იქამდე შეიგულოს, სანამ არჩევნებში გაიმარჯვებს. ამიტომ, ის ალტერნატიულ ვარიანტებზეც მუშაობს, იმ შემთხვევაში, თუ „მილანი" ანჩელოტის მწვანე შუქს არ აუნთებს, მადრიდული გრანდის ყოფილი უმაღლესი ხელისუფალი თანამშრომლობის ხელს კიკე სანჩეს ფლორესს, ან **რაფა ბენიტესს** გაუწვდის. კაცმა რომ თქვას, არც ბენიტესის გადაბირება იქნება იოლი. ვინ იცის, იქნებ, კიკე ფლორესმაც თავი შეიკავოს...

თუ მოვლენები ამდენად დრამატული სცენარით წარიმართება, მაშინ ფლორენტინო მთავარ მწვრთნელად **მიჩელს** დანიშნავს. რატომ მაინც და მაინც მიჩელს? იმიტომ, რომ ის შინაური კაცია, თანაც სწორედ მიჩელი გახლდათ ის ადამიანი, რომელმაც **რამონ კალდერონის** გუნდში პირველი ბზარი გააჩინა. შეგახსენებთ, მიჩელი სამეფო კლუბის სათადარიგო გუნდს, „კასტილიას" ავარჯიშებდა, მაგრამ თანამდებობიდან გადადგა და ეს ნაბიჯი ხელმძღვანელობის პოლიტიკასთან შეუთანხმებლობით ახსნა. ესპანური გრანდის ლეგენდარული ნახევარმცველი ამტკიცებდა, რომ კალდერონი და მისი თანამოაზრეები სათადარიგო გუნდს საკადრის ყურადღებას არ აქცევდნენ და კანტერის ბედ-იღბალი ფეხებზე ეკიდათ. მიჩელმა ძირითად გუნდში მიმდინარე მოვლენებზეც ისაუბრა და დასძინა, კალდერონი არაკვალიფიციური საფეხბურთო მოღვაწეა და თანამშრომლები ატყუებენო. მიმომხილველების მტკიცებით, „კასტილიის" ყოფილი მწვრთნელის ამ რადიკალურმა განცხადებებმა, სენიორ კალდერონს ტახტი მნიშვნელოვნად შეურყია და მის გადადგომას საფუძველი ჩაუყარა. ფლორენტინო ის კაცი არ არის, რომ ვინმეს მისი მტრის დამარცხებაში შეტანილი ღვაწლი არ დაუფასოს. კულუარული ინფორმაციით, თუ მიჩელს მთავარი მწვრთნელის თანამდებობა არ ერგება, მაშინ მას დირექტორატში დაასაქმებენ. სავარაუდოდ, სპორტული დირექტორის თანამდებობაზე.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ამბები

### ბექჰემი თითქმის მილანელია

ამერიკის საფეხბურთო ლიგამ "მილანს" მხოლოდ ერთი დღე მისცა იმისთვის, რომ მან "ლოს ანჯელეს გალაქსისთან" **დევიდ ბექჰემის** ტრანსფერის საკითხი შეათანხმოს. თუ დღის ბოლომდე, მხარეები ვერ შეთანხმდებიან, ინგლისელ გალაქტიკოს საიჯარო კონტრაქტის ამოწურვისთანავე კალიფორნიაში დაბრუნება მოუწევს. მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ შეთანხმება აუცილებლად შედგება. რამდენიმე დღის წინ "გალაქსიმ" შორს დაიჭირა იტალიელთა მიერ შეთავაზებული 6.5 მილიონი გირვანქა. "როსონერიმ" თანხა 8 მილიონამდე აიყვანა. "გალაქსიმ" ტონი უმალ შეარბილა. ლოსანჯელესელები ხვდებიან, რომ ბექჰემს იტალიაში დარჩენა სურს. ფეხბურთელის სურვილის წინააღმდეგ წასვლას კი აზრი არა აქვს.

"მილანს" ბექჰემის ხელფასის გადახდა არ გაუჭირდება. დევიდი ასტრონომიულ შემოსავალს არ ითხოვს. მას წლიურად 4.5 მილიონ ევროს დაუნიშნავენ. ამას გარდა, გადაუხდიან იმიჯის გაყიდვით მიღებული შემოსავლის 50 პროცენტს და კიდევ იმ ამხანაგური მატჩების შემოსავლის 50 პროცენტსაც, რომელშიც ბექჰემი მიიღებს მონაწილეობას. ერთ-ერთი ასეთი ამხანაგური მატჩი ზაფხულში, "ლოს ანჯელეს გალაქსისთან" შედგება.

### გიგზი კიდევ ერთი წლით

**რაიან გიგზმა** "მანჩესტერ იუნაიტედთან" კონტრაქტი ერთი წლის გააგრძელა. 35 წლის ვარსკვლავი კლუბში 2010 წლის ივნისამდე დარჩება. გიგზს მთელი კარიერა "მანჩესტერ იუნაიტედში" აქვს გატარებული. მისი დებიუტი 18 წლის წინ შედგა. მის ანგარიშზე პრემიერლიგაში 553 მატჩი და 102 გოლია. რაიანმა უკანასკნელი გოლი გასულ უქმეებზე, "ვესტ ჰემთან" შეხვედრაში გაიტანა. "იუნაიტედმა" ლონდონელებს ამ ერთადერთი გოლით სძლია. თამაშის შემდეგ, **სერ ალექს ფერგიუსონმა** შეგირდზე ასეთი კომენტარი გააკეთა: *"რაიანი ნამდვილი პროფესიონალია. მისი ცხოვრების სტილი, მისი ენთუზიაზმი თითოეული ახალგაზრდა ფეხბურთელისათვის სამაგალითოა."*

### ვენეიბლზი ნიუკასლში?

"ნიუკასლის" მთავარ მწვრთნელად, შეიძლება, **ტერი ვენეიბლზი** დაინიშნოს. ეს ინფორმაცია „დეილი მეილმა" გაავრცელა. ჯორდების თავკაცი **ჯო კინეარი** საავადმყოფოში მოათავსეს. მას გულის შეტევა ჰქონდა. ექიმების გადაწყვეტილებით, აუცილებელია შუნტირება. ოპერაციის შემდეგ 62 წლის სპეციალისტს საფუძვლიანი მკურნალობა მოუწევს. მის რეაბილიტაციას მინიმუმ ორი თვე დასჭირდება. კრიზისში მყოფ "ნიუკასლს" კი ამდენხანს მოხდა არ შეუძლია. როგორც ჩანს, კინეარი დატოვებს თანამდებობას. გუნდის გადარჩენას კი ინგლისის ნაკრების ყოფილი დამრიგებელი იკავებს. დანიშვნის შემთხვევაში, ვენეიბლზს არა ერთი პრინციპული თამაში ელოდება, მათ შორის, საშინაო პაექრობები "მანჩესტერ იუნაიტედთან", "არსენალთან", "ჩელსისა" და "ევერტონთან".

**შალვა ბიბილაშვილი**

ჩელსი

# ორი მილიონი ოთხ თვეში

## გუუს ჰიდინკმა სარფიანი კონტრაქტი გაინაღდა, მიკაელ ესიენი უკვე ვარჯიშობს

„ტაიმსის“ ცნობით, **გუუს ჰიდინკი** „ჩელსიში“ სეზონის ბოლომდე იმუშავებს და **რომან აბრამოვიჩი** გაწეული სამუშაოსთვის მას ორ მილიონ გირვანქას გადაუხდის. ჰოლანდიელს ასისტენტობას მისივე თანამემამულე **იოჰან ნეესკენსი** გაუწევს. შეგახსენებთ, რომ ჰიდინკი-ნეესკენსის დუეტს წლების განმავლობაში უმუშავია ერთად - ჯერ ჰოლანდიის ნაკრებში, შემდეგ კი ავსტრალიისაში.

ჰიდინკის დანიშვნის შემდეგ პრესა „ჩელსის“ ფეხბურთელების პოზიციით დაინტერესდა. გთავაზობთ მოკლე ციტატებს მათი ინტერვიუებიდან. კაპიტანმა **ჯონ ტერიმ** იმედი გამოთქვა, რომ ჰიდინკის მოსვლა „არისტოკრატებში“ სიტუაციის სტაბილიზაციას შეუწყობს ხელს და რომ გუნდი მოახერხებს ისეთივე შთამბეჭდავი ფეხბურთის ჩვენებას, როგორც ამას სეზონის დასაწყისში ახერხებდა. „ჰიდინკის ყველა გუნდი მობილურ ფეხბურთს აჩვენებს, აკონტროლებს ბურთს და ღია, შემტევ ფეხბურთს თამაშობს, - დარწმუნებულია ტერი. – ამასთან, ის ძალზე გულღია ადამიანია. სინიორ გუუსს შესანიშნავი ურთიერთობა აქვს რომან აბრამოვიჩთან და ეს ძალიან უნდა დაგვეხმაროს. მე მასზე ბევრი არაფერი ვიცი, მაგრამ საქმეში მისი ნახვა უახლოესი დღეების საქმეა“.

**დიდიე დროგბა:** „ვფიქრობ, ახალი მწვრთნელის დანიშვნა შესანიშნავი იდეა იყო. ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. ფეხბურთელებმა თავაულებლად უნდა ვიშრომოთ, რათა ჩემპიონთა ლიგის შემდგომ ეტაპზე გავაღწიოთ და ამასთან, გამოვასწოროთ მდგომარეობა პრემიერლიგის ცხრილში“.

**მიხაელ ბალაკი:** „სკოლარის გამო გული მწყდება. მას ჩვენთან მუშაობა არ დასცალდა. რა თქმა უნდა, კრიტიკის საფუძველი არსებობდა, რადგან დამაკმაყოფილებელ შედეგებს ვერ ვაღწევდით. ამაზე ლაპარაკი ადვილია, მაგრამ შედეგი ჩვენზე მეტად არავის უნდოდა. კრიზისში ყველაზე დიდი ბრალი ფეხბურთელებს მიგვიძღვის. რაც შეეხება ჰიდინკის დანიშვნას, მასთან არასოდეს მიმუშავია და კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით. მასზე ზუსტად იმდენი რამ ვიცი, რაც თქვენ“.

**ჯანლუკა ვიალი** „ჩელსიში“ 1996–1999 წლებში თამაშობდა და პრემიერლიგის 74 თამაშში 30 გოლი შეაგდო. გარდა ამისა, 1998–2000 წლებში „არისტოკრატების“ მთავარი მწვრთნელიც გახლდათ. აპენინელი ვარსკვლავი „ლურჯების“ ფანებში დღემდე დიდი სიყვარულით სარგებლობს. მან ყოფილ კლუბში შექმნილი მდგომარეობის გამო კომენტარი გააკეთა. მისი თქმით, „ჩელსი“ ის გუნდი აღარ არის, რაც **ჟოზე მოურინიოს** დროს იყო. გუნდში ჰიდინკის მისვლის შემდეგ ის ძალზე ოპტიმისტურადაა განწყობილი: „ვფიქრობ, ჰიდინკი იდეალური კანდიდატია. ჰოლანდიელის გამოცდილება გუნდს დიდად წაადგება. მას უამრავი რამ უნახავს სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში. თავისუფლად ლაპარაკობს რამდენიმე უცხო ენაზე. უმუშავია ლამის მთელ მსოფლიოში - დაწყებული ავსტრალიითა და კორეით და ესპანეთით დამთავრებული. მწამს, რომ ის ახალ სამუშაოს ღირსეულად გაართმევს თავს. მას აქვს ის თვისებები და შესაძლებლობები, რომ გუნდი იდეალურად მართოს. „ჩელსის“ ყველაზე მეტად ეფექტური მართვა სჭირდება. მოურინიოს შემდეგ ხომ ძალიან ბევრი რამ უარესობისკენ შეიცვალა...“

დაბოლოს, ერთი სასიამოვნო ინფორმაცია „ჩელსის“ გულშემატკივრებისთვის. განელმა ნახევარმცველმა **მიკაელ ესიენმა** რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ ვარჯიში განაახლა. ის ინდივიდუალურად უკვე რამდენიმე კვირა ვარჯიშობდა, ახლა კი ძირითად გუნდს შეუერთდა. შეგახსენებთ, რომ მიკაელი ლაზარეთში სექტემბერში, მუხლის უმძიმესი ტრავმის გამო მოხვდა. ექიმების ვარაუდით, ფეხბურთელს, შეიძლებოდა, სეზონი სრულად გასცდენოდა. შემდეგ ითქვა, რომ ესიენი „სტემფორდ ბრიჯს“ მარტის ბოლოს დაუბრუნდებოდა, მაგრამ საბედნიეროდ მათი მოლოდინი ამჯერადაც გაცრუვდა. მოსალოდნელია, რომ ესიენი 28 თებერვალს, „ვიგანთან“ მატჩში ითამაშებს.


ეროვნული ბიბლიოთეკა

რომან აბრამოვიჩმა გუუს ჰიდინკისათვის ფული არ დაიშურა

ჰოლანდიური ამბები

# აიაქსი ყველაზე პოპულარულია

## ვან ბრეკელენი: სტეკელენბურგი ამბიციურ კლუბში უნდა წავიდეს



მაარტენ სტეკელენბურგი

სოციოლოგიური გამოკითხვებით დადგინდა, რომ ბოლო წლების წარუმატებლობების მიუხედავად, ევროპაში ყველაზე პოპულარული ჰოლანდიური კლუბი ისევ „აიაქსია“. ჰოლანდიის ფარგლებს გარეთ, მას დაახლოებით 6.5 მილიონი ადამიანი გულშემატკივრობს. ამ მაჩვენებლით „აიაქსმა“ ევროპის მასშტაბით მე-19 ადგილი დაიკავა. მეორე ყველაზე პოპულარული ჰოლანდიური კლუბი „ეინდჰოვენია“, ხოლო მესამე - „ფეიენოორდი“. ყველაზე პოპულარული ევროპული გრანდები „ბარსელონა“ და მადრიდის „რეალი“ არიან.

როგორც გაცნობეთ, „აიაქსის“ კაპიტანი **მაარტენ სტეკელენბურგი** გუნდის დატოვებას აპირებს. ფეხბურთელის გადაწყვეტილებას სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ჰოლანდიის ნაკრების ყოფილმა მეკარემ **ჰანს ვან ბრეკელენმა**. გთავაზობთ სახელგანთქმული ჰოლანდიელის კომენტარს, რომელიც „ელ ფუტბოლში“ გამოქვეყნდა: „თუ მას მართლა სურს კარიერაში სერიოზული წინსვლა, აუცილებლად უნდა გადავიდეს ამბიციურ უცხოურ კლუბში. თუ ის გრძნობს, რომ „აიაქსში“ თავისი შესაძლებლობები ამოწურა და ჩვენს ჩემპიონატში მეტი პროგრესის მიღწევა შეუძლებელია, მისი ნაბიჯი მხოლოდ და მხოლოდ მისასალმებელი იქნება. მიმაჩნია, რომ მისთვის საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა, სათამაშოდ ინგლისში წასვლა. პრემიერლიგაში მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთს თამაშობენ. თანაც, იქ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებმა მოიყარეს თავი. ინგლისში მას სერიოზულ გამოცდას მოუწყობენ და შეამოწმებენ მის სამეკარეო კლასს. არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც „რეალში“, „ბარსელონასა“ და „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლა. ყურადღებას იმსახურებენ ისეთი გუნდებიც, როგორებიც „არსენალი“ და „ასტონ ვილა“ არიან. არ იქნებოდა ურიგო, თუ „აიაქსი“ „ტოტენჰემს“ სტეკელენბურგის გომესში გაცვლას შესთავაზებდა.“

„აიაქსის“ მარცხენა ნახევარმცველი **რობერტ შილდერი** შემდეგი სეზონიდან „ბრედაში“ გადავა. ფეხბურთელმა ერედივიზიონის კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულება მიმდინარე წლის 1 ივლისიდან შედის ძალაში. მხარეებს შეთანხმება ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს სურდათ, მაგრამ მაშინ ტრანსფერის საკითხს **მარკ ვან ბასტენმა** ვეტო დაადო. „რობერტი ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელია, რომელსაც დიდი მომავალი აქვს,“- განაცხადა ბრედელთა ტექნიკურმა დირექტორმა **ერნსტ სტიუარტმა**.

ორი კვირის წინ „ფეიენოორდს“ ლაზარეთში სამი წამყვანი ფეხბურთელი ჰყავდა - თავდამსხმელი **იონ დალ ტომასონი**, მცველი **სერჟიო გრინი** და ნახევარმცველი **ტიმ ვინკე**. ათიოდე დღეა, ტომასონი მწყობრში ჩადგა და სრული დატვირთვით ვარჯიშობს. ამ დღეებში ძირითად ჯგუფს შეუერთდნენ გრინი და ვინკეც. ამ უკანასკნელებმა „გრააფსხაპის“ ახალგაზრდული გუნდის წინააღმდეგ თითო ტაიმი ითამაშეს. „ფეიენოორდის“ მთავარი მწვრთნელი **ლეონ ფლემინგსი** მათი ფიზიკური მომზადების დონით კმაყოფილი დარჩა. გრინის მდგომარეობა შედარებით რთული იყო. მას სერიოზული ტრავმა ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისში აწუხებდა, რომელიც იანვარში მოირჩინა, თუმცა თურქეთში ჩატარებულ შეკრებაზე ხელახლა დაშავდა.

„ბრედის“ მარჯვენა ნახევარმცველ **ედვინ დე გრააფს** მუხლზე ურთულესი ოპერაცია ელის. ის მინდორს რამდენიმე თვით ჩამოშორდება. „ფეიენოორდის“ 28 წლის ექსფეხბურთელმა თავისი ბოლო ოფიციალური შეხვედრა 17 იანვარს „უტრეხტის“ წინააღმდეგ ჩაატარა. თამაშის მეორე დღეს ფეხბურთელმა აუტანელი ტკივილი იგრძნო და უმალ გუნდის ექიმს მიაკითხა. მათ ყველანაირ მეთოდს მიმართეს, ოღონდაც საქმე ოპერაციამდე არ მიეყვანათ, თუმცა უშედეგოდ. ოპერაციის გარდა სხვა გამოსავალი აღარ დარჩა. ორი წელია, ფეხბურთელს ქრონიკული ტრავმები აწუხებს. მან ამ ხნის განმავლობაში სულ რაღაც 32 თამაში ჩაატარა. „ბრედას“ სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს. სხვადასხვა მიზეზით ვერ თამაშობენ **მაასკანტი, გლისენი, ვან დერ ლეეტე, ლურლინგი, ელშოტი, ტამერუსი, პენდერსი** და **ამოა**.

„ვიტესის“ 20 წლის თავდამსხმელ **რიკი ვან ვოლფსვინკელის** თამაშმა ჰოლანდიური გრანდების ყურადღება მიიპყრო. „დიახ, „ტვენტემ“ და „ალკმაარმა“ უკვე მოგვმართეს ფეხბურთელის ტრანსფერთან დაკავშირებით, - განაცხადა არნემელთა ტექნიკურმა დირექტორმა **მარკ ვან ჰინტუმმა**. - ლუი ვან გაალს დიდი სურვილი აქვს, თავდამსხმელი საკუთარ გუნდში იხილოს. მას ვან ვოლფსვინკელის შეძენა იანვარში სურდა, მაგრამ რიკიმ სეზონის ჩვენთან ჩამთავრება მოისურვა. გვინდა, ფეხბურთელმა მართებული გადაწყვეტილება მიიღოს. აჩქარება საჭირო არ არის. რიკი ჩვენი სკოლის აღზრდილია. მასზე განსაკუთრებულად შეგვტკივა გული. რიკისთან განშორება იოლი არ იქნება, თუმცა თუ ადეკვატურ კომპენსაციას შემოგვთავაზებენ, მოლაპარაკებაზე უარს არ ვიტყვით“. ჰოლანდიის ოცწლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის შესაძენად 2.5-3 მილიონი ევროა საჭირო.

„ალკმაარი“ რიკი ვან ვოლფსვინკელის კანდიდატურას **მუნირ ელ ჰამდაუის** შემცვლელად განიხილავს, რადგან ეს უკანასკნელი ზაფხულში სხვა გუნდში გადადის. რაც შეეხება „ტვენტეს“, მას **მარკო არნაუტოვიჩის** შემცვლელი სჭირდება. 19 წლის ავსტრიელით ევროგრანდებიც დაინტერესდნენ, მათ შორის „ინტერი“, „აიაქსი“ და „შალკე“. იანვარში განიხილებოდა ვოლფსვინკელის „აიაქსში“ ტრანსფერიც საკითხიც. მოგეხსენებათ, რომ კლუბი **კლაას იან ჰუნტელაარის** შემცვლელს ეძებს.

არსენალი

# ჟილბერტო: ვენგერი შეცდა

## ინგლისურმა პრესამ გალასი ვერ შეჭამა

„არსენალის“ ყოფილმა ნახევარმცველმა **ჟილბერტო სილვამ**, რომელიც დღესდღეობით „პანათინაიკოსის“ ღირსებას იცავს, ყოფილი გუნდის ხელმძღვანელობა მსუბუქად გააკრიტიკა. „მოსიე არსენ ვენგერი ძირითადში არ მათამაშებდა. ეს მისი უფლება იყო და ყოველივეს გაგებით ვეკიდებოდი. მერე რა, რომ მის გადაწყვეტილებას არასოდეს ვეთანხმებოდი? პირიქით, ერთმანეთთან ყოველთვის მშვენიერი ურთიერთობა გვქონდა. ნელ-ნელა ნათელი გახდა, რომ „არსენალიდან“ უნდა წავსულიყავი. მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ მივხვდი, რატომ გადაწყვიტა მწვრთნელმა ჩემი გაშვება. მის განკარგულებაში რამდენიმე პერსპექტიული ფეხბურთელი იყო, რომელიც ჩემთან კონკურენციას ვერ უძლებდა. შესაბამისად, განვითარებისთვის ნაკლები შანსი ჰქონდათ. ეს მხოლოდ ჩემი მოსაზრებაა. სხვებს შესაძლოა სხვაგვარად მიაჩნდეთ და შემედავონ, მაგრამ ვფიქრობ, რომ მოსიე არსენმა სწორედ ამ ახალგაზრდების გამო გამიშვა. ასევე დარწმუნებული ვარ, რომ „არსენალის“ მწვრთნელმა ჩემი გაშვებით შეცდომა დაუშვა. ახალგაზრდა ფეხბურთელები კარგია, მაგრამ დღეს მათ ყველაფრის სწავლა საკუთარ შეცდომებზე უწევთ. გუნდში გამოცდილი მოთამაშეების ყოლა აუცილებელია, მათგან ახალგაზრდობა არა მარტო თამაშებზე, არამედ ვარჯიშებზეც ბევრ რამეს ისწავლის. დარწმუნებული ვარ, დღევანდელი შემადგენლობა მაღალი დონის ფეხბურთს ითამაშებს. იმედი მაქვს, ეს უახლოეს ხანებში მოხდება.“

„არსენალის“ ფრანგმა მცველმა **ბაკარი სანიამ** ჟურნალისტებს სიამაყით აუწყა, რომ არნახული ზეწოლის მიუხედავად, მისი თანაგუნდელი **ვილიამ გალასი** არ გატყდა და ჩვეული სიდინჯით გააგრძელა მოღვაწეობა. „პრესა მთელი მონდომებით ცდილობდა ვილიამის წონასწორობიდან გამოყვანას. ყოველდღიურად ჩნდებოდა შეურაცხმყოფელი და პროვოკაციული სტატიები. თითქოს მას დუელში იწვევდნენ... წარმოდგენა არ მაქვს, როგორ გაუძლო ყოველივე ამას“, - განუცხადა „სქაი სპორტსს“ ფეხბურთელმა. სეზონის დასაწყისში, ჯერ კიდევ მაშინ , როცა ის გუნდის კაპიტანი იყო, გალასმა თანაგუნდელები საჯაროდ გააკრიტიკა, რამაც ჯერ კლუბის ხელმძღვანელობისა და შემდეგ უკვე პრესის უკმაყოფილება გამოიწვია. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ **არსენ ვენგერმა** ფრანგ ვეტერანს კაპიტნობა ჩამოართვა.



ჟილბერტო სილვა

აქვე გეტყვით, რომ ინგლისური და ესპანური პრესის მტკიცებით, არსენ ვენგერი მორიგი თინეიჯერით გახლავთ დაინტერესებული. ლაპარაკია ესპანეთის 17-წლამდელთა ნაკრების კაპიტან **ხორხე კოკეზე**. ფეხბურთელი ამჟამად „ატლეტიკოს“ დუბლებში ასპარეზობს.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

გერმანიის ნაკრები

ინტერვიუ იოახიმ ლიოვთან

# ბუნდესგუნდმა სახე დაკარგა!

## იოგი ფანებს ნამდვილი გერმანიის დაბრუნებას ჰპირდება

**გერმანიის** ნაკრებმა ნორვეგიასთან ამხანაგურ მატჩში არასასიამოვნო მარცხი განიცადა. იოახიმ ლიოვის ბიჭები საკუთარ მოედანზე 0:1 დამარცხდნენ და თანაც, იმდენად ცუდად ითამაშეს, რომ მთელი საფეხბურთო გერმანია საგონებელში ჩააგდეს. ერთი წაგებით არაფერი ფუჭდება – მით უმეტეს, რომ შეხვედრა ამხანაგური იყო, მაგრამ გერმანელებს ნამდვილად აქვთ განგაშის ატეხვის საფუძველი, რადგან ეს უკვე ზედიზედ მეორე მარცხია ბუნდესგუნდისთვის. მატჩის შემდეგ ლიოვს ჟურნალისტებთან ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც გამოცემა „სპოქსმა“ გამოაქვეყნა.



**- ჰერ ლიოვ, როგორ ახსნით იმას, რომ გერმანიის ნაკრებმა ზედიზედ მეორე თამაში წააგო?**

- ნორვეგიასთან მატჩის შედეგის გამო ძალიან გაბრაზებული ვარ, მაგრამ უფრო მეტად ის მაგიჟებს, რომ ცუდად ვითამაშეთ. პირდაპირ გეტყვით, გუნდის თამაშით იმედგაცრუებული ვარ. თავის გასასამართლებელი საბუთი, უბრალოდ, არ არსებობს. ვერცერთი ფეხბურთელი ვერ იტყვის, რომ ნორვეგიამ დღეს გამარჯვება არ დაიმსახურა. ჩვენ კი ნამდვილად დავიმსახურეთ წაგება.

**- თვითონვე აღიარებთ, რომ ბუნდესგუნდმა ცუდად ითამაშა. როგორ ავხსნათ ნაკრების ასეთი სუსტი თამაში? რისი ბრალია ეს?**

- ჩვენ ვიცოდით, რომ ნორვეგიის ნაკრები ძალიან ორგანიზებული და ფიზიკურად კარგად მომზადებული გუნდია. ჩვენი ტაქტიკა ასე იყო აგებული: ბურთის მიღების შემდეგ, შეტევაზე სწრაფად უნდა გადავსულიყავით, რადგან ნორვეგიელებს ზოგადად ძალიან უჭირთ ხოლმე სწრაფ ტემპში თამაში, მაგრამ ჩვენ გაგვიჭირდა სწრაფი შეტევების განხორციელება, ბიჭები ხშირად მოკლე პასებსაც ვერ აკეთებდნენ. ნახევარდაცვა უიდეო და ზანტი იყო, რამაც გამოიწვია კიდეც ის, რომ მატჩის წინ დაწყობილი გეგმები არ განხორციელდა. გარდა ტემპისა, ჩემი ფეხბურთელები კრიტიკას იმის გამოც იმსახურებენ, რომ მონდომება მაინცდამაინც არ ეტყობოდათ. ზოგიერთი მათგანი გაცილებით იშვიათად იხსნებოდა, ვიდრე უნდა გაიხსნას. ერთი სიტყვით, ასეთი მიდგომითა და ასეთი თამაშით ამ მატჩის მოგების შანსი არ გვქონდა და როგორც ხედავთ, წავაგეთ. პირველიდან ბოლო წუთამდე მეტოქეს ყოველთვის ჰქონდა დრო იმისათვის, რომ მას მერე, რაც ბურთი ჩვენი გახდებოდა, საკუთარ კართან მისადგომი ზონები იდეალურად გადაეკეტა.

**- როგორ შეაფასებთ გერმანიის ნაკრების დაცვის ხაზის თამაშს? განსაკუთრებით იმ მომენტში, როცა გოლი მივილეთ...**

- დაცვაში მართლაც რამდენიმე შეცდომა დავუშვით. ბურთს ხშირად უაზროდ ვკარგავდით და უკან კომპაქტურად არ ვიდექით.

**- ნორვეგიასთან მატჩში რამე პოზიტიური დაინახეთ?**

- კარგია მხოლოდ ის, რომ ეს ახლა მოხდა და არა მოგვიანებით, რომელიმე ოფიციალურ შეხვედრაში. კარგია იმიტომ, რომ შეგვიძლია შეცდომებზე ვისწავლოთ, სწორი დასკვნები გავაკეთოთ და სიტუაცია გამოვასწოროთ. გპირდებით, ასეც მოხდება და ასეთი რამ აღარ განმეორდება. მიხარია, რომ მარტში საკმარისად გვექნება იმის დრო, რომ ამ მარცხიდან სწორი დასკვნები გამოვიტანოთ. დღეს ჩემი გუნდის თამაშში უამრავი ნაკლი დავინახე და თითოეული მათგანი აუცილებლად სწრაფად უნდა გამოსწორდეს. ამისათვის კი ინტენსიური მუშაობაა საჭირო. დარწმუნებული ვარ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებში გერმანიის ნაკრებს კარდინალურად განსხვავებული სახე ექნება, მაყურებლები ისევ ძლიერ გერმანიას იხილავენ.

**- საკადრო ცვლილებებსაც უნდა ველოდოთ? კონკრეტულად, რომელიმე ფეხბურთელს ხომ არ ადანაშაულებთ?**

- ცვლილებები მხოლოდ იმ მხრივ იგეგმება, რომ ნორვეგიასთან დაშვებული შეცდომების გამეორება აღარ შეიძლება. უნდა შეიცვალოს ყველაფერი, რაც დღეს არ მომეწონა. პირადად არავის ვერჩი, მაგრამ თუკი დავინახავ, რომ რომელიმე მოთამაშე პასიურობს და არ ინდომებს, ხომ იცით, არავის დავინდობ.

**- ყველაზე მეტად რა არ მოგეწონათ?**

- ფლანგებიდან ძალიან ცუდად ვუტევდით და ზოგადად ამ პოზიციებზე ცუდად გამოვიყურებოდით. ამას გარდა, არ ვარგოდა ორთაბრძოლების ხარისხიც. თითქოს, ზოგიერთები საკუთარ ფეხებს უფრთხილდებოდნენ. გერმანიის ნაკრებმა სწრაფ ტემპში უნდა ითამაშოს და მეტოქე ყოველთვის წნეხის ქვეშ უნდა ჰყავდეს.

**- ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ტორსტენ ფრინგსი პირველად ათამაშეთ ძირითად შემადგენლობაში. მის თამაშს როგორ შეაფასებდით?**

- კონკრეტულად არც ერთი ფეხბურთელის შეფასებას არ ვაპირებ. ვისზე რას ვფიქრობ, ამას ყველას მხოლოდ პირადად ვეტყვი. ფაქტია, რომ გუნდი ვერ იყო დომინანტი და ძლიერი. ცხადია, ყველა ფეხბურთელს ჰქონდა წუნი, მაგრამ საჯაროდ არაფერს ვიტყვი. მოთამაშეებს თვითონ დაველაპარაკები.

**- იყო თუ არა ეს გერმანიის ნაკრების ყველაზე სუსტი თამაში მას მერე, რაც ბუნდესგუნდს იოახიმ ლიოვი წვრთნის?**

- ყოველთვის გამოერეოდა თითოოროლა ისეთი თამაში, რომელშიც ცუდად გამოვიყურებოდით. ინგლისთანაც ზუსტად ასე იყო: იმ შეხვედრაშიც ვერ შევძელით ის, რომ დომინანტები ვყოფილიყავით.

**- რატომ ხართ დარწმუნებული იმაში, რომ მომდევნო შეხვედრაში ყველაფერი გამოსწორდება?**

- ჩვენ გვაქვს იმის საშუალება, რომ ნოვერგიასთან მატჩი ძალიან კარგად, ამომწურავად გავაანალიზოთ და ყველაფერი გამოვასწოროთ. გერმანიის ნაკრებს გაცილებით მეტი შესაძლებლობა აქვს. შესაბამისად, ახლა ყველაფერი ჩვენზე, სამწვრთნელო შტაბზეა დამოკიდებული. ბუნდესგუნდმა თავისი ნამდვილი სახე უახლოეს შეხვედრებში უნდა აჩვენოს.

**გოტფრიდ ლენცი**






ინტერვიუ

სანდრო მაცოლა

# ლიპიმ შეცდომები დაუშვა

**სანდრო მაცოლას აპენინებზე უდიდეს პატივს სცემენ. იტალიური ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა ადამიანთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლის სიტყვასაც განსაკუთრებული ფასი და დატვირთვა აქვს. მაცოლა იშვიათად სწყალობს ჟურნალისტებს და მათთან საუბარი არ უყვარს, თუმცა ხანდახან გამონაკლისსაც უშვებს. „კორიერეს“ ჟურნალისტმა სენიორ სანდროს ბრაზილია-იტალიის შეხვედრაზე ჰკითხა, შემდეგ საუბარს შეჰყვნენ და ძალზე საინტერესო ინტერვიუც გამოცხვა.**

**- როგორ შეაფასებთ ბრაზილიელებთან განცდილ მარცხს?**

- ბრაზილია პრინციპული მეტოქეა და მარცხი არავის სიამოვნებს, თუმცა შედეგის გამო განგაშის ატეხა ნამდვილად არ ღირს. მით უმეტეს, რომ შეხვედრა ამხანაგური გახლდათ და შედეგს დიდი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა. უფრო მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ „სკუადრა აძურამ“ ძალიან ცუდად ითამაშა და ბევრი შეცდომა დაუშვა.

**- იქნებ უფრო დაგვიკონკრეტოთ?**

- მარჩელო ლიპის დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ამ შეხვედრაში ცუდად უხელმძღვანელა გუნდს. მარცხი დიდწილად მისი ბრალია და დარწმუნებული ვარ, ეს ყველაზე კარგად სწორედ მარჩელოს მოეხსენება. მატჩის არბიტრი შეცდა, როდესაც გოლი არ ჩაგვითვალა და გროსოზე თამაშგარე დააფიქსირა, თუმცა ეს არ ამართლებს ჩვენს სუსტ თამაშს. იტალია ამ შეხვედრისთვის ვერ განეწყო, რაც მომავალში აღარ უნდა განმეორდეს.

**- უფრო ზუსტად, რაში შეცდა ლიპი?**

- მარჩელომ თავშივე მცდარი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც ბრაზილიის წინააღმდეგ სასტარტო შემადგენლობაში ერთბაშად სამი შემტევი დააყენა. დი ნატალე, პეპე და ჯილარდინო ნომინალური თავდამსხმელები არიან და დაცვითი ფუნქციების შესრულება, უბრალოდ, არ შეუძლიათ. სელესაო ის მეტოქე არაა, ვისთანაც ასე ღიად უნდა ითამაშო და სივრცეები გაუხსნა. სწორედ გამოთავისუფლებული ზონები გამოიყენეს ბრაზილიელებმა და გოლებიც გაგვიტანეს.

**- ლიპიმ შეხვედრის წინ განაცხადა, რომ იტალია შემტევ ფეხბურთს ითამაშებდა. ტაქტიკაც შესაბამისი აირჩია, ნუთუ ისევ დაცვაში უნდა ჩავდგეთ?**

- არაა აუცილებელი, ყველა შეხვედრა ერთი და იმავე ტაქტიკით ითამაშო. გააჩნია მეტოქეს. თუ საჭირო გახდა, მთელი გუნდითაც კი უნდა ჩადგე დაცვაში. ბრაზილია არ არის ის მოწინააღმდეგე, რომელთანაც მოედნის შუაგული უნდა მოაშიშვლო. სამი ნახევარმცველი ნამდვილად ვერ გააკავებდა ბრაზილიელთა შეტევით პოტენციალს, მით უმეტეს, რომ ერთ-ერთი შუახაზელი რიკარდო მონტოლივო გახლდათ. ფლორენციელი შემტევი ფეხბურთელია და დაცვაში თამაშის არაფერი გაეგება. მეორე ნახევარში ლიპიმ ტაქტიკა შეცვალა და ოთხი ნახევარმცველით გავაგრძელეთ თამაში. ამიტომ იყო, რომ შესვენების მერე მდგომარეობა გამოვასწორეთ და რიგ ეპიზოდებში სამხრეთამერიკელებს ვჯობდით კიდეც.

**- პოზიტივი თუ დაინახეთ „აძურას“ თამაშში?**

- როდესაც ლიპიმ ფეხბურთელები 4-4-2-ზე გადაანწყო, თამაშის სურათი უმალ შეიცვალა. მეტოქის ნახევარზე გადავინიეთ და გატანაც შეგვეძლო. ამით ნათლად დავინახეთ, რომ ბრაზილიელებზე ნაკლები გუნდი ნადვილად არ გვყავს, უბრალოდ, მათ სწორი სტრატეგიით უნდა დავუპირისპირდეთ. ძალიან მომეწონა ჯუზეპე როსი, მან ნაკრებს თითქოს ძალა შემატა და აამოქმედა. ტექნიკურია, კარგი დრიბლინგი აქვს და ბევრს მოძრაობს. ის ნაკრებს მეტ იმპროვიზაციას და სისწრაფეს მატებს. იმედია, ლიპი ჯუზეპეს მომავალშიც გამოიძახებს.

**- ლიპი დელ პიეროს ჯერჯერობით არ სწყალობს - თქვენ როგორ მოიქცეოდით „აძურას“ მწვრთნელი რომ იყოთ?**

- ალესანდრო დიდი ფეხბურთელია და მისი განაცხადს მიღმა დატოვება ბევრისთვის მართლაც წარმოუდგენელია. მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ თითოეული მწვრთნელი არათუ უფლებამოსილია ჰყავდეს ფავორიტი ფეხბურთელები, არამედ ვალდებულიც კია. შეიძლება ჩემი სიტყვები ბევრს გაუკვირდეს, მაგრამ აზრს ვერავინ შემაცვლევინებს. ლიპი ჯიუტად იძახებს ნაკრებში ვინჩენცო იაკვინტას და არც ესაა ცუდი. თუ მარჩელო მას ენდობა, უნდა გამოიძახოს კიდეც.

**- თქვენი სიტყვები მართლაც გაკვირვებას იწვევს, რადგან საერთოდ იმ ფეხბურთელებს იძახებენ ნაკრებში, რომლებიც საუკეთესო ფორმაში არიან და სათამაშო დროის დეფიციტს არ განიცდიან.**

- გასაგებია, სათამაშო კონდიცია ყველაზე მთავარია, მაგრამ არც ის უნდა გვეწყინოს, თუ მწვრთნელს ფავორიტი ფეხბურთელები ჰყავს. იცით, რატომ ჩავაგდეთ ევრო 2008? - მიზეზი მარტივია, დონადონიმ საკუთარ პრინციპებს არ უერთგულა. დაეჭვდა, პირდაპირ ევროპის ჩემპიონატზე დაიწყო ექსპერიმენტები და ყველაფერი გააფუჭა. არადა, დონი ძალიან ნიჭიერი სპეციალისტია და გაცილებით მეტი შეეძლო.

**- რას გულისხმობთ ექსპერიმენტებში?**

- მთელი შესარჩევი ეტაპის განმავლობაში, დონადონი აქცენტს ანტონიო დი ნატალეზე აკეთებდა, ტოტოც შესანიშნავად ართმევდა თავს დაკისრებულ მოვალეობას და ნაკრების მთავარი დამრტყმელი ძალა გახლდათ. რობერტოს ერთ-ერთი მთავარი კოზირი იყო ფაბიო კვალიარელაც, ვინც საკვალიფიკაციოში რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა. რა მოხდა ევროპის პირველობაზე? - დონიმ წნეხს ვერ გაუძლო და დაიწყო გაუთავებელი როტაციები. „აძურაში“ გამოიძახა ანტონიო კასანო, ვისაც იქამდე არ სწყალობდა. განაცხადში შეიყვანა ალესანდრო დელ პიერო და საბოლოო ჯამში, ავსტრია-შვეიცარიაში ექვსი ფორვარდი იახლა, რისი საჭიროებაც ნამდვილად არ იყო.

**- ანუ, დონადონიმ ეს გადაწყვეტილებები პრესის და გულშემატკივრების ზეწოლით მიიღო?**

- სხვა ახსნას ვერ ვპოულობ, რადგან დონადონი კასანოს და დელ პიეროს შესარჩევში ნამდვილად არ ეყრდნობოდა. ევროპის ჩემპიონატზე დი ნატალემ მხოლოდ პირველი შეხვედრა ჩაატარა, შემდეგ კი რატომღაც ღრმა თადარიგში გადაინაცვლა და ადგილი თანაგუნდელებს დაუთმო. ორი შეხვედრა კასანომ ითამაშა ძირითადში, ერთიც - ალექსმა. ეს აღარ იყო იმ მწვრთნელის გუნდი, რომელიც ფორმალურად ჯერ კიდევ მართავდა „აძურას“. ლიპი გამოცდილი სპეციალისტია და ის სადავეებს ხელიდან არ გაუშვებს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეცდომა არ მოუვა და აუცილებლად წარმატებული იქნება. ამიტომ არის, რომ ჩასაფრებულის პოზიციაში გვიწევს ყოფნა, მცდარ გადაწყვეტილებებზე აქედანვე უნდა მივუთითოთ.

**- საკლუბო ფეხბურთზე გადავერთოთ. კვირას მილანური დერბია, რას ელით ამ შეხვედრისგან?**

- დერბი ყოველთვის გამორჩეულია და გამონაკლისი არც კვირის პაექრობა იქნება. ველი დრამატულ სანახაობას, რომელშიც ფეხბურთი გაიმარჯვებს. ბუნებრივია, ჩემი სიმპათიები „ინტერისკენ“ იხრება, მაგრამ პირველ რიგში კარგი ფეხბურთის ხილვა მსურს. ბრაზილიასთან პაექრობამ საკლუბო ფეხბურთს ცოტა მოგვწყვიტა, თუმცა ეგ არაფერი, ქალაქში უკვე იგრძნობა სადერბო განწყობილება.

**- ბევრს მიაჩნია, რომ თუ „ინტერმა“ მოიგო, სკუდეტოს მოპოვებაში ველარავინ შეეცილება.**

- ასეთი საუბრები ყოველთვის აზრს არის მოკლებული და ჩემში მუდამ ღიმილს იწვევს. „ინტერმა“ რომ დერბი მოიგოს, მართლაც ბევრი იტყვის, რომ „ნერაძურიმ“ გაინაღდა პირველობა. შემდეგ, თუ შეიცვალა ვითარება და პირველ ადგილზე „მილანი“, ან „იუვენტუსი“ გადავიდა, ისეთივე წარმატებით იტყვიან, რომ სკუდეტოს მოპოვების მთავარი პრეტენდენტი არა „ინტერი“, არამედ რომელიმე მისი კონკურენტია. წინ ნახევარი ჩემპიონატია და დღეს ძნელია რაიმეს გადაჭრით მტკიცება. ამ დროისთვის ნომერი პირველი ფავორიტი „ნერაძურია“, რადგან ეს გუნდი ცხრილს სათავეში უდგას და სხვებზე სტაბილურად გამოიყურება.

**- სერია A-ს მიმდინარე გათამაშებას როგორ შეაფასებთ?**

- პროგრესი სახეზეა და მთავარი ესაა. ერთი ხანობა, მუდმივად ვრეგრესირებდით და ეს ძალიან მაშფოთებდა. სერია A წელს გაცილებით უფრო საინტერესოა, ვიდრე წინა, ან იმის წინა სეზონებში. კლუბები ფეხზე წამოდგნენ, მოძლიერდნენ და გრანდებს ღირსეულ კონკურენციას უწევენ. მთავარი ესაა, გუნდებს შორის უფსკრული არ უნდა იყოს. ძალიან მომწონს „ჯენოა“, „ნაპოლი“, „კატანია“, „ატალანტა“, „პალერმო“. სწორედ ასეთი გუნდებით უნდა ვიმსჯელოთ იტალიური ფეხბურთის საერთო დონეზე.

**ლაშა ნიკლაური**




ბაიერნი

# ოდო: მიუნხენში დარჩენა მინდა

## იტალიელს მიაჩნია, რომ ბაიერნს ჩემპიონთა ლიგის მოგება შეუძლია

**მასიმო ოდოს** ბუნდესლიგაში პირველი წრის ბოლო ტურის შემდეგ აღარ უთამაშია, რადგან 2008 წლის მიწურულს, „შტუტგარტთან“ შეხვედრაში, რომელიც ფრედ - 2:2 დასრულდა, ბავარიული გრანდის იტალიელმა მცველმა წითელი ბარათი მიიღო (შტუტგარტელ **კრისტიან ტრეშს** კუნგ-ფუს ილეთი რომ ჩაუტარა, იმიტომ), რისთვისაც გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომისიისგან სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია დაიმსახურა. ასე რომ, მას კიდევ ერთი მატჩის გამოტოვება უწევს და რეკორდმაისტერს ვერც ამ ტურში დაეხმარება. დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ ოდოს ძირითად შემადგენლობაში დაბრუნება და ჩემპიონთა ლიგის მოგება სურს.

აგვისტოს ბოლოს „ბაიერნის“ ხელმძღვანელები იძულებული იქნებიან, „მილანთან“ იტალიელი მცველის თაობაზე მოლაპარაკებები წამოიწყონ. როგორც იცით, **ვილი სანიოლმა** კარიერა დაასრულა. ასე რომ, **იურგენ კლინსმანს** ახლა იტალიელის მხოლოდ ერთი ალტერნატივა ჰყავს: **კრისტიან ლელი**. ვერ ვიტყვით, რომ ოდომ „ბაიერნის“ ფანები ჭკუიდან შეშალა, მაგრამ როცა მოედანზეა, ყოველთვის სტაბილურად თამაშობს.

*„ბაიერნში“ იმისთვის გადმოვედი, რომ ვითამაშო. მინდა, მწვრთნელი და გუნდის ხელმძღვანელები ჩემს შესაძლებლობებში დავარწმუნო. მსურს, რომ მიუნხენში დავრჩე; მინდა, რომ კონტრაქტი გამიგრძელონ“*, - აცხადებს 32 წლის ოდო. „ბაიერნის“ გენერალურმა მენეჯერმა **ული ჰიონესმა** თქვა, მასიმოს საკითხს მარტში ან აპრილში გადავწყვეტთო.

ოდო: *„მილანიდან“ იმის გამო წამოვედი, რომ ვგრძნობდი: იქ უკვე აღარ ვიყავი მნიშვნელოვანი ფეხბურთელი. მე კი ზუსტად ეს მჭირდება. თუკი მიუნხენში მომავალშიც ვიგრძნობ, რომ მნიშვნელოვანი ფიგურა ვარ, აქ დიდი სიამოვნებით დავრჩები. ასე რომ, მომდევნო თვეები ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია“.*

იტალიელი დარწმუნებულია, რომ რეკორდმაისტერს ჩემპიონთა ლიგის მოგება შეუძლია: *„ჩემპიონთა ლიგა ისეთი ტურნირია, წინასწარ ვერაფერს განჭვრეტ. 2007 წელს ეს ტურნირი „მილანმა“ მოიგო, მაგრამ ჩვენ მაშინ ნამდვილად არ გვყავდა ყველაზე მაგარი გუნდი. ვფიქრობ, „ბაიერნს“ წელს შეუძლია ჩემპიონთა ლიგის მოგება“.*

**გოტფრიდ ლენცი**

იტალიის ნაკრები



# მარჩელომ როსი შეაქო

## ...და დელ პიერო დააიმედა

**ბრაზილიასთან** განცდილი მარცხის შემდეგ, **მარჩელო ლიპი** იტალიაში გვარიანად გააკრიტიკეს. ასეთი რამ პირველად მოხდა, მაესტროს მისამართით აქამდე ძვირი არავის დასცდენია. „გაძეტა დელო სპორტის“ ჟურნალისტმა კიდევ ერთხელ დააყენა ნაკრებში **ფრანჩესკო ტოტის** დაბრუნების საკითხი და დასძინა, რომ „სკუადრა აძურას“ რომაელი ჰაერივით სჭირდება. ამ საკითხზე კომენტარი თავად ლიპიმაც გააკეთა:

*„ტოტიმ თავად განაცხადა ნაკრებში თამაშზე უარი და უმჯობესია, ჯერ მას გაესაუბროთ. იქნებ, არ სურს „აძურაში“ დაბრუნება და თქვენი სურვილი, უბრალოდ, უსაფუძვლოა. ფრანჩესკომ განაცხადა, რომ ნაკრებზე ისევ ფიქრობს, თუმცა ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. ჩემი მხრივ დავამატებ, რომ „სკუადრა აძურას“ კარი ნებისმიერი იტალიელი ფეხბურთელისთვის ღიაა. ორიოდე სიტყვით დელ პიეროს საკითხსაც შევეხები და აღვნიშნავ, რომ მასზე უარის თქმას არ ვაპირებ. ალექსის შესაძლებლობებში დარწმუნებული ვარ და მისი ამხანაგურ შეხვედრაში გამოცდა უმართებულოდ მიმაჩნია. სამაგიეროდ, მიზანშეწონილი გახლდათ ჯუზეპე როსის გამოძახება, რომელმაც ჩემზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. დიდი ენთუზიაზმით ითამაშა და მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ“.*

**ლაშა ნიკლაური**

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების =ISHRS= წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები. მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ამხანაგური მატჩები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ესპანური არმადა მკვლელობის მანქანად გადაიქცა

**ესპანეთი–ინგლისი 2:0**



სელექსიონი კვლავ დაუმარცხებელია! ესპანურ არმადას ამჯერად ინგლისის დიდი ნაკრები ემსხვერპლა. ინგლისი დიდი ორი მიზეზის გამოა, იმიტომ, რომ ის ინგლისია და რა თქმა უნდა, იმიტომაც, რომ მას **ფაბიო კაპელო** ხელმძღვანელობს... თუცა 11 თებერვალი ბრიტანელთა დღე ნამდვილად არ იყო. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ესპანეთის ნაკრები დღეს ყველაზე ლამაზ და გამართულ ფეხბურთს თამაშობს. ამ გუნდის თანამიმდევრულობა და სტაბილურობა მხოლოდ და მხოლოდ აღფრთოვანებას იწვევს. **ლუის არაგონესმა** სელექსიონს ევროპის ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა. შემდეგ კი გუნდი **ვისენტე დელ ბოსკეს** გადააბარა. წესით პირენეელებს კონტინენტის პირველობის შემდეგ ჩავარდნისა და კრიზისის ხანა უნდა დასდგომოდათ, მაგრამ რომელ კრიზისზეა ლაპარაკი, როცა დელ ბოსკე და მისი ბიჭები ყველა მოწინააღმდეგეს მუსრს ავლებენ. სელექსიონმა საფეხბურთო ხელოვნების ახალი ნიმუში შემოგვთავაზა. ის განსაკუთრებით ღირებულია, რადგან ფაბიო კაპელოს ინგლისთან მატჩში შეიქმნა. ესპანელებისთვის „სანჩეს პისხუანზე" ძალიან ბევრი სასიხარულო რამ მოხდა. უშუალოდ საამაყო გამარჯვებას თავი რომ დავანებოთ, **დავიდ ვილიამ** ულამაზესი ბურთი შეაგდო, ესპანური ფეხბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა **ფერნანდო ლორენტემ** კი ეროვნული გუნდის მაისურათი პირველი გოლი გაიტანა.

ყოველგვარი პათეტიკის გარეშე უნდა ითქვას, რომ ესპანელები ახლა ახალი, სასიქადულო და საამაყო ისტორიის წერას აგრძელებენ. ეს დღეები და გენიალური მატჩები მრავალი თაობის გულშემატკივრის გონებაში ჩაიბეჭდება. პირენეელები უკვე ხმამაღლა აცხადებენ, რომ ასეთი ძლიერი გუნდი მათ არასოდეს ჰყოლიათ. სელექსიონის ინჩასები ლამაზ ფეხბურთსა და გამარჯვებებს ისე მიეჩვივნენ, რომ უბრალო მატჩებით აღარ კმაყოფილდებიან. ვისენტე დელ ბოსკეს ეს გარემოება საკმაოდ დიდ წნეხში აგდებს. მან და არაგონესმა (მუშაობის ბოლო ეტაპზე) საზოგადოება ძალიან გაათამამეს და გაანებივრეს. ხომ გაგიგიათ, მიუჩვეველს ნუ მიაჩვევს და მიჩვეულს ნუ გადააჩვევო. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ესპანელებს მომავალში ორმაგი პასუხისმგებლობითა და შემართებით თამაში მოუწევთ. ასეთი გუნდისგან მცირე ნაფორხილებაც კი ტრაგიკულად შეიძლება აღიქვან.

მაშ ასე, ესპანეთმა ინგლისის სახით კიდევ ერთი მსუყე ლუკმა მოინელა. თავიდანვე ითქვა, რომ ამ გუნდების შეხვედრა მრავალი მიზეზის გამო ამხანაგური მატჩის ფორმატს სცილდებოდა; უმნიშვნელოვანესი დაპირისპირების ელფერს ატარებდა. არც არის გასაკვირი, „სანჩეს პისხუანზე" გამარჯვება ორივე ნაკრებისთვის პრესტიჟის საქმე იყო. სენიორ დელ ბოსკემ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მოწინააღმდეგე ძალიან კარგად გვყავს შესწავლილი და მოვლენათა შესაძლო განითარების რამდენიმე სცენარზე ვმუშაობთო. მთავარი მწვრთნელი ცამდე მართალი ყოფილა. შეხვედრის მსვლელობისას სელექსიონმა ტაქტიკა რამდენჯერმე შეცვალა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ცვლილებებისას მასპინძლებს მინიმალური პრობლემაც არ შეჰქმნიათ. ისინი ისე გრძნობდნენ თავს, როგორც თევზი წყალში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დავიდ ვილიას ულამაზესი გოლი. მან მოედნის ცენტრიდან კარგი პასი მიიღო და დაცვა კარაქივით გაჭრა. მის ცრუმოძრაობას ინგლისელმა მცველებმა ვერაფერი დაუპირისპირეს და მეკარეც უძლური აღმოჩნდა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მეტოქის თამაში კაპელოსაც არაჩვეულებრივად ჰქონდა შესწავლილი. ინგლისელები მასპინძლების შევიწროებას მათსავე ნახევარზე იწყებდნენ, მაგრამ ტექნიკური ესპანელებისთვის პრესინგი გადაულახავი დაბრკოლება არ აღმოჩნდა. მათ ბურთი მარტივად ამოჰქონდათ და სტუმართა საჯარიმოს განსაკუთრებული გართულების გარეშე უახლოვდებოდნენ. ესპანელებმა საკმაოდ ბევრი სახიფათო მომენტი შექმნეს. აქედან ორი კი გოლად აქციეს. ვილიას შესახებ უკვე ვისაუბრეთ. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ფერნანდო ლორენტემ თავური დარტყმით შეაგდო. მხოლოდ მეგოლეებზე რომ არ ვილაპარაკოთ, ვალდებული ვართ, ნახევარდაცვის ფენომენურ თამაშს გავუსვათ ხაზი. **ჩავიმ, ინიესტამ, მარკოს სენამ და ჩაბი ალონსომ** არაჩვეულებრივად ითამაშეს. კაცმა რომ თქვას, ამ ბიჭებისგან ასეთი შთამბეჭდავი თამაში აღარავის უკვირს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ინგლისთან მატჩში გარდამტეხი როლი სწორედ ნახევარდაცვამ შეასრულა.

დავიდ ვილიამ იმ შეხვედრაში რეკორდი დაამყარა. „ვალენსიის" ფორვარდმა ზედიზედ მეექვსე შეხვედრაში შეძლო გოლის გატანა. ასეთი შედეგისთვის სელექსიონის არსებობის განმავლობაში მანამდე არავის მიუღწევია. მთლიანობაში დავიდს ეროვნულ გუნდში 25 ბურთი დაუგროვდა. ამ მონაცემით ის სელექსიონის ყველა დროის რიგით მეხუთე საუკეთესო გოლეადორია. ვილია მიღწევებით ძალიან კმაყოფილია, მაგრამ მას ყველაზე მეტად გუნდის გამარჯვებები და წინსვლა ახარებს: *„რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა, რომ ზედიზედ მეექვსე შეხვედრაში გავიტანე და ამით ერთგვარი რეკორდი დავამყარე. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ არა მთავარი. იცით, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რა არის? რა თქმა უნდა, ესპანეთის ნაკრების წარმატება. თუ სელექსიონი ჩემი გოლების გარეშეც გაიმარჯვებს, რა თქმა უნდა, გული არ დამწყდება და დიდად გავიხარებ. ისიც ცხადია, რომ გოლის გატანა დამატებით, ასევე დიდ სიხარულთანაა დაკავშირებული".*

ალბათ, ვისენტე დელ ბოსკესა და ფაბიო კაპელოს მოსაზრებები არანაკლებ საინტერესო იქნება. თავდაპირველად ესპანეთის ნაკრების დამრიგებლის განცხადებას გაგაცნობთ:

*„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ სტადიონზე მოსული ათასობით ადამიანი ემოციურად გვგულშემატკივრობდა. ძალიან მიხარია, რომ სელექსიონი სწორი გზით სიარულს აგრძელებს. დღეს უძლიერესი მეტოქე დავამარცხეთ. მართალია, დამაჯერებელი ანგარიშით მოვიგეთ, მაგრამ ყველამ დაინახეთ, რომ სტუმრებმა უდიდესი წინააღმდეგობა გაგვიწიეს. ჩემთვის საამაყოა, რომ ფაბიო კაპელოს გუნდს ვაჯობეთ, თანაც ისე, რომ ესპანელმა ფეხბურთელებმა საუკეთესო თვისებები გამოამჟღავნეს. თამაშის რიტმს თითქმის მთელი 90 წუთის განმავლობაში ვაკონტროლებდით. ინგლისთან ასეთი უპირატესობის მოპოვება ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებს, პირველ რიგში კი გუნდის სიმტკიცეზე, კარგ მომზადებასა და მოთამაშეების შესაშურ ოსტატობაზე. შეამჩნევდით, რომ ანდრეს ინიესტა მისთვის შედარებით უჩვეულო პოზიციაზე ვათამაშე. მას რამდენჯერმე მოუხდა პოზიციის შეცვლა, მაგრამ ანდრესი მთელი მატჩის განმავლობაში შეუდარებელი იყო. ანდრესით ძალიან კმაყოფილი ვარ. ისევე როგორც მთელი შემადგენლობით. ბიჭებმა მაქსიმუმი გაიღეს იმისთვის, რომ სელექსიონის პრესტიჟი დაეცვათ და მისი ავტორიტეტი განემტკიცებინათ. დასამალი არ არის, რომ ინგლისის ეროვნული გუნდის დამარცხება განსაკუთრებით სასიამოვნო და სასიხარულოა".*

ფაბიო კაპელომ მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ასეთი რამ განაცხადა: *„ჩემი აზრით, ესპანეთმა ზუსტად იმავე ტაქტიკითა და სტილით ითამაშა, რომლითაც ევრო 2008-ზე გაიმარჯვა. შემადგენლობაც, ფაქტობრივად, უცვლელი იყო. მასპინძლებმა შესაშური შემართებითა და მონდომებით ითამაშეს. ისინი ჩვენთან შეხვედრას ისე მიუდგნენ, როგორც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს. არ ვიცი, შესაძლოა, ვინმესთვის ეს გადაჭარბება იყოს, მაგრამ მე პროფესიონალიზმსა და მონდომებას ყოველთვის მივესალმები. დღეს რამდენიმე მიუტევებელი შეცდომა დავუშვით. ესპანელებმა ეს შეცდომები არაჩვეულებრივად გამოიყენეს და დაგვამარცხეს. მადლობა ღმერთს, რომ ეს მაინც ამხანაგური დაპირისპირება გახლდათ და ქულები არ დაგვიკარგავს. დღევანდელ წარუმატებლობას ჭკუის სასწავლებლად გამოვიყენებთ. შეხვედრას საფუძვლიანად გავაანალიზებთ და შევეცდებით, მომდევნო დაპირისპირებებში იგივე შეცდომები აღარ გავიმეოროთ".*

# მარადონამ დომენეკი დაამარცხა

**საფრანგეთი–არგენტინა 0:2**



**დიეგო მარადონა** აღარ ხუმრობს. ამ კაცისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ ლეგენდარული ფეხბურთელის ალბისელესტეს მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნას მიმომხილველებისა და გულშემატკივრების საკმაოდ დიდი ნაწილი ძალიან პესიმისტურად შეხვდა. მაშინვე გაჩნდა სკეპტიციზმი და შიში, რომ გამოუცდელი მარადონა მუდმივად ამბიციური მიზნებისთვის მებრძოლ არგენტინის ნაკრებს წარმატებებს ვერ მოუტანდა. დასკვნების გამოტანა რა თქმა უნდა, ნაადრევია. ძნელი სათქმელია, მომავალში რა მოხდება, მაგრამ ამ ეტაპზე თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ ალბისელესტე მოწოდების სიმაღლეზეა და საკმაოდ დამაჯერებლად თამაშობს. შეგახსენებთ, დიეგომ მეორე ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა და ორივე მოიგო. მანამდე არგენტინელებმა შოტლანდია დაამარცხეს. ხაზი უნდა გაესვას, რომ მარადონას ბიჭებმა ორივე შეხვედრა გასვლაზე მოიგეს. შოტლანდიისგან განსხვავებით, საფრანგეთში **ლეო მესიმაც** ითამაშა. „ბარსელონას" ფორვარდმა სტუმრების გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა. ისე არ გაგვიგოთ, რომ არგენტინა მხოლოდ ლეოს კარგ თამაშზე იყო დამოკიდებული. არა, ბატონებო, მთელმა შემადგენლობამ მონდომებით ითამაშა, მაგრამ მესი ხომ მაინც მესია. აშკარად შესამჩნევი იყო, რომ საფრანგეთის ეროვნული გუნდის მცველები დაძაბულად თამაშობდნენ და თითქმის მთელ ძალისხმევას ლეოს გაუვნებელყოფას ახმარდნენ. დიდი მონდომების მიუხედავად, მასპინძლებმა მესი მაინც ვერ გააჩერეს. მეორე ტაიმში კატალონიური გრანდის სუპერვარსკვლავმა **კარლოს ტევესისგან** პასი მიიღო და ისეთი უცნაური მოძრაობა გააკეთა, ირგვლივ ყველა მოწინააღმდეგე სათამაშო ეპიზოდიდან გამოთიშა. ცხადია, ასეთი დრიბლინგის შემდეგ მეკარე ველარაფერს გააწყობდა. უცნაურად გამოგვდის, მაგრამ შეხვედრის პირველი გოლის შესახებ აქვე უნდა მოგახსენოთ. **გუტიერესმა მანდანდას** შეცდომით ისაგებლა. ფრანგმა გოლკიპერმა ახლო კუთხეში გაუშვა. ის ვალდებული იყო, დარტყმა მოეგერიებინა.

მარადონამ გამარჯვებით ძალიან გაიხარა. მან პრესკონფერენციაზე ემოციურად და ამაყად ისაუბრა:

*„უბედნიერესი ადამიანი ვარ, რომ ჩემმა ბიჭებმა ჩემი სულისკვეთება კარგად გაითავისეს და დავალებები პირუთვნელად შეასრულეს. მე მათ ვეუბნებოდი: ბიჭებო, არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენ არგენტინელები ხართ, არგენტინელებს თავიანთი სამშობლო ყველაზე მეტად უნდა უყვარდეთ. შემართება საქმის ნახევარია. თუ ტექნიკური ხარ, ფიზიკურად ძლიერი და მკერდში გულიც გიძგერს, აუცილებლად გაიმარჯვებ. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ბედნიერი ვარ, რომ დამაჯერებლად ვითამაშეთ. ჩვენი უპირატესობა, მგონი, ყველასთვის თვალშისაცემი იყო. საფრანგეთის საფრანგეთშივე დამარცხება არაჩვეულებრივი შედეგია. აქვე გამოვტყდები, რომ დაცვაში რამდენიმე მიუტევებელი შეცდომა დავუშვით. ამ ხარვეზებზე საგანგებოდ ვიმუშავებთ".*

**რაიმონ დომენეკს** რაც შეეხება, ის ცხადია, ძალიან დამწუხრებული იყო და არადამაჯერებელი სიტყვებით თავის გამართლებას ცდილობდა. ფრანგების მთავარმა მწვრთნელმა ასეთი რამ განაცხადა:

*„დღევანდელი შეხვედრის მოგება პრესტიჟთან იყო ასოცირებული, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამხანაგური შეხვედრა ტაქტიკის დასახვეწად და სწავლისთვის არის მოგონილი. სრული სერიოზულობით უნდა განვაცხადო, რომ ჩემმა ბიჭებმა დღეს ძალიან ბევრი რამ ისწავლეს. ეს განსაკუთრებით ახალგაზრდებზე ითქმის. თავს არ ვიმართლებ, მაგრამ დღევანდელი დაპირისპირების მოგება ჩვენი მთავარი ამოცანა სულაც არ იყო. ცხადია, გამარჯვება ძალიან გაგვახარებდა, მაგრამ მთავარია, საკვალიფიკაციო რაუნდის მატჩებს მაქსიმალურად მომზადებული შევხვდეთ. არგენტინასთან დაპირისპირება სწორედ ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ".*

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**




(გაგრძელება)

„ვალენსია“ პირველი კლუბი გახდა, რომელმაც „ნანსისთან“ ჩემი შესაძლო შეძენის თაობაზე კონტაქტი დაამყარა. ყველაფერი ზრდილობიანად, ეტიკეტის სრული დაცვით გაკეთდა, მაგრამ ესპანური კლუბის აგენტები ჩემი ხელმძღვანელებმა გააძევეს. ეს კლუბი აღარ აპირებს იმავე შეცდომის გამეორებას და პირდაპირ ჩემთან ამყარებს კონტაქტს.

**მარსელ დომინგო** მატყობინებს: *„თუ თქვენ ესპანეთში გადასვლას აირჩევთ, „ვალენსიის“ გარდა, სხვა კლუბთან კონტრაქტის გაფორმებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იქნება. თუ რომელიმე კლუბისგან უკვე მიღებული გაქვთ კონკრეტული შეთავაზება, ჩვენ მზად ვართ კონტრწინადადება შემოგთავაზოთ“.*

რამდენიც არ უნდა არწმუნო საკუთარი თავი იმაში, რომ ფეხბურთი მხოლოდ თამაშია, რომლისთვისაც ბოლომდე უნდა დაიხარჯო, ყოველგვარი „ქვენა გრძნობების“ გარეშე, ასეთ მოლაპარაკებებს მაინც ვერსად გაექცევი. თანაც ეს ყოველთვის ტოვებს გონებაში ცუდ კვალს.

მე აქამდე ნაკლებად ვიყავი დაინტერესებული ფულით.

ჩემთვის, პირველ რიგში, მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა თავად კლუბ „ნანსის“, ჩემს მეგობრებსა და პარტნიორებს, თამაშისგან მიღებულ სიამოვნებას, ეს იყო და ეს...

ამ საღამოს მარსელში „ოლიმპიკთან“ ვთამაშობთ. მაგრამ დღეს, რატომღაც, სულ ვაგვიანებ დარტყმის შესრულებას. იქნებ, ჩემში კლოდ კიუნის მიმართ წყენა ჩაბუდებულა? იქნებ, სხვის მოედანზე მნიშვნელოვანი მატჩის ბედი მაღელვებს? იქნებ, მომავალი ტრანსფერი მაწუხებს, რომელიც სინამდვილეში სახელმწიფოებრივი მასშტაბის საქმედ გადაიქცა? რაც არ უნდა იყოს, მაისურზე მეცხრე ნომერი მაწერია, მაგრამ ერთხელაც ვერ ვითამაშე შეტევის ბოლო ფაზაში - თავდასხმის ცენტრში. მხოლოდ პასების დარიგებით ვიყავი დაკავებული, მაგრამ ამასაც ზერელედ, ვალდებულების მოხდის მიზნით ვაკეთებდი. მოკლედ რომ ვთქვა, არც ისე კარგად ვგრძნობდი თავს.

**ტრეზორმა** გოლი გაგვიტანა. „მარსელი“ დაწინაურდა.

**კურბელო** ანგარიშს ათანაბრებს, ჩვენი გუნდები ერთმანეთს მეგობრულად, საყაიმო ანგარიშით შორდებიან, რომელიც არავის აღელვებს, პირველ რიგში, ჩემ სანახავად ჩამოსულ ესპანელებს. მატჩის შემდეგ დომინგო მომიახლოვდა და განმიცხადა, რომ ჩემს დღევანდელ თამაშს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს: მან უფრო ადრე იცოდა ჩემი შესაძლებლობები. მაგრამ კლოდ კიუნი ულვაშებში ბურტყუნებს: *„მიუხედავად იმისა, სად გადაწყვეტს პლატინი თამაშს - ესპანეთსა თუ იტალიაში, მან ისე არ უნდა ითამაშოს, როგორც ამას დღეს აკეთებდა“.*

იტალია... ყველაფერი სწორედ ამ ქვეყნისკენ მიბიძგებს.

რამდენიმე დღის შემდეგ, 8 თებერვალს საფრანგეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადების ციკლში ნეაპოლში იტალიის ნაკრებს ხვდება. საფრანგეთმა „სკუადრა აძურასთან“ უკანასკნელი გამარჯვება „ანტიკურ ხანაში“ მოიპოვა, თუ უფრო ზუსტნი ვიქნებით, ანტვერპენში, 1920 წლის ოლიმპიურ თამაშებზე!

ზოგიერთმა ჭორიკანამ გამოთქვა ვარაუდი, რომ პლატინის ნეაპოლში ყოფნას მილანის ან ტურინის რომელიმე სახელგანთქმულ კლუბთან კონტრაქტის გაფორმებისთვის გამოიყენებენ. მე ყიდვა-გაყიდვის ობიექტად ვიქეცი, რაც ყოველთვის ფასების გაბერვას იწვევს.

ინფორმაციაზე მონადირენი ცხვირწინ მიფრიალებენ უცხოურ ჟურნალებს, რომლითაც ერთი დიდი კიოსკის გავსება შეიძლება: ჩემი გვარი ევროპული ბეჭდვითი პროდუქციის ყველა სათაურში ფიგურირებს - ბარსელონური „დონ ბალონითა“ და პორტუგალიური „ლა ბოლადან“ დაწყებული და იტალიური „ტურინ სპორტივოთი“ დამთავრებული.

აი, უკვე 15 დღეა უცხოელი ჟურნალისტები მოსვენებას არ მაძლევენ. ყველგან, სადაც „ნანსი“ ჩადის, უცხოელი აგენტები მუდმივად იმ დერეფნებში დააბიჯებენ, რომელსაც ჩვენი გასახდელისკენ მივყავართ. იტალიაში გამგზავრებამდე ორი კვირით ადრე, ნიცაში (სადაც 7:3 (!) გავიმარჯვეთ) სამი იტალიელი ჩამოვიდა, შემდეგ მარსელში, დომინგოს ჩამოყვნენ ესპანური პრესის სპეციალური კორესპონდენტები, მათ შორის „ბარსელონას“ ყოფილი კაპიტანი **ფუსტე**, რომელიც ყოველკვირეულ „დონ ბალონს“ წარმოადგენს.

ასეთი ვიზიტები, ალბათ, ახალ ჭორებს წარმოშობს, რომელიც კიდევ უფრო ძაბავს ატმოსფეროს. ბოლო ინფორმაცია: ალიარებითი ჩვენება, რომელსაც ესპანური ფეხბურთის რომელიღაც „რუხი კარდინალი“ აკეთებს.

„ფრანს ფუტბოლი“ ამ სიახლეს ნეაპოლური მატჩის წინ აქვეყნებს და ფრანგი გულშემატკივრები, რომლებიც იტალიაში ჩარტერული რეისებით ჩამოვიდნენ, მთელს ქალაქში ავრცელებენ ინფორმაციას, რომელიც საყოველთაო ცნობისმოყვარეობას იწვევს. შემდეგ თავი გამოიჩინა „ფრანს ფუტბოლის“ რომელიღაც იდუმალმა კორესპონდენტმა: *„სანდრო მაცოლა და „ინტერი“ უარს ამბობენ მაისამდე მიშელ პლატინისთან ყოველგვარ კონტაქტზე, რათა არ დაარღვიონ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის წესდება. მაგრამ ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენს სუპერვარსკვლავსა და მილანურ კლუბს შორის შეთანხმება მიღწეულია. „ინტერს“ ესაჭიროება სტრატეგი, რომელიც ეფექტური თამაშისკენ იქნება მოწოდებული. გუნდის პრეზიდენტს ივანო ფრანცოლის საჭირო ფინანსური შესაძლებლობები გააჩნია. მაგალითად, ის მზად იყო მილიარდ-ნახევარი ლირა (8 მილიონი ფრანკი) გადაუხადა ნოველის სანაცვლოდ. მას კულისებსმიღმა გარიგება არ გამოუვიდა, რაც აშკარად ნა[illegible] მილანურ კლუბს - ახლა ის ამ ფულს პლატინისთვის გამოიყენებს. სინიორ ფრანცოლის ფურორის მოხდენა სურს და ამისთვის უკან არაფერზე დაიხევს. პლატინი იდეალური მოთამაშეა, რომელმაც გუნდს პრესტიჟი უნდა დაუბრუნოს“.*

აი, რას ამბობს მოვლენათა მეორე მოწმე, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა მოისურვა - პლატინიმ უკვე მოაწერა ხელი „ინტერთან“ წინასწარ კონტრაქტს. მაგრამ მას ერთი რამ დაავიწყდა: იტალიის ფეხბურთის ფედერაცია ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ 1981-82 წლების სეზონამდე შეაჩეროს იტალიურ კლუბებში უცხოელი მოთამაშეების დაბრუნება - ამას ავალდებულებს საერთო ბაზრის ქვეყნების ჩარჩოში თავისუფალი გადაადგილების კანონი. იტალია ჯერ კიდევ არ არის მზად თავისი ყოფილი შვილის მშობლიურ სახლში დასაბრუნებლად.

ნეაპოლში, ჩემი სასტუმრო ნომრის კარზე, რომელსაც **მიშელ ილადგო** გულმოდგინედ დარაჯობდა, რომელიღაც იუმორისტმა სპორტული კარიკატურა გამოაკრა. მასზე ოთხი მამაკაცია გამოსახული. მათ დიდი პალტოები აცვიათ, ცხვირზე შარფები აქვთ შემოხვეული, ხოლო თითოეულის პორტფელზე გუნდის სახელებია მიწერილი - „ვალენსია“, „ბარსელონა“, „ინტერი“ და „ტორინო“. ისინი **კიუნის** კაბინეტის კართან ძიძგილაობენ.

ბარსელონას ემისარი თავის ტურინელ კოლეგას ეკითხება:

- გრიპი გაწუხებთ?

- არა, ლოტარენგიული „ვარსკვლავური“ ავადმყოფობა. ისევე, როგორც თქვენ!

ამ კარიკატურამ ძალიან გამახალისა.

იტალიაში ჩემი მოგზაურობის შესახებ თხრობა რომ დავასრულო, აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ იტალიისა და საფრანგეთის ნაკრებების შეხვედრა ნამდვილ სპორტულ ბრძოლაში წარიმართა. სავსებით დამაკმაყოფილებელი შედეგის მიღწევა შევძელით - 2:2. მე ერთმანეთის მიყოლებით ორი გოლი გავიტანე, ორივე საჯარიმო დარტყმით... ერთი **დინო ძოფის** მარჯვენა „ცხრიანში“ და მეორე - მარცხენა კუთხეში. და ეს ყველაფერი შესვენებამდე 45 წამით ადრე. ეჭვგარეშეა, ძოფი ტურინში ჩემი გადასვლის სასარგებლოდ საკუთარ სიტყვას იტყვის. ეს მაშინ მოხდება, როცა „იუვენტუსი“, რომლის კარსაც დინო ადრეული წლებიდან იცავს, ჩემს სამუდამოდ ხელში ჩაგდებას მოინდომებს. თუმცა ძოფი კრინტსაც არ დაძრავს საჯარიმოებიდან ჩემ მიერ გატანილ ორ გოლზე. ეს გოლები, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრს ნიშნავდა და ნეაპოლის სტადიონის მინდვრის დატოვებისას პუბლიკა ჩემს სახელს სკანდირებდა.

ერთადერთი ადამიანი, რომელზეც ჩემს წარმატებებს არანაირი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, სასაცილო კიუნი გახლავთ. სასაცილო - სხვა სიტყვას ვერ მოუძებნით. იმ დროს, როცა გაზეთები სათაურების შერჩევისას ფანტაზიორობდნენ და ჩემი სატრანსფერო თანხის სავარაუდო ოდენობას ასახელებდნენ (6 მილიონ ფრანკად მაფასებდნენ), კიუნიმ მკვეთრად შემიმცირა ჯამაგირი. თვეში 12 ათას ფრანკს ვიღებდი, მან კი ჩემთვის ზედა ზღვარი დააწესა - 6 ათასი...

ასეა თუ ისე, ფრანგ მოთამაშეებს შორის საუკეთესოდ ვითვლებოდი და ამასთან ყველაზე დაბალანაზღაურებადი ფეხბურთელი ვიყავი. მაგრამ ასეთი მუხანათური დარტყმა თავად კიუნიზეც უნდა აისახოს. კლუბის მიერ გამოზრდილ მოთამაშეს შეუძლია, სადაც სურს იქითკენ გაეშუროს, თუმცა წინასწარ თავისი „აღზრდის“ სანაცვლოდ კომპენსაცია უნდა გადაიხადოს. კომპენსაცია ბოლო ორი წლის განმავლობაში ხელფასის ოდენობის მიხედვით დგება. ჩემთვის ხელფასის შემცირებით, კიუნი „ნანსის“ მოზრდილი თანხის ნახევრის გარეშე ტოვებდა. ცუდად გამოთვალა, ასე არ არის? მაგრამ მან მაინც შეძლო ამ სიტუაციიდან გამოძრომა. არ ვიცი რა საშუალებით, მაგრამ მაინც მოახერხა „სენ ეტიენისთვის“ ჩემი გადასვლის სანაცვლოდ სამჯერ მეტი თანხის წართმევა - 400 ათასის ნაცვლად 1 200 000 ფრანკი!




*(გაგრძელება იქნება)*

**გია თვალაბეიშვილი**

რაგბი — ერთა თასი



# ორივე გუნდში ცვლილებებია

დღეს ეროვნული სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში, საქართველოს რაგბის კავშირი კომპანია „ნატახტართან“ გაფორმებული მემორანდუმის პრეზენტაციას გამართავს. პარალელურად საქართველოსა და პორტუგალიის ნაკრები გუნდების მწვრთნელები წინასამატჩო პრესკონფერენციას გამართავენ.

მანამდე კი როგორც წესი და რიგია, ორივე გუნდის მწვრთნელთა შტაბმა თამაშამდე 48 საათით ადრე 22-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. ბორჯღალოსანთა შემადგენლობაში **ტიმ ლეინმა** პირველი მატჩის შემდეგ გერმანიის ნაკრებთან, რამდენიმე ცვლილება განახორციელა. ტრავმირებული **დავით ზირაქაშვილის** ნაცვლად მან „ტულონის“ პირველხაზელი **დავით ქუბრიაშვილი** იხმო, რომელიც ადგილს სათადარიგოთა შორის დაიკავებს. ძირითადში კი ბრიველი **დავით ხინჩაგიშვილი** დაიწყებს თამაშს, რომელიც გერმანიაში სათადარიგო იყო.

სათადარიგოთა შორის გადაინაცვლებენ შერკინების კვაჭი **ირაკლი ნატრიაშვილი,** მესამეხაზელი **რატი ურუშაძე** და შუამარბი **ირაკლი გიორგაძე.** მათ ნაცვლად პორტუგალიის წინააღმდეგ პირველი წუთიდან იბრძოლებენ შესაბამისად **აქვსენტი გიორგაძე, გია ლაბაძე** და **თედო ზიბზიბაძე.**

განაცხადში არაა გერმანიაში პირველი ლელოს ავტორი, გარემარბი **ირაკლი ჩხიკვაძე.** მის ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში დაიწყებს თამაშს „ხულიგანას“ გარემარბი **გიორგი შკინინი.**

რუსებთან საკუთარ მოედანზე განცდილი მარცხის შემდეგ, პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელმა **ტომაშ მორაეშმა** ოთხი ცვლილება განახორციელა. ძირითადი შემადგენლობიდან თბილისში არ ითამაშებენ მესამეხაზელი **ჟოაო უვა** და ათი ნომერი **დუარტე პინტუ.** მათ ნაცვლად მორაეშმა **დიოგო გამას** და **ბერნარდო დუარტეს** უხმო. საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ არ ითამაშებენ ასევე პირველხაზელი **ჟოაო ჟუნიორი** და გარემარბი **ფრანსისკო მირა.** ამათ ნაცვლად **ვალტერ ჟორჟე** და **ანტონიო აგილარი** იასპარეზებენ.

### საქართველოს ნაკრები

15. მერაბ კვირიკაშვილი, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. დავით კაჭარავა, 12. თედო ზიბზიბაძე, 11. გიორგი შკინინი, 10. ლაშა მალაღურაძე, 9. ირაკლი აბუსერიძე.

1. დავით ხინჩაგიშვილი, 2. აქვსენტი გიორგაძე, 3. გოდერძი შველიძე, 4. ილია ზედგინიძე, 5. კახაბერ უჩავა, 6. გიორგი ჩხაიძე, 7. გია ლაბაძე, 8. მამუკა გორგოძე.

16. ირაკლი ნატრიაშვილი, 17. დავით ქუბრიაშვილი, 18. დიმიტრი ბასილაია, 19. რატი ურუშაძე, 20. ბიძინა სამხარაძე, 21. ირაკლი გიორგაძე, 22. ოთარ ბარკალაია.

### პორტუგალიის ნაკრები

15. პედრო ლეალი, 14. ანტონიო აგილარი, 13. დავიდ მატეუში, 12. დიოგო მატეუში, 11. გონსალო ფორო, 10. დიოგო გამა, 9. ჟეზე პინტუ.

1. ჟერჟე სეგურადო, 2. ჟოაო კორეია, 3. კრიასტიან სპაშუკი, 4. დავიდ პენალვა 5. გონსალო უვა, 6. ვასკო უვა, 7. ტიაგო გირაო, 8. ედუარდო აკოსტა.

16. ჟუან მურე, 17. ვალტერ ჟორჟე, 18. ჟუან სევერინო, 19. ბენარდო დუარტე, 20. სალვადორ პალშა, 21. პედრო კაბრალი, 22. პედრო სილვა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჩოგბურთი

# ნახევარფინალში ჩოგნის მოუქნევლად

საჩოგბურთო სეზონი დაიწყო კიდევ ერთმა ჩვენებურმა, 20 წლის **სოფიო შაფათავამ** (238). ქართველი ჩოგბურთელი სტოკჰოლმში საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია. სტარტი უილბლო გამოდგა, ძირითადი ბადის პირველსავე წრეში სოფიომ უბრძოლველად წააგო მე-2 ნომრად განთესილ ავსტრიელ **ივონ მოიზბურგერთან** (125) - 3:6, 0:6. შაფათავა ისევ შვედეთშია, რადგან იგი ტურნირის წყვილთა თანრიგშიც ითამაშებს. სოფიო რუს **მაია გავეროვას** (424) შეუწყვილდა. პირველ წრეში მათ გამარჯვება უბრძოლველად მოიპოვეს, რადგან მეტოქეები (**ანდლოვიჩი, ალგურნი**) არ გამოცხადდნენ. მეოთხედფინალში ქართულ-რუსულ გუნდს პირველ ნომრად განთესილი ჩეხები, **ანდრეა ჰლავაჩკოვა** (225) და **რენატა ვორაჩოვა** (151) უნდა დაპირისპირებოდნენ, მაგრამ ერთ-ერთის ტრავმამ ეს შეუძლებელი გახადა. მოკლედ, ჩვენი თანამემამულე ისე გავიდა ტურნირის ნახევარფინალში, ჩოგნის მოქნევა არ დასჭირვებია, რაც ძალზე იშვიათი შემთხვევაა ჩოგბურთში. ნახევარფინალში შაფათავას და გავეროვას მეტოქე მე-3 ნომრად განთესილი დუეტი (**ქსენია მილევსკაია** (ბელარუსი, 256) და **მელანი კლაფნერი** (ავსტრია, 266) იქნება.

17 წლის **ეკა გორგოძე** (643) მალიორკის საერთაშორისო ტურნირის (10 ათასი $) მეოთხედფინალშია - ეკამ ბალეარის კუნძულებზე ზედიზედ მეორე შეხვედრა მოიგო, მან ამჯერად მაროკოელი **ფატიმა ელ ალამი** (528) დაამარცხა - 6:3, 6:4. გორგოძის მომდევნო მეტოქე იტალიელი **ფრედერიკა დი სარაა** (560).

19 წლის **მანანა შაფაქიძე** (698) პორტუგალიურ ალბუფეირაში (10 ათასი $) წყვილთა თანრიგის მეოთხედფინალშია. მისი მეწყვილე იტალიელი **ალისე ბალდუჩია** (825).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სამთო თხილამურები

# მე-15 ადგილი საკვალიფიკაციოში

გუშინ სამთო-მეთხილამურეთა ქართულმა კვარტეტმა ვალ დ'იზერში (საფრანგეთი) მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზა. გიგანტ სლალომის საკვალიფიკაციო რბოლაში, რომელსაც სტარტი ზღვის დონიდან 2215 მეტრზე ჰქონდა, ხოლო ფინიში 1815 მეტრზე, **იასონ აბრამაშვილმა, ვახტანგ თედიაშვილმა, კოტე ვახტანგიშვილმა და ალექსი ბენიანიძემ** იასპარეზეს. სულ საკვალიფიკაციო გიგანტ სლალომში ასზე მეტი სპორტსმენი გამოვიდა სტარტზე. საქართველოს ნაკრების ლიდერმა იასონ აბრამაშვილმა კარგად ისრიალა და ორი ცდის ჯამში 2 წთ, 38:15 წამი შედეგით მე-15 ადგილი დაიკავა. კოტე ვახტანგიშვილი 30-ე ადგილზე გავიდა, ალექსი ბენიანიძემ პირველი ცდა ვერ დაასრულა, ხოლო ვახტანგ თედიაშვილს მეორე ცდაზე კარის გამოტოვებისთვის დისკვალიფიკაცია მისცეს. დღეს ვალ დ'იზერში ვაჟთა გიგანტ სლალომის ფინალური ეტაპი გაიმართება. ხვალ სლალომის საკვალიფიკაციო რბოლაა დაგეგმილი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი — ინტერვიუ თორნიკე სანიკიძესთან

# მუდამ მოსაგებად უნდა მოიმართო



**ქართულ ჭადრაკში დიდ სახელებს რა დალევს, მაგრამ უფრო წარსულში თუ მოვიძიებთ მსოფლიო დონის ოსტატებს. თანამედროვეობაში ნაკლებად გვყავს გამორჩეული ინდივიდუალისტები, თუმცა კარგი დიდოსტატების დეფიციტიც არ გვაქვს, რის დასტურადაც შარშან, ნოემბერში, დრეზდენში გამართულ 38-ე საჭადრაკო ოლიმპიადაზე ქართველ ქალთა გამარჯვება გამოდგება. ამ წარმატების ერთ-ერთი თანაავტორი ახალგაზრდა მოჭადრაკე თორნიკე სანიკიძეც გახლდათ, - იგი ნაკრებს წვრთნიდა. თავიდან ბევრმა სპეციალისტმა სკეპტიკურად შეხედა სანიკიძის კანდიდატურას ამ პოსტზე, მაგრამ შედეგმა სათქმელი თავად თქვა. აღმოჩნდა, რომ სანიკიძეს სხვა პოტენციალიც ჰქონია - საგრძნობლად გააუმჯობესა საკუთარი თამაშის ხარისხი, გახდა საქართველოს ჩემპიონი ვაჟთა შორის და ახლახან დასრულებულ თურქეთის საკლუბო ჩემპიონატშიც მშვენიერი შედეგი აჩვენა... სანიკიძე დღეს უკვე დიდოსტატია და სხვა სიმაღლიდან დასცქერის დაფას, თუმცა მიზნები ისეთი უნდა ჰქონდეს, ჯერაც რომ ქვემოდან შეჰყურებს და იქამდე მისასვლელად დიდი და რთული გზის გავლა არის საჭირო. თორნიკე სანიკიძე დღეს „ლელოს“ სტუმარია და პირველ რიგში თურქულ შთაბეჭდილებებზე დავეკითხეთ.**

**- თქვენი წარმატებული სვლა გრძელდება - საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ დიდი დრო არ იყო გასული და თურქეთის საკლუბო ჩემპიონატშიც გამოიჩინეთ თავი. ფაქტია და, თქვენს მოწინააღმდეგებსაც მოუწევთ აღიარება, რომ თორნიკე სანიკიძე ძლიერ დიდოსტატად ყალიბდება. თურქეთში დაღლა არ გიგრძნიათ?**

- თურქული საკლუბო ჩემპიონატი წლეულს ორ ეტაპად ტარდება - პირველი 7 ტურად, მეორე კი გაზაფხულზე 8 ტურად ჩაივლის. რატომღაც ვადები შეკვეცილი იყო და დღეში ორი ტური ორჯერ გვათამაშეს. ცხადია, საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ ძალიან რთული იყო ძალების მოკრება, მაგრამ მაინც შევძელი კონცეტრირება. ჩემი თამაშით და შედეგითაც კმაყოფილი ვარ - ხუთჯერ მოვიგე და ორჯერ ყაიმით დავასრულე პარტიები, მაგრამ შემეძლო უკეთესი შედეგიც მეჩვენებინა. საქმე ის არის, რომ ბოლო ტურში თეთრებით ვთამაშობდი და მოგება მსურდა, მაგრამ წინადღეს ორი ტური გვათამაშეს. ჩემი ორივე მეტოქე ძალიან ძლიერი იყო - 2500 და 2600 -იანი რეიტინგის მფლობელნი; ორივეს კი მოვუგე, მაგრამ იმდენად დავიღალე, რომ ბოლო ტურში თითქმის ვერ ვაზროვნებდი - ფიგურების გარჩევაც კი მიჭირდა. ამიტომ შუა თამაშში მეტოქეს ყაიმი შევთავაზე და საბედნიეროდ, ისიც დამთანხმდა. აშკარაა, რომ საქართველოს ჩემპიონატმაც იქონია გარკვეული გავლენა და ენერგია ამიტომაც არ მიმყვა ბოლომდე.

**- ასეთ შედეგიან გარჯას რეიტინგშიც რომ მოჰყვებოდა შესაბამისი ასახვა, თქმა არ უნდა. რეიტინგი კი უმნიშვნელოვანესი რამ არის თანამედროვე მოჭადრაკისთვის. რამდენი ქულა შეიმატე ამ ორი ტურნირის შემდეგ?**

- საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ 14 პუნქტით გავზარდე მარაგი, თურქეთში კი 20 ქულა დამემატა. ზრდა მართლაც მნიშვნელოვანია, მაგრამ თქვენ იცით, რომ რეიტინგში ეს ქულები პირველი აპრილისთვის დამერიცხება. სხვათა შორის, ამ მონაგარს გასული წლის დეკემბრის ბოლოს საფრანგეთის ქალაქ ბეთუნში მოპოვებული ქულებიც დაემატება და საკმაოდ სოლიდური ქულათა მარაგიც დამიგროვდება - 2570 - მდე ავალ.

**- თქვენი წინსვლა ყოველმხრივ თვალნათელია. ამით უამრავ სკეპტიკოსს მოუსპეთ სალაპარაკო. ამას გარდა, ქართული ჭადრაკის ერთ-ერთ ლიდერადაც იქეცით, რაც საკმაოდ მოკლე ხანში შეძელით. მინდა გკითხოთ - რის ხარჯზე მოახერხეთ დაწინაურება? რამ იქონია მნიშვნელოვანი გავლენა თამაშის ხარისხის გაუმჯობესებაზე?**

- მიზეზად მრავალი რამ შეიძლება დასახელდეს. მთავარი მაინც ალბათ ის არის, რომ ბევრს ვმუშაობ საკუთარ თავზე; ვეძებ სიახლეებს და არსებულის კარგად სწავლას და გათავისებას ვცდილობ. ჩემი თამაშის ხარისხის დახვეწაში უდიდესი როლი მიუძღვით ჩემს მწვრთნელებს - ხვიჩა სუპატაშვილს და ვალიკო ურიდიას. ბატონ ხვიჩასთან ორი წელია პერიოდულად ვემზადებოდი და მისგან უამრავი სასარგებლო რამ შევითვისე. ასევე სასარგებლოა ბატონ ვალიკოსთან მუშაობა, რომელთანაც, ძირითადათ, შუა თამაშის პრობლემებზე ვამახვილებ ყურადღებას; სუპატაშვილთან კი სადებიუტო მხარეს და სხვადასხვა სქემის დამუშავებას ექცევა დიდი ყურადღება.

ისიც მსურს აღვნიშნო, რომ ძალიან წამადგა ქალთა ოლიმპიურ ნაკრებთან ყოფნა - შეკრების დროსაც და უშუალოდ ტურნირის მიმდინარეობისასაც ძალიან ბევრი ახალი იდეა ვიპოვეთ. მოჭადრაკეებთან ურთიერთობაში მეც ბევრს ვსწავლობდი და პროფესიულად ვიზრდებოდი. არ შეიძლება არ ვთქვა, რომ ოლიმპიადისთვის მომზადებულმა მასალებმა ძალიან მარგო: რამდენიმე პარტიაში სწორედ ხვიჩა სუპატაშვილის იდეებით გავიმარჯვე, თანაც საკმაოდ ძლიერ და ცნობილ დიდოსტატებთან. წარმატების სხვა მიზეზად იმასაც დავასახელებ, რომ დრეზდენის შემდეგ უდიდესი აღმაფრენა ვიგრძენი, - ვფიქრობ, რომ ფსიქოლოგიური განწყობილება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სპორტსმენისთვის. და ერთიც მსურს მოგახსენოთ: შარშან თებერვლის დასაწყისში ერთ-ერთ ტურნირში 14 პუნქტი დავიკელი. ამის შემდეგ სადაც ვითამაშე, ყველგან ვიმატებდი რეიტინგს. ტურნირთა სიძლიერე კი ეჭვს არ იწვევს: საქართველოს ოცწლამდელთა ჩემპიონატი; ევროპის ვაჟთა ინდივიდუალური ჩემპიონატი; ღია ტურნირი აზერბაიჯანის პრეზიდენტის თასზე; საკლუბო ტურნირი იზმიტში; მსოფლიოს ჩემპიონატი ოცწლამდელთა შორის; საერთაშორისო ტურნირები იზმირში და საფრანგეთის ქალაქ ბეთუნში. შედეგად კი ის მივიღე, რომ ზუსტად ერთი წლის განმავლობაში 140 პუნქტამდე მოვიმატე რეიტინგში.

> **...როგორც გამოცდილი სპეციალისტები ამბობენ, სუპერრეიტინგს ვერ შეწვდები, თუ დამხმარეთა გუნდი არ გყავს. ყველას, ვისაც კი ასეთი რეიტინგი აქვს, დიდოსტატთა სერიოზული ჯგუფი ეხმარება. ჩვენთან ჯგუფის შეკრება კი არა, ერთ ადამიანთან დაჯდომის და მეცადინეობის პრობლემაა... ცხადია, უფულობაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია...**

**- ასეთი ტემპით რომ 26000-იან ზღვარს მალე მიაღწევთ, თქმა არ უნდა. ეს ნიშა აუცილებელი დასაძლევია, მაგრამ უფრო მაღალ სიმაღლეზე - 2700-იან ზღვარზე რას ფიქრობთ?**

- ვერ გეტყვით, რომ 2600-მდე უახლოეს მომავალში მივაღწევ, მაგრამ ჩემი უპირველესი ამოცანა რომ ეს იქნება, ფაქტია - სხვაგვარად ძლიერ დიდოსტატობაზე პრეტენზია ვერ მექნება. რაც შეეხება სუპერრეიტინგს-2700 - იან ზღვარს, აქ საქმე ბევრად უფრო რთულადაა: როგორც გამოცდილი სპეციალისტები ამბობენ, სუპერრეიტინგს ვერ შესწვდები, თუ დამხმარეთა გუნდი არ გყავს. ყველას, ვისაც კი ასეთი რეიტინგი აქვს, დიდოსტატთა სერიოზული ჯგუფი ეხმარება. ჩვენთან ჯგუფის შეკრება კი არა, ერთ ადამიანთან დაჯდომის და მეცადინეობის პრობლემაა... ცხადია, უფულობაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. საწყენია, როცა ხედავ, რომ შენი ასაკის ბიჭები, რომელთანაც ბავშვობაში ბევრჯერ გითამაშია და არაფერში ჩამოუვარდებოდი, დღეს მსოფლიოს ელიტაში შედიან, შენ კი კუს ნაბიჯით მიხოხავ და არც იმის გარანტია გაქვს, რომ მიზნამდე მიაღწევ. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ნორვეგიელი მაგნუს კარლსენისთვის 2003 წელს მაქვს მოგებული - მაშინ მას 2400 და მეტი რეიტინგი ჰქონდა, მე კი - ბევრად ნაკლები...

**- მიზნის დასახვა კარგია, მაგრამ, როგორ ფიქრობთ, თქვენი წარმატების საიდუმლო თქვენს სათამაშო სტილში ხომ არ არის? ამ მხრივ ხომ არ განგიცდიათ ცვლილება?**

- ბავშვობიდანვე ვცდილობდი მხოლოდ მოგებაზე მეთამაშა - არ ჰქონდა მნიშვნელობა, რა ფერით ვიყავი. ასეთი დამოკიდებულება დღემდე შემომრჩა და მიმაჩნია, რომ უმაღლეს საფეხურებზე ასვლა, მხოლოდ შემტევი და მოგებაზე დაგეშილი სტილითაა შესაძლებელი. მართალია, ამის გამო ხშირად დავზარალებულვარ - იქ, სადაც ყაიმი შემეძლო გამეკეთებინა, მოგებაზე გავიწიე და წავაგე, მაგრამ, სანაცვლოდ, სხვა შემთხვევებში ვიხეირე და ბევრად მეტი სარგებელიც ვნახე. ასე რომ, სტილი არ შემიცვლია.

**- იმედს ვიტოვებთ, რომ წლეულსვე გაერევით საუკეთესოთა შორის. ამ გზაზე ფრიად დიდი გამოცდა უახლოეს ერთ თვეში გელით, როცა სლოვენიის ქალაქ ბუდვაში ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატში მიიღებთ მონაწილეობას. რა მიზნით გაემგზავრებით ბუდვაში?**

- წლევანდელი ევროპის ჩემპიონატი გამორჩეულად ძლიერი იქნება: მასში 2700 და მეტი რეიტინგის მინიმუმ სამი მოჭადრაკე ითამაშებს - დღეისთვის ამდენი განაცხადია გაკეთებული. საერთო რაოდენობამ კი შესაძლოა 400-ს გადააჭარბოს. არ არის გამორიცხული, რომ სხვა სუპერრეიტინგიანებმაც მოისურვონ ასპარეზობა. თუმცა 2600-იანი ძალიან ბევრი ჩავა სლოვენიაში, რაც თავისთავად არაა სახუმარო საქმე. მე დღეისთვის ისეთი რეიტინგი მაქვს, რომ სადღაც მეორე ასეულის ბოლოში თუ მოვხვდები - რაც იმას ნიშნავს, რომ ლამის ყოველ ტურში 2600 და მეტი რეიტინგის მფლობელს შევხვდები. ასეთი ვითარება არ მაშინებს, პირიქით - ნებისმიერი ყაიმიც კი, რომ არაფერი ვთქვა მოგებაზე, ბევრად წამწევს წინ რეიტინგში. არ დაგიმალავთ და ვგრძნობ, რომ მაღალ დონეზე თამაში შემიძლია და ამიტომ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ერთიც არის: ფსიქოლოგიური ტვირთი მოხსნილი მექნება - ნორმის შესრულება არ მჭირდება, ამიტომ მთავარი მიზნისთვის თავისუფლად ვიბრძოლებ. მიზანი კი პირველ 35 ადგილზე გასვლაა, რომელიც მსოფლიოს თასის საგზურს იძლევა.

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კადეტთა ნაკრები




# თურქეთისკენ პერი-პერი

გუშინ, "სპორტკაფეში" საქართველოს კადეტთა ნაკრები სრული შემადგენლობით შეიკრიბა. მათი მონაწილეობით გაიმართა პრეს-კონფერენცია თურქეთის საერთაშორისო ტურნირთან დაკავშირებით.

ვიდრე მწვრთნელთა კომენტარებს შემოგთავაზებდეთ, შეჯიბრების სისტემასა და მეტოქეებზე გესაუბრებით. ეს საკითხები გარკვევით ეწერა კალათბურთის ფედერაციის პრეს-რელიზში, რომელიც ყველა ჟურნალისტს გადმოგვეცა:

"საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები თურქეთის დედაქალაქ ანკარაში მიემგზავრება, სადაც 14-22 თებერვალს წარმომადგენლობით საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს.

კადეტთა ნაკრები დეკემბერში ესპანეთში იმყოფებოდა, სადაც ევროპის წამყვან ნაკრებებთან ერთად ქალაქ ისკარის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა. მსგავსი შეჯიბრებები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მოსამზადებელი ეტაპია. B დივიზიონის მატჩები 6-16 აგვისტოს პორტუგალიის ქალაქ მადეირაში გაიმართება.

კადეტთა ნაკრებს თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე გამგზავრებაში კალათბურთის ფედერაციასთან ერთად, თბილისის მერიის სპორტის სამსახურიც ეხმარება.

საქართველოს, ბულგარეთისა და სლოვენიის გარდა, ანკარის საერთაშორისო ტურნირის ყველა მონაწილე ევროპის ჩემპიონატის A დივიზიონის წარმომადგენლია.

**A ჯგუფი:** საფრანგეთი, საბერძნეთი, უკრაინა, პოლონეთი, საქართველო, სლოვენია.
**B ჯგუფი:** იტალია, თურქეთი, ხორვატია, რუსეთი, გერმანია, ბულგარეთი.
**საქართველოს ნაკრების კალენდარი:** პოლონეთი (14 თებერვალი), უკრაინა (15), საფრანგეთი (16), საბერძნეთი (17), სლოვენია (18).

თითო ჯგუფიდან საუკეთესო 4 გუნდი მეოთხედფინალში გააგრძელებს ბრძოლას. მეხუთე-მეექვსე ადგილზე გასულები კი მერვე-მეთორმეტე ადგილებს გაითამაშებენ."

როგორც რელიზში წერია, კადეტებს თურქეთში გამგზავრებაში თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახური ეხმარება. ამ სამსახურის უფროსი, **ზაზა დოლიძე** გუშინდელ პრეს-კონფერენციას დაესწრო:

- იმედი მაქვს, რომ ეს ახალგაზრდა ბიჭები ანკარის საერთაშორისო ტურნირზე დიდ გამოცდილებას მიიღებენ და ეს მათ ევროპის ჩემპიონატზე ღირსეულად გამოსვლაში წაადგებათ. მერიის სპორტის საქალაქო სამსახური ყურადღებას ყოველთვის აქცევდა ამ ასაკობრივ ნაკრებს და მომავალშიც მიაქცევს. ხოლო, თუკი ბიჭები შედეგსაც აჩვენებენ, დაფინანსება თავისთავად გაიზრდება.

მომავალ შეჯიბრებაზე ილაპარაკა გუნდის თავკაცმა **გია კაზანჯიანმა**:

- ეს ტურნირი საუკეთესო საშუალებაა საიმისოდ, რომ ჩვენი გუნდის დადებითი და უარყოფითი მხარეები დავინახოთ. ამავდროულად, მომზადებისა და გამოცდილების მიღების მხრივაც ძალიან წაგვადგება. გუნდი 8 იანვრიდან ვარჯიშობს და შეჯიბრებას მწყობრში ხვდება. ანკარაში ევროპის უძლიერეს გუნდებთან მოგვიწევს თამაში და ეს მომენტი ჩვენს სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთ, რაც შეიძლება, მეტი უნდა შევიძინოთ თითოეული შეხვედრიდან. მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა კალათბურთის ფედერაციას და მერიის სპორტის საქალაქო სამსახურს.

ახლა ნაკრების მეორე მწვრთნელ, **არჩილ ჟღენტს** მოვუსმინოთ:

- ნაკრების ყველა წევრი ჯანმრთელადაა და მოსამზადებელი პერიოდიც გავლილი აქვს. ვფიქრობ, ამ ეტაპზე შედეგი მეორე პლანზე გადადის. თურქეთში ევროპის საუკეთესო ნაკრებები დაგვხვდება და ეს ბიჭები დიდ გამოცდილებასაც მიიღებენ.

ბოლოს, ანკარისკენ მიმავალი ნაკრების შემადგენლობასაც გაგაცნობთ: **ბექა ბურჯანაძე, გიორგი ამირხანაშვილი, ბექა ლუდუშაური, ოთარ ფხაკაძე, ირაკლი მიქელაძე, ლევან ლოლიშვილი, გელა გულმაგარაშვილი, გეგი მესხი, ბექა ნადირაძე, არჩილ ფეიქრიშვილი, საბა ლობჟანიძე, ვალერი კვანტალიანი, ლევან ლეშკაშელი.**

**მთავარი მწვრთნელი:** გია კაზანჯიანი
**ასისტენტი:** არჩილ ჟღენტი
**გუნდის უფროსი:** გელა წულაძე




საქართველოს ჩემპიონატი. U 18

# გლოველის ახალი რეკორდი: 56 ქულა

**10 თებერვალი. სასოფლო**

**აკადემია-ქუთაისი 66:49**
15:6, 22:13, 14:16, 15:14
აკადემია: ბოქოლიშვილი (21ქ), ჯავახიშვილი (20ქ), თენიეშვილი (7ქ, 13მ)
ქუთაისი: ბერძენაძე (14ქ), ქორიძე (11ქ)

**მართვე-რუსთავი 74:70**
19:25, 19:13, 21:17, 15:15
მართვე: ტეტელაშვილი (19ქ, 10პ), ჭოხონელიძე (15ქ), ძიძიშვილი (14ქ)
რუსთავი: დვალიშვილი (27ქ, 20მ, 4დ), დოლიაშვილი (10ქ, 9მ), მამისმედაშვილი (10ქ), გურული (10ქ)

**მართვე 2-№1 ექსპერ. სკ. 110:121**
18:23, 31:30, 24:39, 37:29
მართვე 2: გლოველი (56ქ, 14მ, 8პ, 4ჩ), ჭიჭველიშვილი (28ქ), ბაშარული (13ქ)
1 ექს. სკოლა: ჩქარეული (39ქ), მაისურაძე (26ქ), ნიკლაური (17ქ), ლეჟავა (16ქ)

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. აკადემია | 8 | 6 | 2 | 14 |
| 2. მართვე 2 | 8 | 4 | 4 | 13 |
| 3. დინამო | 6 | 4 | 2 | 10 |
| 4. 1 ექს. სკოლა | 7 | 4 | 3 | 11 |
| 5. მართვე | 7 | 4 | 3 | 11 |
| 6. ქუთაისი | 7 | 3 | 4 | 10 |
| 7. რუსთავი | 7 | 3 | 4 | 10 |
| 8. ენერჯი | 6 | 3 | 3 | 9 |
| 9. ნაკრები 93 | 6 | 0 | 6 | 6 |

"ნტდ-თბილისი"-"ავიამშენის" მატჩის დასაწყისში ნტდ-ს მთავარმა მწვრთნელმა, **ნუგზარ კანდელაკმა** მოედანზე ორი ჭაბუკი გაიყვანა: **გიორგი გლოველმა** და **გიორგი ტეტელაშვილმა** თავი კარგი კუთხით წარმოაჩინეს და გამოცდილ "ავიატორ" უკანახაზელებს თანაბრად ეპაექრნენ. ვიდრე გლოველი-ტეტელაშვილის დუეტი მოედანზე იყო, "ნტდ-თბილისს" ანგარიშიც მიჰყავდა...



ბევრისთვის გაუგებარი იყო, როგორ ენდო ნუგზარ კანდელაკი ესოდენ ახალგაზრდა კალათბურთელებს გამოცდილ "ავიამშენთან". პასუხი ქვემოთ წერია: გლოველი და ტეტელაშვილი საქართველოს 18-წლამდელთა ჩემპიონატში საუკეთესოთაგანი არიან. მათ ეს მერვე ტურშიც დაამტკიცეს. გლოველმა ჩემპიონატის რეკორდი დაამყარა – 56 ქულა ჩააგდო, ხოლო ტეტელაშვილმა ეფექტური ორმაგი დუბლი გაიფორმა – 19 ქულა, 10 შედეგიანი გადაცემა.

ჯერ გლოველზე ვილაპარაკოთ. მისმა "მართვე 2"-მა ბოლომდე იბრძოლა პირველ ექსპერიმენტარულ სკოლასთან (აქამდე „სამედიცინო" ერქვა), მაგრამ ბოლოს გუნდი სამი კაცის ამარა რომ დარჩა, მეტოქესთან ველარაფერი გააწყო - 110:121 დამარცხდა. ...დიახ, სამი კაცის ამარა – ბოლო დროს ეს მეტად იშვიათი შემთხვევაა. ასევე იშვიათია 50 ქულის გადაბიჯება. რაც საქართველოდან **გიორგი შერმადინი** წავიდა, რეკორდებმა იკლო. სასოფლოს დარბაზში კი წაგებული გუნდის წევრმა, გიორგი გლოველმა კინაღამ სამმაგი დუბლი გაიფორმა: 56 ქულა ჩააგდო, რასაც 14 მოხსნა და 8 პასი მოაყოლა.

დაძაბული აღმოჩნდა „მართვესა" და „რუსთავის" მატჩი, რომელშიც ყველაფერი ბოლო წუთებზე გადაწყდა. თამაშის განმავლობაში გუნდები ლიდერობას მორიგეობით ეუფლებოდნენ, თუმცა წინ ძირითადად მართველები იყვნენ. მათ მწვრთნელის, **გია ტეტელაშვილის** შვილი, გიორგი წინამძღოლობდა, რომელიც ქულებსაც იხვეჭდა და საბოლოოდ 10 პასიც ჩამოარიგა. მას გვერდში ედგნენ **ლუკა ჭოხონელიძე** და ცენტრი **გიორგი ძიძიშვილი**. ისინი ქულებს ძირითადად ფარქვეშიდან აგროვებდნენ.

რუსთაველების გამოკვეთილი ლიდერი გახლდათ **აკაკი დვალიშვილი**, რომელმაც 27 ქულას და 20 მოხსნას მოუყარა თავი, თუმცა გარჯა ვერ დაუფასდა – მისმა გუნდმა ბოლო წამებზე საბედისწერო შეცდომები დაუშვა და 70:74 დამარცხდა.

მესამე მატჩში ბრძოლა არ შედგა: „აკადემიამ" 66:49 დაამარცხა „ქუთაისი" და ცხრილში დაწინაურდა.

ქართველი NBA-ში

# ქორეებმა დეტროიტი დააკორტნეს



ზაზა ფაჩულია

გუშინდელ ნომერში "ატლანტა"-"ვაშინგტონის" მატჩის მიმოხილვა ასე დავასრულეთ: გამთენიისას "ჰოქსი" "დეტროიტს" სტუმრობს. ამ მატჩის მოგება ზაზას გუნდს ჰაერივით სჭირდება, რადგან აღმოსავლეთის კონფერენციაში ჯორჯიელებს მეოთხე ადგილს სწორედ "დეტროიტ პისტონსი" ეცილება.

უშუალო კონკურენტის მოედანზე, "ატლანტამ" კიდევ ერთხელ უჩვენა გუნდური თამაში და ბოლო წუთებზე **ჯო ჯონსონის** სიზუსტის წყალობით 99:95 გაიმარჯვა.

მატჩის ბოლო წუთებს ზაზამ თვალი სათადარიგოთა სკამიდან მიადევნა. იგი სირენამდე 8 წუთით ადრე **ელ ჰორფორდმა** შეცვალა. მწვრთნელმა **მაიკ ვუდსონმა** გადამწყვეტ მომენტში ჰორფორდს იმიტომ მიანიჭა უპირატესობა, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ ელმა საუკეთესო თამაში სწორედ „დეტროიტში" უჩვენა. მან მომჯობინების მერე მონაგარით **ზაზა ფაჩულიას** პირველად აჯობა. ჰორფორდმა 34 წუთში 15 ქულა და 7 მოხსნა მიითვალა, ხოლო ზაზამ 18 წუთში 4 ქულა, 6 მოხსნა და 1 პასი. ქართველმა ცენტრმა ასპროცენტიანი სიზუსტით ისროლა: 1-დან 1 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო გამოიყენა. ჯორჯიელთა სნაიპერი 27 ქულით ჯო ჯონსონი გახდა.

სადღეისოდ "ქორებს" 31 მოგება, 21 წაგება აქვს და აღმოსავლეთის კონფერენციაში მე-4 პოზიციაზეა. მეხუთე ადგილი "დეტროიტს" "ფილადელფიამ" აართვა – 27 მოგება, 24 მარცხი.

მომდევნო ერთი კვირის განმავლობაში NBA-ში თამაშები არ გაიმართება – გუნდები ვარსკვლავთა მატჩთან დაკავშირებით დაითხოვეს. 17 თებერვალს "ატლანტას" "ლეიკერსი" ლოს ანჯელესში ელის.

**ფაჩულიას მონაგარი**

**დეტროიტი-ატლანტა 95:99**
18 წუთი: 4 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი, 2 ფოლი

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 05:38 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 05:09 | საჯარიმოები: 2\2 (2ქ, 14:11) |
| 03:01 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 02:42 | ორქულიანი: 4ქ (18:17) |
| 00:56 | მოხსნა: შეტ-2, დაც-0 |
| 00:18 | ფოლი: 1 |
| **II პერიოდი** | |
| 10:21 | მოხსნა: შეტ-2, დაც-1 |
| 08:18 | ზაზა სმითმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 04:18 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 04:04 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 |
| **IV პერიოდი** | |
| 10:32 | მოხსნა: შეტ-2, დაც-3 |
| 09:58 | პასი: 1 (ევანსი 2ქ, 80:74) |
| 09:44 | ფოლი: 2 |
| 09:09 | მოხსნა: შეტ-2, დაც-4 |
| 07:59 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |

ევროჩელენჯი

# მარცხი ბოლონიაში

ევროჩელენჯზე **მანუჩარ მარკოიშვილისა** და **ტაირონ ელისის** კლუბებმა გასვლითი შეხვედრები გამართეს. ელისის "კახასოლმა" პერმში "ურალ გრეიტი" დაამარცხა. ხოლო "კიევმა" ბოლონიაში, "ვირტუსთან" ბოლო წუთებზე დათმო – 64:68.

**ვირტუსი-კიევი 68:64**
**მანუჩარ მარკოიშვილი:** 23 წუთი, 11 ქულა, 2 მოხსნა, 4 ფოლი, 1 შეცდომა

იტალიურმა "ვირტუსმა" წინა ტურში გერმანულ "ოლდენბურგთან" შინ წააგო. შესაბამისად, "კიევთან" მატჩზე ბოლონიელები მობილიზებულები გამოვიდნენ. მათ საკუთარი გულშემატკივრის წინაშე რეაბილიტაცია სჭირდებოდათ. მონდომების მიუხედავად, იტალიელებმა უკრაინელთა წინააღმდეგობა ვერ გატეხეს. მესამე პერიოდის დასრულებამდე 49 წამით ადრე მანუჩარ მარკოიშვილის სამქულიანის შემდეგ "კიევი" 51:49 დაწინაურდა, მეოთხე პერიოდს კი სამქულიანი ფორით შეხვდა – 52:49.

ბოლო რაუნდის საწყისმა 7-მა წუთმა ისე ჩაიარა, რომ უკრაინელებს ერთი ქულა არ ჩაუგდიათ. სამაგიეროდ, მასპინძლებმა 13 ქულას მოუყარეს თავი და 62:52 დაწინაურდნენ.

დარჩენილ დროში მარკოიშვილის თანაგუნდელებმა ჩამორჩენის 2 ქულამდე შემცირება შეძლეს (61:63), მაგრამ შინ მაინც დამარცხებულნი გაბრუნდნენ.

**ურალ გრეიტი-კახასოლი 61:72**
**ტაირონ ელისი:** 25 წუთი, 3 ქულა, 2 მოხსნა, 6 პასი, 2 ჩაჭრა, 1 ფოლი, 2 შეცდომა

პირველ ტურში კვიპროსის აელ-თან საშინაო მატჩის წაგების შემდეგ, "ურალ გრეიტის" დამარცხებით სატურნირო მდგომარეობა გამოისწორა ტაირონ ელისის "კახასოლმა". საქართველოს ნაკრების უკანახაზელი მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და სეზონის პირადი რეკორდი დაამყარა - 6 პასი გააკეთა.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყინულის ჰოკეი

ტურნირის შემდეგ

# დიდი ნაბიჯი ჰოკეის მსოფლიო ოჯახისკენ



თბილისელთა და სომეხთა მეგობრული ფოტო

**"ბორჯომის თასის" დასრულებიდან რამდენიმე დღე გავიდა. ბაკურიანში ჩატარებული სამთა ტურნირი, "ლელომ" დაწვრილებით გააშუქა, მაგრამ გათამაშების მსვლელობისას მხოლოდ მატჩების პერიპეტიებზე გიამბობდით.**

"ბორჯომის თასის" საბოლოო ცხრილმა ასეთი სახე მიიღო:

| | თ | მ | ნ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. მიმინო | 4 | 3 | 1 | 15-3 | 10 |
| 2. თბილისი | 4 | 2 | 2 | 9-8 | 5 |
| 3. სომხეთი | 4 | 1 | 3 | 3-16 | 3 |

ტურნირის საუკეთესო მეკარედ სომეხი **ჰარუთუნ ბალუიანი** დაასახელეს, საუკეთესო მცველი თბილისელი **დენის დავიდოვი** გახდა, საუკეთესო თავდამსხმელი კი - ბაკურიანელი **გია ოგანეზიანი**. საუკეთესო ბომბარდირია, ასევე, ბაკურიანელი **ამირან გეფერიძე** (5 გოლი, 2 პასი). გაზეთ "ბორჯომის" მიერ ტექნიკური მოთამაშისთვის დაწესებული სპეციალური პრიზი "მიმინოს" კაპიტანმა **გოჩა ჯეირანაშვილმა** მიიღო.

ახლა კი თქვენს ყურადღებას სხვა საინტერესო მომენტებზე შევაჩერებთ.

## ღირსეული ჩემპიონი

ბაკურიანის "მიმინომ" დამსახურებულად იპირველა. **გოჩა ჯეირანაშვილის** გუნდი მხოლოდ ერთხელ დამარცხდა და ისიც, ოვერტაიმში. ტურნირს მასპინძლები აშკარად ყველაზე უკეთ მომზადებულნი შეხვდნენ. ზამთარში ბაკურიანელები ტრადიციულად საუკეთესო ფორმაში არიან, რაც იოლი ასახსნელია – ყინულის მოედანი მათ განკარგულებაშია. თუმცა თუ ამინდმა ხელი არ შეუწყო, ყინული შეიძლება სულ მალე შემოადნეთ. დასრულდა თუ არა "ბორჯომის თასის" ბოლო შეხვედრა, აქა-იქ ყინული დადნა და ასფალტი გამოჩნდა...

"მიმინოს" ჰოკეისტებმა მოედანს მიღმაც დაგვამსახსოვრეს თავი. თბილისელებთან მათ ისედაც იდეალური ურთიერთობა აქვთ, სომხებთანაც იოლად გამონახეს საერთო ენა. არადა, ტურნირის პირველ მატჩში ბაკურიანელებსა და სომხეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრთა შორის დაუნდობელი მუშტი-კრივი გაჩაღდა. თუმცა ეს ჰოკეის განუყოფელი ნაწილია და ბიჭები მალევე შერიგდნენ. მეორე დღეს სომხებს წყენამ ბოლომდე გაუარათ, ბაკურიანელებმა მათ თხილამურებით სრიალი ასწავლეს და თოვლმავალებით ასეირნეს.

ზამთარი მალე დასრულდება და ბაკურიანელები თბილისელებზე უარეს მდგომარეობაში ანუ საერთოდ ყინულის გარეშე აღმოჩნდებიან. დედაქალაქში სისტემატურად ჩამოსვლა შეუძლებელია და კარგა ხნის განმავლობაში "ბორჯომის თასის" გამარჯვებულებს უქმობა მოუწევთ. თბილისელები კი ტრადიციულ ადგილზე, **ირაკლი ჯაფარიძის** საციგურაო სკოლის მოედანზე გააგრძელებენ ვარჯიშს.

## სტუმრები

რომ არა სომხეთის დისკვალიფიკაცია, შესაძლოა მათ ბაკურიანისთვის ვერც მოეცალათ. სომხებს ერთწლიანი სასჯელი მას შემდეგ დაეკისრათ, რაც ერთ-ერთ ოფიციალურ მატჩში სომხური წარმოშობის, მაგრამ ამ ქვეყნის მოქალაქეობის არმქონე ჰოკეისტები ათამაშეს.

ბაკურიანს სომხეთის ახალგაზრდული ნაკრები ეწვია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ისინი ქართველებთან წარმატებაში დარწმუნებულნი იყვნენ. პირველ მატჩში დამარცხების შემდეგ ჩვენს მეზობლებს ნირი წაუხდათ. ამას კიდევ ორი წაგება მოჰყვა და ბოლო ტურში გამარჯვების მიუხედავად, სომხები ბოლო ადგილს ვერ ასცდნენ. შესაძლოა, ისინი იმასაც ნანობენ, რომ ბაკურიანში ლეგიონერები, ან სულაც ეროვნული ნაკრები არ ჩამოიყვანეს. თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ქართველებს სომხეთის ეროვნულ გუნდთანაც ექნებოდათ წარმატების სერიოზული შანსი. თან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სხვადასხვა მიზეზის (ძირითადად სამსახურებიდან ვერგათავისუფლების) გამო, ჰოკეისტები ჩვენებსაც მრავლად აკლდათ. ზოგმა მოთამაშემ მხოლოდ ტურნირის მიწურულს შეძლო ბაკურიანში ჩასვლა, ქართველმა მეკარე **კოტე ბახუტაშვილმა** კი, რომელსაც თავის დროზე მოსკოვის ცსკა-ში უთამაშია, "ბორჯომის" თასზე ზემოთ ნახსენები მიზეზის გამო საერთოდ ვერ იასპარეზა.

ისევ სომხებს მივუბრუნდეთ. ლეგიონერები ვახსენეთ და როგორც გაირკვა, სხვადასხვა ქვეყნებში მათი 38 ჰოკეისტი თამაშობს. მათი დიდი ნაწილი აშშ-ის ქვედა ლიგებში ასპარეზობს. ამერიკელ სომეხთა მძლავრი სათვისტომოს წყალობით, ჩვენს მეზობლებს ოკეანისგაღმა წასვლა არ უჭირთ.

ჩვენი და სომხების პირობების შედარება არც სხვა ასპექტებში შეიძლება. თავად განსაჯეთ: სისტემატურად და შეუფერხებლად ტარდება სომხეთის ჩემპიონატი, როცა საქართველოში ჯერ ერთადერთი პირველობა გაიმართა და ისიც მოედნის სიმცირის გამო, ოთხი-ოთხზე; სომხეთის ნაკრებებს საერთაშორისო ტურნირებზე წასვლის პრობლემა არ აქვთ, მაშინ, როცა ქართველთა ზაპოროჟიეში სტუმრობა მიზერული თანხის არქონის გამო ჩაიშალა; საქართველოში ერთი სტანდარტული მოედანიც კი არაა, რომელიც წელიწადის ნებისმიერ დროს იქნება ხელმისაწვდომი, ერევანში კი ჰოკეისტებს ხელი 8-ათასადგილიან დარბაზზე მიუწვდებათ. მოკლედ, პირობებს შორის ისეთივე სხვაობაა, როგორიც ცასა და დედამიწას შორის. არადა, ქართველებში ნამდვილადაა პოტენციალი. ქართული ჰოკეის ოჯახის წევრები ირწმუნებიან, რომ ეს სახეობა ისევე ორგანულად ზის ჩვენს ხასიათში, როგორც, მაგალითად, რაგბი. 50 წლის წინათ ქართული რაგბის პიონერებსაც ირონიულად უყურებდნენ, დღეს კი რაგბი უკვე ქვეყნის ნომერ პირველ სახეობაზე აცხადებს პრეტენზიას.

სომხების დელეგაციას მათი ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტი **კარენ ხაჩატრიანი** ხელმძღვანელობდა, ნაკრებში კი მისმა ორმა ვაჟმა და ერთმა ძმისშვილმა ითამაშეს. ბაკურიანში ტურნირის მსვლელობისას ჩამოვიდა სომხეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრი **ვასისჩევი,** მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მან გუნდი საგრძნობლად გააძლიერა.

## უახლოესი გეგმები

ჰოკეის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთი თეთრიც არა აქვს გამოყოფილი. ფედერაციის პრეზიდენტი **დენის დავიდოვი** და მისი თანამოაზრეები ვითარებას რეალურად აფასებენ და თავად ცდილობენ საჭირო სახსრების მოზიდვას.

რუსეთ-საქართველოს ომმა და ეკონომიკურმა კრიზისმა გეგმების განხორციელება შეაფერხა - შემცირდა დახმარება სპონსორთა მხრიდან, გაურკვეველი დროით გადაიდო გეგმა, რომლის მიხედვითაც ჰოკეის ფედერაციას "ქარიშხალას" მიმდებარე ტერიტორიაზე სტანდარტული ზომის მოედანი უნდა აეშენებინა. არადა, სტანდარტული დახურული მოედნის გარეშე საქმე წინ ვერ წავა.

არსებობს ბაკურიანის მოედნის გადახურვისა და ყინულის სპეციალური აპარატის შეძენის იდეაც. თუ საამისო სახსრები გამოიძებნა, ბაკურიანში თამაში და ვარჯიში უკვე მთელი წლის განმავლობაში იქნება შესაძლებელი. იქვე იგეგმება სასტუმროს აშენებაც. სხვათა შორის, ქართული ჰოკეის მესვეურთა მართვაშია ბაკურიანში მდებარე ახალაშენებული პატარა, კეთილმოწყობილი სასტუმრო "MG-სპორტი", რომელიც დაბის საუკეთესო ადგილას, ე.წ. "25-იანთან" მდებარეობს. "ბორჯომის თასის" მონაწილეები სწორედ იქ ცხოვრობდნენ. ქართველებმა სომხებს უფასოდ უმასპინძლეს, სტუმრებისთვის უსასყიდლო იყო სამჯერადი კვებაც. ტურნირის დასრულების შემდეგ იქ დასვენება ნებისმიერ მსურველს შეუძლია შეღავათიან ფასად.

იგეგმება პერსპექტიულ მოთამაშეთა სტაჟირება აშშ-სა და კანადაში; ქართულ მხარეს აქვს იდეა, რომელიც კავკასიის ლიგის ჩამოყალიბებას ითვალისწინებს ქართული და სომხური კლუბების მონაწილეობით.

ზაპოროჟიეს ამბავი უკვე გითხარით. საბედნიეროდ, ქართველები უკრაინაში ალბათ მაინც გაემგზავრებიან, ოღონდ დნეპროპეტროვსკის ტურნირზე, რომელიც მარტის ბოლოს გაიმართება. თითქმის გადაწყვეტილია ერევანში წასვლა, სადაც საერთაშორისო სანაკრებო ტურნირი უნდა გაიმართოს, რომელშიც სომხეთის, საქართველოს, ბულგარეთისა და ისრაელის ნაკრებები გამოვლენ. სავარაუდოდ, სომხებიც კეთილ ნებას გამოიჩენენ და ქართველებს თავადაც უფასოდ უმასპინძლებენ.

## ფილმი ქართულ ჰოკეიზე

ბაკურიანში ტურნირის პარალელურად გადაღებებიც მიმდინარეობდა. გადამღები ჯგუფი იქ დოკუმენტურ ფილმზე მუშაობას შეუდგა. ფილმი, რაღა თქმა უნდა, ქართულ ჰოკეის მიეძღვნება და მან დიდი ბიძგი უნდა მისცეს ჩვენს ქვეყანაში ამ სახეობის განვითარებას. მას მაყურებელი ამ წლის ბოლომდე იხილავს. ფილმის შესახებ ახლო მომავალში უფრო ვრცლად ვილაპარაკებთ, ახლა კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მისი რეჟისორები **ალექსანდრე ჟღენტი** და **მაია არჩვაძე** არიან. მათთან ერთად მუშაობს მათი ახალგაზრდა ნიჭიერი კოლეგა **აკაკი სურმავა.** ფილმის ერთ-ერთი ინიციატორი გაზეთი "ლელოა".

## თბილისელთა ლეგიონი

ბაკურიანში თბილისის ნაკრების ღირსება ორმა უცხოელმა დაიცვა – უკრაინელმა **გიორგი გლუხოვმა** და ამერიკელმა **მეტიუ იაკინტამ.** გარდა იმისა, რომ ჰოკეი საკმაოდ მაღალ დონეზე ითამაშეს, მათ პიროვნულად კიდევ უკეთესი შთაბეჭდილება დატოვეს. გლუხოვი და იაკინტა დიდი ხანი არ არის, რაც საქართველოში ჩამოვიდნენ, ისინი თბილისში მუშაობენ.

დიდი გულისხმიერება გამოიჩინა გლუხოვმა, რომელიც ერთ-ერთი ავიაკომპანიის თანამშრომელია. მან უკრაინულ ტურნირზე გასამგზავრებელი ავიაბილეთების პრობლემის მოგვარების პირობა დადო.

## IIHF-მდე არცთუ ისე შორია...

რომ არა სომხეთის ჰოკეის ფედერაციის აქტიურობა, ბაკურიანის ტურნირს საერთაშორისო სტატუსი ვერ მიენიჭებოდა. ჩვენი მეზობლების მისამართით მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. "ბორჯომის თასით" ქართველებმაც და სომხებმაც დიდი სარგებელი ნახეს. გარდა იმისა, რომ ორივე მხარემ მნიშვნელოვანი სატურნირო პრაქტიკა შეიძინა, ქართულმა ჰოკეიმ ამ მოვლენით საერთაშორისო ფედერაციაში გაწევრებისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა. IIHF-ში "ბორჯომის თასის" შესახებ ამომწურავი ინფორმაცია გაიგზავნა. საპასუხოდ ჩვენს ფედერაციაში საჭირო საბუთების სია ჩამოვიდა. საბუთები უახლოეს პერიოდში შეგროვდება და მაისში საქართველოს საკითხს კონგრესზე განიხილავენ.

## საჩუქარი გელაშვილისგან

ამას წინათ, იაროსლავლის "ლოკომოტივის" მეკარის, **გიორგი გელაშვილის** ინტერვიუ შემოგთავაზეთ. მოკლედ შეგახსენებთ, რომ ქართული წარმოშობის ჰოკეისტი რუსეთის ნაკრების კანდიდატია, მაგრამ თუ იქ არ მიიწვიეს, ალბათ, საქართველოს ეროვნული გუნდის ღირსებას დაიცავს.

გელაშვილთან ინტერნეტისა და ტელეფონის მეშვეობით მჭიდრო კონტაქტი აქვს საქართველოს ნაკრების მეკარე **კონსტანტინე სანიკიძეს.** ამ დღეებში რუსეთიდან მარნეულში მშობლების მოსანახულებლად ჩამოვიდა გიორგის მამა, რომელსაც შვილმა კოტესთვის "ლოკომოტივის" მაისურა და სხვადასხვა სუვენირი გამოატანა. საჩუქრები კოტემაც გაუგზავნა გიორგის. კოტეს თქმით, იგი გულღია და თავმდაბალი ბიჭია. ჯერჯერობით, მჭიდრო კალენდრის გამო გელაშვილი საქართველოში ჩამოსვლას ვერ ახერხებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ავტორის ფოტოები



კონსტანტინე სანიკიძე გიორგი გელაშვილის ოჯახის წევრებთან მარნეულში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამთო-სათხილამურო სპორტი




# ფავორიტების საჩუქარი

ვალ დ'იზერის მსოფლიოს ჩემპიონატზე ქალებმა ბოლოსწინა დისციპლინაში გაითამაშეს ოქროს მედალი. პირველობის მთავარი გმირის - ამერიკელი **ლინდსი ვონის** არყოფნაში, ყველასთვის მოულოდნელად, გამარჯვება გერმანელმა **კატრინ ჰიოლცლმა** მოიპოვა. მან ორი ცდის ჯამში 2 წუთი და 3.49 წამი დააფიქსირა და მინიმალური უპირატესობით აჯობა მეორე ადგილზე გასულ სლოვენიელ **ტინა მაზეს**.

ვონის შესახებ უკვე შეგატყობინებთ, რომ მან სწრაფდაშვებაში გამარჯვების აღსანიშნავი ზეიმის დროს თითის ტრავმა მიიღო და საუკეთესო შემთხვევაში, ვალ დ'იზერში ბოლო დისციპლინაში - სლალომში მიიღებს მონაწილეობას.

24 წლის ჰიოლცლმა კარიერაში პირველი სტარტი მოიგო. აქამდე მას მსოფლიოს თასის ეტაპებზე საუკეთესო შედეგი 2007 წელს, გიგანტურ სლალომში ჰქონდა დაფიქსირებული. ამიტომაც იყო მოულოდნელი მისი გამარჯვება.

პირველი ცდის შემდეგ, ამ გერმანელსა და გიგანტური სლალომის სხვა მონაწილეებს თითქმის აღარ დარჩათ წარმატების მიღწევის შანსი. ავსტრიელმა **კატრინ ცეტელმა** პირველი დაშვებისას შესანიშნავი დრო აჩვენა და მაშინვე მთავარი ფავორიტის სტატუსი მოიპოვა. რაც შეეხება ჰიოლცლს, მას მეოთხე დრო ჰქონდა და ლიდერთან თითქმის 7-მეათედ წამს აგებდა.

მაგრამ მეორე ცდაზე ყველაფერი თავდაყირა დადგა. თავიდან ყველა გააკვირვა ტინა მაზემ, რომელსაც პირველი ცდის შემდეგ მე-15 დრო ჰქონდა, მაგრამ მეორე დაშვებისას აბსოლუტურად საუკეთესო დრო აჩვენა და კარგა ხანი ლიდერობდა გიგანტურ სლალომს. შემდეგ სტარტზე ჰიოლცლი გავიდა და გერმანელმა შეძლო სლოვენიელის უკან ჩამოტოვება - ორი ცდის ჯამში დროში სხვაობამ 9 მეასედი წამი შეადგინა.

მაგრამ წინ იყო კატრინ ცეტელის გამოსვლა, რომელიც ვალ დ'იზერში მეორე ოქროს უმიზნებდა. მანამდე ავსტრიელმა სუპერკომბინაციაში შეძლო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება.

თუმცა დაიწყო თუ არა თავისი მეორე დაშვება, ცეტელმა სტარტზევე უხეში შეცდომა დაუშვა, ძვირფასი დრო დაკარგა და არათუ ჩემპიონობა, მედლის მოპოვებაც ვერ შეძლო. არადა, კატრინისთვის გიგანტური სლალომი საყვარელი დისციპლინაა, რაზეც ამ სეზონის მსოფლიოს თასზე სამი ეტაპის მოგებაც მეტყველებს.

აი, ასეთი საჩუქარი მიიღო ჰიოლცლმა ავსტრიელისგან, რითაც ის პირველი გერმანელი გახდა **მარიე ეპლეს** შემდეგ, ვინც გიგანტურ სლალომში მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალი მოიპოვა. ეპლეს ტრიუმფი 1978 წლით თარიღდება.

არ შეიძლება, არ აღინიშნოს ტინა მაზეს მეორე ადგილი. ეს ვეტერანი სლოვენიელისთვის მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონატია, მაგრამ მაზემ მხოლოდ ამ ჯერზე შეძლო პირველი მედლის მიღება.

ორიოდე სიტყვით ხელმოცარული ფავორიტებიც ვახსენოთ. არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ცნობილი შვედი **ანია პერსონი** ძალიან ცუდ ფორმაში შეხვდა ვალ დ'ივეზრის მსოფლიოს ჩემპიონატს, რაც გუშინდელმა სტარტმაც დაადასტურა. გიგანტურ სლალომში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა პირველ ცდაზე მეცხრე დრო აჩვენა, მეორეს შემდეგ კი მე-15 პოზიციამდე დაეშვა.

ჩემპიონატის აღმოჩენად მიჩნეული შვეიცარიელი თინეიჯერი **ლარა გუტი** პირველ ცდაზე ცეტელის გრაფიკზე უკეთეს დროს აჩვენებდა, მაგრამ კარი გამოტოვა და დისკვალიფიკაცია მიიღო.

გიგანტურ სლალომში მოქმედმა ჩემპიონმა **ნიკოლ ჰოსპმა** მხოლოდ 24-ე ადგილი დაიკავა, ხოლო მსოფლიოს წლევანდელი თასის ერთ-ერთმა ლიდერმა, გერმანელმა **მარია რიშმა** გუტის მსგავსად ერთი კარი ვერ გაიარა და მედლისთვის ბრძოლის შანსი დაკარგა.

| გიგანტური სლალომი. ქალები | |
|---|---|
| 1. კატრინ ჰიოლცლი (გერ) | 2:03.49 (1:00.21+1:03.28) |
| 2. ტინა მაზე (სლოვენ) | 2:03.58 (1:01.54+1:02.04) |
| 3. ტანია პოუტიაინენი (ფინ) | 2:04.03 (59.93+1:04.10) |
| 4. დენიზე კარბონი (იტა) | 2:04.16 (1:00.92+1:03.24) |
| 5. მიხაელა კირხგასერი (ავსტრია) | 2:04.22 (1:00.80+1:03.42) |
| 6. კატრინ ცეტელი (ავსტრია) | 2:04.31 (59.53+1:04.78) |

■ ■ ■

მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში ამერიკელმა **ბოდე მილერმა** განაცხადა, რომ, სავარაუდოდ, მონაწილეობას არ მიიღებს 2010 წლის ოლიმპიურ თამაშებში და ამ სეზონის შემდეგ დაასრულებს აქტიურ სპორტულ კარიერას.

*"ამის შესახებ ლაპარაკი ხუთი წლის წინ დავიწყე, მაგრამ ჯერაც არ წავსულვარ სპორტიდან. მაგრამ ახლა მოვიდა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების დრო. ამ სეზონის შემდეგ კარიერის გაგრძელება ნაკლებად სავარაუდოდ მიმაჩნია"*, - განაცხადა ცნობილმა მოთხილამურემ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ნიუ ჯერსი-აილენდერსი 4:2**

1:1, 1:1, 2:0

გოლები: 0:1 მარტინეკი-2 (კომო-6, ვიტი-7), 1:1 პარიზე-33 (მარტინი-13, ოდუია-17), 1:2 ოკსოპო-11, 2:2 ლანგენბრუნერი-16 (მარტინი-14, პარიზე-32), 3:2 პარიზე-34 (მარტინი-15, ელიაში-40), 4:2 ლანგენბრუნერი-17 (პარიზე-33, ზაიაცი-31).

**რეინჯერსი-ვაშინგტონი 5:4 (ბ)**

1:2, 3:2, 0:0, 0:0

გოლები: 1:0 კელეჰანი-13 (კორპიკოსკი-5), 1:1 ფლიშმანი-16 (ფერი-9, ფიოდოროვი-14), 1:2 ფერი-7 (ფლიშმანი-12, ელზნერი-4), 2:2 კორპიკოსკი-4 (მ. სტაალი-7, კელეჰანი-7), 2:3 მ. გრინი-20 (ოვეჩკინი-33, ბექსტრიომი-43), 3:3 ნესლუნდი-17 (დეივსი-9, გომესი-27), 4:3 მარა-5 (გომესი-28, დუბინსკი-20), 4:4 მ. გრინი-21 (ნიულანდერი-20, შ. მორისონი-6).

**ბულიტები გაიტანეს**: დეივსი (რეინჯერსი), ოვეჩკინი (ვაშინგტონი), კელეჰანი (რეინჯერსი).

**დალასი-ფინიქსი 0:1**

0:0, 0:1, 0:0

გოლი: 0:1 ლისინი-9 (კლი-9, ვინიკი-2).

**ატლანტა-ჩიკაგო 1:3**

0:0, 1:2, 0:1

გოლები: 0:1 შარპი-23 (ბ. კემპბელი-30, ბარკერი-20), 1:1 კოვალჩუკი-24 (ვიაჩ. კოზლოვი-29, ჰეინსი-21), 1:2 ტეუვზი-17 (კეინი-29, ბარკერი-21), 1:3 ბოლანდი-12 (ვერსტეეგი-26).

**ედმონტონი-მონრეალი 7:2**

4:1, 2:0, 1:1

გოლები: 1:0 სემ განიე-6 (რ. ნილსონი-14, კოლიანო-16), 2:0 სტორტინი-3 (გირბერტი-25), 3:0 კოლიანო-13 (მორო-9, პუიო-10), 4:0 ჰემსკი-17 (პენერი-13, ჰორკოფი-23), 4:1 დანდენო-1 (კოვალიოვი-26, პლეკანეცი-13), 5:1 ბროძიაკი-8 (სტრადვიკი-5, გირბერტი-26), 6:1 პენერი-13 (ჰემსკი-29, ჰორკოფი-24), 7:1 რედუ-4 (გირბერტი-27, ბროძიაკი-7), 7:2 ბუიონი-4 (დანდენო-3, პლეკანეცი-14).

**ბაფალო-ოტავა 1:3**

0:1, 0:2, 1:0

გოლები: 0:1 სპეცა-20 (ბელი-5, ალფრედსონი-32), 0:2 დონოვანი-5 (მაკამონდი-4, ი. რუუტუ-10), 0:3 ალფრედსონი-16 (კუბა-25, ბელი-6), 1:3 კოტალიკი-11 (კონოლი-10, დ. როი-31).

**პიტსბურგი-სან ხოსე 2:1 (ბ)**

0:0, 1:0, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 ბ. ტომასი-1 (შატანი-18, ჯ. სტაალი-15), 1:1 პაველსკი-14 (მ. მიხალეკი-22, ქლოუ-27).

**ბულიტები გაიტანეს**: კროსბი (პიტსბურგი).

**მინესოტა-კოლორადო 3:2**

1:1, 1:0, 1:1

გოლები: 1:0 ბუშარი-12 (ნოლანი-11, ბელანჟე-16), 1:1 რ. სმიტი-17 (ლეოპოლდი-13, ვოლსკი-21), 2:1 ნოლანი-13 (ყიდლიცკი-19, სკოულა-5), 2:2 რ. სმიტი-18 (ლაილსი-20, ჰეიდუკი-21), 3:2 მიეტინენი-12 (ბრუნეტი-19, მ. კოივუ-37).

**ანაჰაიმი-კალგარი 3:2 (ო)**

0:1, 1:1, 1:0, 1:0

გოლები: 0:1 ბერტუცი-14 (ჯორდანო-16, ლენგკოუ-24), 1:1 ს. ნიდერმაიერი-7 (პერი-29, პრონგერი-24), 1:2 გლენკროსი-9 (რ. ბურკი-17, ლომბარდი-18), 2:2 ბ. მორისონი-9 (გეტცლაფი-45, მონტადორი-14), 3:2 ს. ნიდერმაიერი-8 (მარჩანტი-7, მონტადორი-15).

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| პერუ-პარაგვაი | 0:1 |
| ვენესუელა-გვატემალა | 2:1 |
| კოლუმბია-ჰაიტი | 2:0 |
| **კლუბები** | |
| არტმედია-ლიბერეცი | 1:0 |
| ბრონდბიუ-მეტალურგი (მ) | 1:0 |
| ვისლა-სპარტაკი | 1:1 |
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| ებსფლიტი-ბარტონი | 1:0, *შეწყდა* |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| ციბონა-ფენერბაჰჩე | 55:65 |
| ბარსელონა-ალბა | 85:69 |
| პანათინაიკოსი-რომა | 92:67 |
| რეალი-მაკაბი | 98:79 |
| **გერმანია** | |
| ოლდენბურგი-ბრემერჰაფენი | 102:75 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| მეტალურგი (ნ)-სკა | 0:1 |
| სიბირი-სევერსტალი | 2:3 |
| ტრაქტორი-ბარისი | 3:1 |
| მეტალურგი (მ)-ხიმიკი | 4:3 |
| მვდ-დინამო (რ) | 2:4 |
| **გერმანია** | |
| აუგსბურგი-ფრანქფურტი | 3:0 |
| **დანია** | |
| როდოვრე-ნორდსილანდი | 3:1 |
| **ჩეხეთი** | |
| კლადნო-პლზენი | 0:5 |
| **ნორვეგია** | |
| კომეტი-ფრისკ ასკერი | 5:3 |
| ლილეჰამერი-ფურუსეტი | 5:0 |
| სპარტა-ლორენსკოგი | 4:3 |
| სტავანგერი-სტიორნენი | 1:3 |
| სტორჰამარი-ვოლერენგა | 1:0 |
| **ფინეთი** | |
| ილვესი-კალპა | 3:2 |
| კიეკო-პელიკანსი | 3:1 |
| ხეიფა-კერპეტი | 2:5 |
| ტპს-ლუკო | 1:1 |
| ჰიფკ-ჰპკ | 3:6 |
| იუვიასკიულა-ტაპარა | 4:0 |
| **შვედეთი** | |
| ბრიუნესი-ლინჩოპინგი | 6:1 |
| მოდო-აიკ | 4:1 |
| სიოდერტალე-ფერიესტადი | 3:2 |
| ტიმრა-ჰ371 | 3:3 |
| ფრიოლუნდა-როგლე | 4:1 |
| იურგორდენი-ლულეო | 5:2 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. როტერდამი** | |
| სიმონი-ანჩიჩი | 4:6, 6:3, 3:6 |
| მატიო-ჟიკელი | 4:6, 3:6 |
| მონფილსი-ლოდრა | 6:4, 6:4 |
| მიურეი-სეპი | 7:6, 7:5 |
| ნადალი-დიმიტროვი | 7:5, 3:6, 6:2 |
| **ATP. სან ხოსე** | |
| დენტი-ვიდომი | 7:6, 3:6, 2:6 |
| ფიში-ისნერი | 6:2, 6:7, 7:5 |
| **ATP. კოსტა დუ საუპე** | |
| აკასუსო-შვანკი | 6:4, 6:3 |
| **WTA. პარიზი** | |
| კორნე-ჰანტუხოვა | 1:6, 6:4, 6:2 |
| იანკოვიჩი-ნა ლი | 6:0, 3:6, 6:2 |
| ს. უილიამსი-შპრემი | 6:1, 6:2 |
| მორესმო-ნიკულესკუ | 6:1, 6:2 |
| დემენტიევა-პავლიუჩენკოვა | 6:4, 6:2 |
| შნიდერი-დეში | 6:3, 4:6, 3:6 |
| **WTA. პატაია** | |
| რიბარიკოვა-ლისიაკი | 6:4, 2:6, 6:2 |
| ტანასუგარნი-სილვა | 6:3, 6:2 |
| მირზა-დიაჩენკო | 6:4, 6:0 |
| ვოზნიაკი-პერვაკი | 6:7, 6:2, 6:0 |

TV პროგრამა

**13 თებერვალი. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:20 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. სან ლორენსო (არგენტინა)-სან ლუისი (მექსიკა).
09:10 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
10:10 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:10 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-არსენალი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 უიკენდის მატჩების ანონსი.
13:25 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-დორტმუნდი.
15:10 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. პორტუგალიის ჩემპიონატი. პორტუ-ბენფიკა.
16:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:10 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-სპორტინგი.
18:55 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:15 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ლივერპული.
22:00 საფეხბურთო კლუბი.
22:55 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
23:25 გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ლევერკუზენი (LIVE).
01:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:40 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
02:10 საფეხბურთო კლუბი.
03:00 გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ლევერკუზენი.
04:50 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-მიდლსბრო.
06:40 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ბორდო.

**EUROSPORT**

10:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორვეგია.
11:45 ციგაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ლეიკ პლესიდი. აშშ.
12:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. გიგანტური სლალომი. I ცდა. კაცები. ვალ დ'იზერი. საფრანგეთი (LIVE).
14:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS140. კლიგენტალი. გერმანია.
14:30 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს თასი. სპრინტი. ვალ დი დენტრო. იტალია (LIVE).
14:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. გიგანტური სლალომი. II ცდა. კაცები. ვალ დ'იზერი. საფრანგეთი (LIVE).
17:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
19:15 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს თასი. სპრინტი. ვალ დი დენტრო. იტალია.
20:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS213. კვალიფიკაცია. ობერსტდორფი. გერმანია (LIVE).
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ვალ დ'იზერი. საფრანგეთი.
21:40 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
23:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. დიუსელდორფი. გერმანია (LIVE).
01:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი.
02:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორვეგია.
02:30 ექსტრემალური სპორტი.
03:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
03:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS213. კვალიფიკაცია. ობერსტდორფი. გერმანია.
04:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორვეგია.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ტრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბარსელონა. ესპანეთი.
14:00 ახალი ამბები.
14:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
15:30 ახალი ამბები.
16:00 ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. აშშ.
16:30 ახალი ამბები.
17:00 ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. მოგული. შვედეთი (LIVE).
18:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. უელსი-პოლონეთი.
18:45 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ავსტრია-შვედეთი.
19:30 ახალი ამბები.
20:00 ავტოსპორტი. GP2-ის აზიური სერია. კატარი (LIVE).
21:15 ახალი ამბები.
21:30 ექსტრემალური სპორტი.
22:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
22:30 ახალი ამბები.
23:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ეტაპი. II ტური. ნიდეროსტერაიხი (ავსტრია)-იკასტი (დანია) (LIVE).
00:45 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
01:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
02:15 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
02:45 ახალი ამბები.

მოტოსპორტი



# შუმი ცეცხლს ეთამაშება

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი **მიხაელ შუმახერი** მოტოციკლებით გართობას არ ეშვება და ამით საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებს. ალბათ, გახსოვთ, რომ შარშანდელ სეზონში ლეგენდარული გერმანელი რამდენჯერმე გადმოვარდა მოტოციკლიდან, მაგრამ, საბედნიეროდ, ტრავმებს გადაურჩა.

შუმიმ "მავნე" ჩვევა წელსაც არ მოიშალა. მან ესპანეთის ქალაქ კარტახენაში სუპერბაიკის კერძო ტესტებში მიიღო მონაწილეობა და ისევ დაეცა ტრასაზე, თანაც იმ დროს, როცა მისი მოტოციკლის სიჩქარემ საათში 238 კილომეტრს მიაღწია.

შუმახერის პრესმდივან **საბინ კემის** სიტყვებით, გერმანელი პილოტი სასწრაფოდ უახლოეს კლინიკაში გადაიყვანეს. მართალია, ტრიბუნიდან ავარია საკმაოდ სახიფათოდ მოჩანდა, მაგრამ პირველადმა სამედიცინო გამოკლევამ მძიმე ტრავმა ვერ გამოავლინა - შუმის მხოლოდ მსუბუქი ჭრილობები და დაჟეჟილობა აღენიშნებოდა.

*"დღეს მე კარტახენაში ტესტების დროს ავარიაში მოვყევი და თავის დაზღვევის მიზნით, კლინიკაში მომათავსეს. შემოწმებამ მძიმე დაზიანებები არ დააფიქსირა და შემიძლია დავადასტურო, რომ ყველაფერი წესრიგში მაქვს,* - თავისი პრესმდივნის მეშვეობით განაცხადა შუმიმ და იქვე ინციდენტის მიზეზიც გაამხილა. - *ავარია ერთ-ერთ მოსახვევში პატარა ქვასთან შეხებამ გამოიწვია".*

საბინ კემმა უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს შუმახერმა დაცემისას გონება დაკარგა: *"ის აზრზე იყო, როცა სასწრაფო დახმარების მანქანაში მოვათავსეთ".*

თვითმხილველები იმასაც ამბობენ, რომ მიხაელი ავარიამდე ყოველ წრეზე კარგ დროს აჩვენებდა.

კრივი



# ოსკარი ორ კვირას ითხოვს

ლეგენდარული ამერიკელი **ოსკარ დე ლა ჰოია** მომავალი კარიერის შესახებ გადაწყვეტილებას უახლოესი ორი კვირის განმავლობაში მიიღებს - ამის შესახებ "ოქროს ბიჭის" პრომოუტერული კომპანიის ოფიციალური წარმომადგენელი **ერიკ გომესი** აცხადებს. მისი თქმით, ოსკარს ჯერაც ვერ მოუნელებია ფილიპინელ **მენი პაკიაოსთან** დამარცხება.

*"ოსკარი ისვენებს და ცხოვრებით ტკბება. დღეს ის დიდ დროს ოჯახთან ატარებს და საკუთარი სიამოვნებისთვის ცხოვრობს. მან ჯერჯერობით ვერ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება კარიერის დასრულების შესახებ. ოსკარი კვლავაც მტკივნეულად აღიქვამს მენი პაკიაოსთან დამარცხებას და შესაძლოა, სწორედ ეს გახდეს მისი რინგზე დაბრუნების მიზეზი. თუმცა ის უახლოეს პერიოდში გამოგვიცხადებს პასუხს კითხვაზე - დაბრუნდება თუ არა რინგზე",* - აცხადებს გომესი.

ჩოგბურთი



# რაფას ახალი სათამაშო

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა** ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი და სწრაფი ავტომობილი შეიძინა. ეს გახლავთ ლეგენდარული "ასტონ მარტინის" ახალი მოდელი.

რაფამ პირველივე დღეს აჩვენა თავისი "ახალი სათამაშო" მეგობრებს, ხოლო ოჯახის წევრები გაასეირნა კიდეც მანქანით.

ეს ინფორმაცია ჩოგბურთელის ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელდა. იქვე გამოქვეყნდა ნადალის ერთი საინტერესო განცხადება. მიუხედავად იმისა, რომ ესპანელმა ცოტა ხნის წინ ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო, ის მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელად კვლავაც **როჯერ ფედერერს** მიიჩნევს.

*"პლანეტის საუკეთესო ჩოგბურთელი სწორედ ფედერერი გახლავთ. მე უკვე დავიღალე ერთი და იმავეს გამეორებით - როცა ჩოგბურთელი "დიდი სლემის" ცამეტ და "მასტერსის" სერიის 14 ტურნირს მოიგებს, მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეზე კამათი სრულიად უადგილო ხდება",* - ამბობს ესპანელი ჩოგბურთელი.

კალათბურთი

# პაუმ ევროპა უარყო

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ესპანელმა ლეგიონერმა **პაუ გასოლმა** "მარკასთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ არ აპირებს წელს პოლონეთში გასამართავ ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობას.

შეგახსენებთ, რომ სწორედ გასოლი იყო ესპანეთის ნაკრების ბოლოდროინდელი წარმატებების სულისჩამდგმელი. ეს გუნდი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია, ხოლო წინა ევრობასკეტსა და პეკინის ოლიმპიადაზე ვერცხლის მედლები მოიპოვა.

როგორც იცით, თებერვლის დასაწყისში ესპანეთის ნაკრები იტალიელმა სპეციალისტმა **სერჯო სკარიოლომ** ჩაიბარა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

NBA. რეგულარული ჩემპიონატი



# ტი-მაკმა სეზონი დაასრულა

"ჰიუსტონ როკეტსის" შემტევმა მცველმა **ტრეისი მაკგრეიდიმ**, შესაძლოა, სეზონის დარჩენილი ნაწილი გამოტოვოს. მაგნიტორეზონანსულმა სკანირებამ მარცხენა მუხლის სერიოზული ტრავმა გამოავლინა, რომლის მკურნალობასაც, სავარაუდოდ, ქირურგიული ჩარევა დასჭირდება.

მცირე შანსი არსებობს იმისა, რომ მაკგრეიდიმ შეძლოს ამ სეზონის დარჩენილ მატჩებში მონაწილეობის მიღება. ტრეისის მკურნალმა ექიმმა **ჯეიმს ენდრიუსმა** გამოაცხადა, რომ ოპერაციის გაკეთება საჭირო არ იქნება იმ შემთხვევაში, თუ კალათბურთელი აღარ აპირებს კარიერის გაგრძელებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტი-მაკს დაუყოვნებლივ ქირურგიული ჩარევა ესაჭიროება.

"ჰიუსტონის" ხელმძღვანელობა ჯერჯერობით თავს იკავებს კომენტარებისგან.

**შარლოტი-ვაშინგტონი 101:89**

24:21, 32:24, 21:18, 24:26

**შ:** ოგუსტინი (24), რადმანოვიჩი (21), ოკაფორი (16+13 მოხსნა), ფელტონი (15+8 მოხსნა+9 პასი+5 ჩაჭრა), დიაო (14+7 პასი+7 დაფარება).

**ვ:** კ. ბატლერი (26+6 პასი+3 ჩაჭრა), ჯეიმისონი (23+9 მოხსნა).

**კლივლენდი-ფინიქსი 109:92**

29:29, 35:23, 23:19, 22:21

**კ:** მ. უილიამსი (44+7 პასი+3 ჩაჭრა), ლ. ჯეიმსი (26+6 პასი), ვარეჟაო (13), შჩერბიაკი (11), ბ. უოლასი (2+11 მოხსნა).

**ფ:** სტაუდმაიერი (27+3 დაფარება), ჰილი (14), შ. ო'ნილი (11), ჯ. რიჩარდსონი (10).

**დეტროიტი-ატლანტა 95:99**

24:24, 22:24, 22:28, 27:23

**დ:** აივერსონი (28+3 ჩაჭრა), ჰემილტონი (14), სტაკი (12), პრინსი (12+8 პასი), მაკდაესი (10+10 მოხსნა).

**ა:** ჯო ჯონსონი (27), მიურეი (23), ჰორფორდი (15+7 მოხსნა), მ. უილიამსი (11+8 მოხსნა), ჯ. სმიტი (10+7 მოხსნა+7 პასი+4 ჩაჭრა).

**ორლანდო-დენვერი 73:82**

17:24, 12:22, 22:17, 22:19

**ო:** დ. ჰოვარდი (16+15 მოხსნა+3 დაფარება), ლუისი (12), თურქოგლუ (11), კ. ლი (10).

**დ:** ენტონი (29+8 მოხსნა), მარტინი (13+3 ჩაჭრა), ნენე (12), ბილაპსი (11).

**ფილადელფია-მემფისი 91:87**

26:18, 15:19, 23:22, 27:28

**ფ:** ა. მილერი (24+9 პასი), იგუოდალა (18), ი. იანგი (12+4 ჩაჭრა), სპეიტსი (10).

**მ:** უორიკი (31+8 მოხსნა), მაიო (16), კონლი (13+7 მოხსნა), მ. გასოლი (11+9 მოხსნა).

**ტორონტო-სან ანტონიო 91:89**

20:22, 29:21, 18:26, 24:20

**ტ:** ბარნიანი (23+8 მოხსნა), უკიჩი (22), კაპონო (21), ე. პარკერი (10), ჯ. ო'ნილი (7+10 მოხსნა+6 დაფარება).

**ს-ა:** ჯინობილი (32+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), ტ. პარკერი (22), დანკანი (20+13 მოხსნა+7 პასი).

**მილუოკი-ინდიანა 122:110**

31:28, 26:31, 33:25, 32:26

**მ:** რ. ჯეფერსონი (32+7 მოხსნა), ბელი (20), ვილანუევა (17), სეშენსი (15+7 მოხსნა+17 პასი), მბა ა მუტე (8+11 მოხსნა).

**ი:** გრეინჯერი (26), მერფი (23+10 მოხსნა), ჯეკი (21+6 პასი), ფორდი (14+13 პასი).

**კლიპერსი-ნ. იორკი 128:124 (ო)**

28:34, 30:25, 27:27, 25:24, 18:14

**კ:** ე. გორდონი (30), ნოვაკი (23+7 მოხსნა), ზ. რენდოლფი (22+15 მოხსნა), ტორნტონი (20+8 მოხსნა), ფ. ჯონსი (14), ბ. დევისი (13+20 პასი).

**ნ-ი:** რობინსონი (33+9 მოხსნა+15 პასი+5 ჩაჭრა), ჩენდლერი (27), ელ ჰარინგტონი (19+11 მოხსნა), დ. ლი (17+12 მოხსნა), ჯეფრიზი (16+10 მოხსნა).

**ნიუ ორლეანი-ბოსტონი 77:89**

21:23, 23:19, 20:22, 13:25

**ნ-ო:** დ. უესტი (15+8 მოხსნა), არმსტრონგი (14), პოლი (13).

**ბ:** პირსი (30), გარნეტი (14+10 მოხსნა), ჰაუსი (12), პოუ (11), რონდო (6+8 მოხსნა+11 პასი+3 ჩაჭრა).

**ჰიუსტონი-საკრამენტო 94:82**

22:25, 17:10, 35:21, 20:26

**ჰ:** მინი (24+18 მოხსნა), სკოლა (19+11 მოხსნა), არტესტი (19), ბრუქსი (10), ელსტონი (5+13 პასი).

**ს:** მარტინი (18), ბ. ჯექსონი (15), ტომპსონი (14), ჰოვსი (12+7 მოხსნა+6 პასი), უდრიხი (10).

**იუტა-ლეიკერსი 113:109**

31:29, 29:34, 27:22, 26:24

**ი:** დ. უილიამსი (31+11 პასი), ოქური (22+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), მაილზი (17), რ. ბრიუერი (16), მილსეპი (10+8 მოხსნა).

**ლ:** ბრაიანტი (37+4 ჩაჭრა), ოდომი (19+19 მოხსნა), პ. გასოლი (16), ფიშერი (13).

**პორტლენდი-ოკლაჰომა 106:92**

23:20, 30:26, 27:28, 26:18

**პ:** როი (22), აუთლო (21), ოდენი (16+10 მოხსნა+3 დაფარება), ფერნანდესი (13), ბეილესი (12+8 პასი), ოლდრიჯი (11+10 მოხსნა), პრჟიბილა (6+13 მოხსნა).

**ო:** უესტბრუკი (21+12 მოხსნა), დურანტი (20+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), ჯ. გრინი (17), უილკოქსი (11).

